

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრა

ხელნაწერის უფლებით

თამარ კარლოს ასული უკლება

ინფინიტიური კონსტრუქცია საშუალ ქართულში

10.02.01 – ქართული ენა

სადისერგაციო ნაშრომი ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ი. კიკნაძე

შესავალი

§1. საკითხის შესწავლის ისტორია

ინფინიტივის კატეგორია ქართულში საწყისის ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა, მაგრამ საწყისისაგან განსხვავებით ზმნის მსგავს კონსტრუქციებს ქმნის: შეიწყობს დამატება-ობიექტებს სათანადო ბრუნვებში.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი მისაზრებაა გამოთქმული.

ინფინიტიური კონსტრუქციის შესახებ საკმაოდ ვრცლად მსჯელობს თავის გრამატიკაში ანტონ კათალიკოსი (ანტონ პირველი (ბაგრატიონი), 1997:228). ხუთი კილოდან, რომელსაც ანტონი გამოყოფს, მეხუთეს უწოდებს „უჩინოებით სქესს“ ან „განუსაზღურებელ სქესს“. ამ ტერმინებით ანტონი აღნიშნავს საწყისის ვითარებით ბრუნვაში, რომელსაც ეკისრება ევროპული ენების ინფინიტივის ფუნქცია. ანტონი მსჯელობს ტერმინების შესახებაც (ე.ბაბუნაშვილი, თ.უთურგაიძე, 1991:27; ე.ბაბუნაშვილი, 1970:145). იგი უფრო ხშირად ხმარობს ტერმინს „განუსაზღურებელი“. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ტერმინი „სახელზმნა“ პირველად ანტონმა იხმარა. როგორც ცნობილია, პირველ რედაქციაში (1753 წ.) ანტონი „უჩინოში“ განარჩევს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს და გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ

ჩენი მთარგმნელებისგან არავის და არც იოანე ფილოსოფოსს¹ არ მიუქცევია ყურადღება ამ ფორმათა ერთმანეთისაგან გარჩევის საჭიროებაზე, ხოლო მეორე რედაქციაში (1767 წ.) გამეორებულია დებულება, რომლის მიხედვითაც „უჩინო“ გვარებს არ განარჩევს, ოღონდ ერთი შენიშვნით: თუ „უჩინოს“ წინადადების გარეშე გამოვიყენებთ, ენებითის ნიშნად *ე* უნდა ჩაერთოს (ჭამვად, წერვად...). ეს უკანასკნელი წესი იოანე ფილოსოფოსმა დაადგინაო, წერს ანტონი. ანტონი შენიშნავს იმის თაობაზე, რომ ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი საწყისი აწმყო დროში შეიწყობს დამატებას სხვადასხვა ბრუნვაში (ანტონ პირველი (ბაგრატიონი), 1997:284-285). ცნობილია, რომ ძველ გრამატიკოსთაგან მასდარისა და ინფინიტივის ყველაზე ვრცელი და მრავალმხრივი დახასიათება მოცემული აქვს ანტონს (დ.ჩუბინაიშვილი, 1972:18).

ქართველ გრამატიკოსთაგან ზურაბ შანშოვანი² ვითარებით ბრუნვაში დამსული საწყისს საერთოდ არ განიხილავს³. გაიოზი კი ძირითადად ანტონის აზრს იზიარებს⁴. განუსაზღვრებელი სქესი აღნიშნავს მოქმედებას უპიროდ და ურიცხვოდ. ინფინიტივთან დაკავშირებული სახელების ბრუნვებად ავტორი გამოყოფს შემასმენლობითსა და ნათესაობითს. ანტონისგან განსხვავებით, ფორმები „ქმნადი“, „სწავლადი“, გაიოზის აზრით, მყოფადი დროის მიძლეობაა ადი ნიშნით ნაწარმოები და არა განუსაზღვრებელი კილოს მყოფადი. ნ.ჩუბინაიშვილის მიხედვით,

¹ ანტონ პირველის ცნობით, ენებით სახელზმნაზე და მის წარმოებაზე აზრი გამოთუქვამს იოანე

პეტრიწს (დ.ჩუბინაიშვილი, 1972:11)

² ძველი ქართველი გრამატიკოსების აზრთა გადმოცემისას ძირითადად ვეყრდნობით დ.ჩუბინაიშვილის ნაშრომს „ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში“, თბ., 1972.

³ იხ. დ.ჩუბინაიშვილის დასახ. ნაშრომში, გვ.18.

⁴ იქვე, გვ.18.

განუსაზღვრელი სქესის ძიება ნათესაობითსა და შემასმენლობით ბრუნვებში დადგება⁵.

ერთგვარი სიახლე შეიტანა თავის გრამატიკაში საკითხზე მსჯელობისას ს.დოდაშვილმა⁶. სახელზმნასა და განუსაზღვრებელ სქესთან დაკავშირებით იგი ანტონ პირველის აზრს იზიარებს. ს.დოდაშვილი აღნიშნავს, რომ განუსაზღვრებელი სქესი შეიძლება იყოს სრული და უსრული და რომ განუსაზღვრებელი სქესი ხშირად იხმარება პირნაკლი ზმნების შემდეგ. გაიოზის მსგავსად, ს.დოდაშვილიც მიუთითებს, რომ განუსაზღვრებელი კილო შეიწყობს სახელს ნათესაობითსა და შემასმენლობითში, მაგრამ თუ ეს სახელი პირის ნაცვალსახელითაა გამოხატული, მაშინ იგი მიცემითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი.

სიახლეები შეიტანა განუსაზღვრებელ სქესთან დაკავშირებით პლ.იოსელიანმაც თავის გრამატიკაში⁷. მისი აზრით, ვნებითსა და პირნაკლ ზმნებს არა აქვთ განუსაზღვრებელი სქესი; განუსაზღვრებელ სქესს ორი დრო აქვს: აწმყო და ქმნადი (ანტონით მყოობადი), რომელთა ფორმებს ზმნისწინი განასხვავებს; „მნებავს“ და „მინდა“ ზმნებთან განუსაზღვრებელი სქესი სახელზმნის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება; პლ.იოსელიანი განუსაზღვრებელ სქესთან შეწყობილი დამატების ბრუნვებად გამოყოფს მიცემითსა და სახელობითს; ეს ბრუნვები პირიან ზმნაზეა დამოკიდებული.

დ.ჩხუბიანი⁸ შეიღის აზრით, პლ.იოსელიანის გრამატიკით თავდება საკითხის შესწავლის ისტორიის ის პერიოდი, როდესაც ინფინიტივი

⁵ იხ. დ.ჩხუბიანაშვილის დასახ. ნაშრომში, გვ.19.

⁶ იქვე, გვ.19.

⁷ იქვე, გვ.20.

გრამატიკოსთა სპეციალური მსჯელობის საგანია (დ.ჩუბინაიშვილი, 1972:21).

განუსაზღვრელი კილოს არსებობას ქართულში უარყოფდა ზოგი მეცნიერი. პირველი მათ შორის იყო დ.ჩუბინაიშვილი⁸. მისი აზრით, განუსაზღვრელი კილოს მაგიერობას ქართულში ეწევა ნაზმნარი არსებითი სახელი, რომელიც არის ძირი ყოველი ზმნისა. ამასვე იზიარებს დ.ყიფიანი⁹. საკითხზე მსჯელობა არ გვხვდება თ.ჟორდანიას გრამატიკაში¹⁰.

განუსაზღვრელ დახრას (კილოს) ასევე მოიხსენიებს მ.ჯანაშიელი თავის გრამატიკაში¹¹. შემდეგდროინდელ გრამატიკებში (ს.ხუნდაძე, ინიკოლაიშვილი, ი.სიხარულიძე და სხვა) შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა სახელზმნას და არაფერია ნათქვამი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ვითარებაზე.

ა.შანიძე ძველი ქართული ენის გრამატიკაში აღნიშნავს, რომ ვითარებითში დასმული საწყისი გამოხატავს მიზანს (ა.შანიძე, 1976:156).

საკითხს ეხება არნ.ჩიქობავაც, რომელიც აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში მასდარს¹² შეეძლო მოეთხოვა (ემართა) სახელი იმავე ბრუნვაში, რომელშიც ზმნა მოითხოვდა (მართავდა): ქმნად კეთილი (II კეთილსა) (შდრ.: ნათეს.: ქმნად კეთილისა). ახალ ქართულში მასდარი მოითხოვს (მართავს) სახელს ნათესაობით ბრუნვაში: ქმნა სიკეთისა... (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950:076).

არ.მარტიროსოვის აზრით, ვითარებითში დასმული მასდარი ინფინიტივის ფუნქციებს სინტაქსური თვალსაზრისით ავლენდა,

იხ. დ.ჩუბინაიშვილის დასახ. ნაშრომში, გვ.23

იქვე, გვ.23.

იქვე, გვ.23.

იქვე, გვ.24.

² ჩვენ ყოველთვის ვხმარობთ „საწყისს“ და „საწყისი ვითარებით ბრუნვაში“.

მორფოლოგიურად კი (წარმოების მიხედვით), არსებითად განსხვავდებოდა სხვა ენათა ინფინიტივისაგან (არ.მარტიროსოვი, 1955:43-59). იგი აღნიშნავს, რომ ინფინიტივს აქვს სახელის ბრუნვაში მართვის უნარი, კერძოდ, იგი პირდაპირ დამატებას მართავს იმავე ბრუნვაში, რომელშიც მას მოითხოვს ზმნის ფორმა. სწორედ ამაში ვლინდება ინფინიტივის ზმნური თვისება; ვითარებითში დასმული მასდარი რთული წინადადების ფუნქციას ასრულებს, მისი მონაცვლეა; მარტივ წინადადებაში იგი დამატებად გვევლინება; ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მიზნის გარემოების ფუნქციითაც გვხვდება და იხმარება აგრეთვე შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილად; იგი შეიძლება სახელთა საწარმოებელი ფუძეც იყოს. არ.მარტიროსოვი მიუთითებს, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ქართულში ვეღარ განვითარდა. X საუკუნიდან მოყოლებული იგი გამოდის ხმარებიდან (იგულისხმება ზმნური მართვის შემთხვევები), ხოლო მიზნის გარემოების ფუნქციით XII-XIII საუკუნემდე შემორჩა სალიტერატურო ქართულს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ყურადღება მიაქცია ივ.იმნაიშვილმა (ივ.იმნაიშვილი, 1957:750-752). მას შემჩნეული აქვს, რომ უცხო ენების ინფინიტივის გადმოსაცემად ქართული ენა მიმართავდა ჩვენებურ საწყისს, რომელსაც ვითარებითში დასვამდა და ინფინიტივის შინაარსის გადმოღებას აკისრებდა. თუმცა ამ ცდას ნაყოფი არ გამოუღია და იგი მალე იქნა უკუგდებული. მკვლევარი შენიშნავს, რომ ძველ ქართულში უცხო ენათა ამ ინფინიტივის გადმოღების სხვა ცდაც არსებობდა, კერძოდ, საწყისის ნათესაობით ბრუნვაში დასმა, მაგრამ ამნაირი ცდა ადრევე ჩაკვდა. დღეს ასეთ შემთხვევაში საწყისს სახელობითში (და მიცემითში) ვსვამთ და სათანადო (უბრალო) დამატებას ნათესაობითში ვუწყობთ.

ამავე საკითხზე გამოთქმული აქვს მოსაზრება თ. შარაძენიძეს (თ. შარაძენიძე, 1956:410-433). იგი აღნიშნავს, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი თავისებურ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის. იგი ინდოევროპულ ენათა ინფინიტივის როლში გამოდის და გადმოგვცემს: დამატებას და მიზანს. ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს შეიძლება თავისი დამატება ჰქონდეს. ეს დამატება გვხვდება სამ ბრუნვაში: სახელობითში, მიცემითსა და ნათესაობითში (ვითარებითში დასმული საწყისის მომდევნო პოზიციაში). საყურადღებოდ მიგვაჩნია მკვლევარის მითითება, რომ, ერთი მხრივ, სახელობით-მიცემითისა, ხოლო, მეორე მხრივ, ნათესაობითის ხმარება არ არის განსაზღვრული იმ ზმნის ბუნებით, რომლისგანაც მასდარია ნაწარმოები. შეიმჩნევა ერთგვარი ჭიდილი მასდარის სახელურსა და ზმნურ თვისებებს შორის. უკვე ძველ ქართულში სახელური საწყისი ჩანს გამარჯვებული, რადგან ნათესაობითი ბევრად სჭარბობს სახელობით-მიცემითს.

ბ. გიგინეიშვილის დაკვირვებით, ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი, რომელიც ასრულებდა ინფინიტივის როლს, უახლოვდება ძველ სომხურ ინფინიტივს, სადაც მას ბრუნვათა მიხედვით ცვლა შეეძლო (ბ. გიგინეიშვილი, 1955:193-211).

ნ. კოტინოვი ძველი ქართულის მასდარში ფუნქციურად ორ სახეს გამოყოფს (ნ. კოტინოვი, 1965:95-103). ესენია: ბრუნებადი საწყისი და გარკვეული ბრუნვის ფორმებში გაქვევებული მასდარი, რომელიც წინადადებაში ზმნის მაგივრობას ეწევა. ასეთ მასდარს მკვლევარი პირობითად უწოდებს მასდარ-ინფინიტივს, ე.ი. მასდარი ინფინიტივის, – ზმნის განუსაზღვრელი ფორმის, – ფუნქციით. ნ. კოტინოვის აზრით, მასდარი-ინფინიტივი ქართულში ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა. ძველ ქართულში იგი გვხვდება სამ ბრუნვაში: სახელობითში,

ნათესაობითსა და ვითარებითში, რომელთაგან ყველაზე ძველი და მეტი ზმნური თვისებების შემცველია ვითარებითში დასმული მასდარი-ინფინიტივი. შინაარსობრივად და ფუნქციურადაც ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად უახლოვდება ევროპულ ენათა ინფინიტივს. მსჯელობს რა ძველ ქართულში ვითარებითში დასმული მასდარი-ინფინიტივის თავისებურებათა შესახებ, მკვლევარი გამოყოფს: მის კავშირს ზმნა-შემასმენელთან (გადმოსცემს დაქვემდებარებულ მოქმედებას); მასთან პირდაპირი და ირიბი დამატების შეწყობას. როგორც ნ.კოტინოვი აღნიშნავს, უფრო მოგვიანებით პირმართი დამატების ადგილი დაიკავა უბრალო დამატებამ, რაც უნდა უკავშირდებოდეს ძველი ქართული მასდარი-ინფინიტივის გასუბსტანტივების პროცესს. ვითარებით-ინფინიტივი წინადადებაში გვევლინება: მიზნის გარემოებად, უბრალო დამატებად და პირდაპირ დამატებად. ვითარებითში დასმული მასდარი ძველ ქართულში გადმოსცემს აგრეთვე ე.წ. „აუცილებლობის მყოფადს“ „არს“ მეშველ ზმნასთან ერთად: და ჰკითხავდა მათ: სადა შობად არს ქრისტე? მ 2,4.

ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან დაკავშირებით საგანგებო გამოკვლევა აქვს შ.ძიძიგურს (შ.ძიძიგური, 1966:91-100), რომელიც „შენებად“ ტიპის ფორმათა შემცველ კონსტრუქციას „მასდარულ კონსტრუქციას“ უწოდებს და აღნიშნავს: „ამ საკითხის სპეციალურად შესწავლის პირველი ცდა ჩვენ გვეკუთვნის“ (შ.ძიძიგური, 1966:99). მასდარის შემცველ წინადადებათა შინაგანი სხვაობის მიხედვით მკვლევარი გამოყოფს მასდარული კონსტრუქციის ორ სახეობას – „დამატებით-მასდარულ“ და „გარემოებით-მასდარულ“ კონსტრუქციებს. მასდარული კონსტრუქცია რთული წინადადების კონსტრუქციას უკავშირდება ფუნქციურად. პირდაპირი დამატების შეწყობა მასდართან (ბრძანა შენებად იგი“) შ.ძიძიგურის მიერ გაგებულია საკუთარ ნიადაგზე

მიღებულ სინტაქსურ კონსტრუქციად, რომლის სტაბილიზაციას ენის განვითარების გარკვეულ მონაკვეთში უთუოდ ხელს შეუწყობდა კლასიკური ენები, სადაც შესაბამისი მდგომარეობა გვაქვს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ბრძანა შენებად იგი“-ს ტიპის წინადადების რღვევა დაწყებულია ადრიდანვე და ძველი ქართულის ტექსტებში დასტურდება ფორმათა რყევა. საშუალო ქართულის მოგვიანო ხანაში და, განსაკუთრებით, ახალ ქართულში საბოლოოდ დამკვიდრდა „ბრძანა მისი (აშენება)“, პირდაპირი დამატება მსაზღვრელად იქცა. მსაზღვრელად ქცევის პროცესის ხელისშემწყობია მასდარის სახელობით ბრუნვაში გამოვლენა, ნაცვლად ვითარებით ბრუნვაში გამოვლენისა, როდესაც მასთან შეწყობილი სახელი არ იმართვის სახელობით ბრუნვაში. შემდეგ მეცნიერი დასძენს: მასდარი რომ ვითარებით ბრუნვაში დგომის თვისებას კარგავს და სახელობითი უმუშავდება სათანადო კონსტრუქციაში, იმის თავდება, რომ მას უკვე ეცლება ძალა პირდაპირი ობიექტის მართვისა და ეს პირდაპირი ობიექტი თანდათანობით მსაზღვრელად იქცევა. ამ გზაზე კი მასდარის სახელობით ბრუნვაში გამოვლენა კონსტრუქციის გარდატეხის მაუწყებელია. ამგვარად, დამკვიდრდა ამ ტიპის ფორმები: „ბრძანა ეკლესიის აშენება“, „სთხოვა საქმის გაკეთება“ და მისთანანი. საყურადღებოა შ.ძიძიგურის მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ *თვის* თანდებულებიანი მასდარი იმავე შინაარსს გამოხატავს, რასაც ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი: შეკრბებოდეს ზიარებისათვის – შეკრბებოდეს ზიარებად.

მნიშვნელოვანია, რომ შ.ძიძიგურისათვის მასდარული და ინფინიტიური კონსტრუქციები ერთნაირი დატვირთვის არიან.

დ.ჩხუბიანიშვილი თავის ნაშრომში (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972:29) ვრცლად მსჯელობს საკითხზე და აღნიშნავს, რომ ინფინიტიური

კონსტრუქციები ძველ ქართულს ახასიათებს, რაც ძველი ქართულის გრამატიკულ სისტემას ახალი ქართულისგან განასხვავებს. მკვლევარი შენიშნავს, რომ XII საუკუნიდან ვითარებითში დასმული საწყისი ინფინიტივის ფუნქციით თანდათანობით გამოდის მხარებიდან, XVIII საუკუნის საისტორიო თხზულებებში ძველი ტრადიცია ნაწილობრივ ძალაშია, ხოლო ამავე პერიოდის საერო მწერლობის ძეგლებში იგი იშვიათად ჩანს.

დ.ჩხუბიანიშვილი მასდარისაგან განასხვავებს მასდარის ვითარებითი ბრუნვის ომონიმურ ფორმას და მას „ინფინიტივს“ უწოდებს, ხოლო იმ კონსტრუქციას, რომელსაც ინფინიტივი ქმნის, „ინფინიტიურ კონსტრუქციას“. ინფინიტივმა და ინფინიტიურმა კონსტრუქციამ წინადადებაში შეიძლება შეასრულოს პირდაპირი დამატების, ქვემდებარის, უბრალო დამატების, მიზნის გარემოებისა და პრედიკატიული წევრის (შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის) ფუნქციები. ინფინიტივმა შეიძლება შექმნას გარდაუვალი ერთპირიანი და ორპირიანი, გარდამავალი ორპირიანი და სამპირიანი ზმნის შესიტყვების მსგავსი კონსტრუქციები. ძველ ქართულში ინფინიტივის ფუნქციით აგრეთვე გვხვდება მასდარი ნათესაობით ბრუნვაში.

ითვალისწინებს რა იბერიულ-კავკასიურ ენათა ვითარებას, ვლ.ფანჩვიძე ვარაუდობს, რომ მასდარული კონსტრუქცია (რომელსაც კქმნის მასდარი ვითარებით ბრუნვაში) ძველ ქართულში წარმოადგენს საუთარ მოვლენას და იგი უნდა გადმონაშთი იყოს ძველი ვითარებისა, თუმცა ეს კონსტრუქცია ძველ ქართულშივე იწყებს გარდაქმნას (ვლ.ფანჩვიძე, 1960:405-409).

ინფინიტიური კონსტრუქციების შესახებ მსჯელობს დ.მელიქიშვილი (დ.მელიქიშვილი, 1975:194-196). ავტორის დაკვირვებით, იგი პიპოტაქსური

შინაარსის მარტივი წინადადებებით გადმოცემის კიდევ ერთი საშუალებაა. მასდარი ვითარებით ბრუნვაში ხშირად იხმარება ირიბი ნათქვამის ნაცვლად „მეტყველება“ წრის ზმნების შემდეგ. ინფინიტიური კონსტრუქციით ხშირად შეცვლილია მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. დ.მელიქიშვილის დაკვირვებით, იონანე პეტრიწის ენაში ინფინიტიური კონსტრუქციის ხშირი ხმარება ბერძნული ენის გავლენით უნდა აიხსნას.

საყურადღებოა ლ.კვაჭაძის მითითება, რომ საწყისი ვითარებითში მიზნის გარემოების გადმოსაცემად იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს XIX-XX სს. ზოგიერთი მწერლის ნაწერებში (ლ.კვაჭაძე, 1966:155).

ლ.გეგუჩაძე მიუთითებს, რომ სახელობით ბრუნვაში დასმული საწყისის გამოიყენება ინფინიტივის ფუნქციით ჩვეულებრივია ახალი ქართულისთვისაც (ლ.გეგუჩაძე, 1972:17-20). იგი პირობითად უწოდებს „ინფინიტიურ“ კონსტრუქციას თანამედროვე სალიტერატურო ქართულის წინადადების იმგვარ ტიპს, როდესაც ზმნის მოსალოდნელი პირის (სუბიექტის ან ობიექტის) ნაცვლად ისევ ზმნის პირიანი ფორმა უკავშირდება: ცდილობს გააკეთოს // ცდილობს გაკეთებას და ა.შ.

საკითხის შესწავლა არ იქნება სრულყოფილი, თუ არ გავითვალისწინებთ ქართული ენის დიალექტთა მდგომარეობა. იმ მოსაზრებათა დასტურად, რომ ინფინიტიური კონსტრუქციები ქართულისთვის არაა უცხო, სწორედ დიალექტური მონაცემები გვევლინება.

შ.ძიძიგური აღნიშნავდა: „ყოველ შემთხვევაში, ქართულში მასდარის მიერ მართვის უნარი პირდაპირი დამატებისა რომ მივიჩნიოთ უთუოდ ინდოევროპული ენებიდან მომდინარედ, ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ მთის კავკასიურ ენათა მონაცემებიც“ (შ.ძიძიგური, 1966:96).

შემდეგ იგი დასძენს, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი შემოინახა მხოლოდ ცოცხალმა მეტყველებამ – მთის კილოებმა და მოჰყავს სათანადო მაგალითები: ჩვენც *ნადირობად წაველთავ* (ხევს.); იქ იმ ციხის *გატეხად* მოსულიყვნეს ქისტები (თუშ.)... (შ.ძიძიგური, 1966:98) იმ ფაქტს, რომ ვითარებითში დასმული საწყისი მიზნის გარემოების გადმოსაცემად დღესაც იხმარება ხევსურულში და ქართულის ზოგ კილოში, ადასტურებს ლ.კვაჭაძეც (ლ.კვაჭაძე, 1966:155). ადასტურებს რა ინფინიტივის (მიზნის გარემოების ფუნქციით) მთის კილოებში არსებობას, დჩხუბიანიშვილი ვარაუდობს, რომ ინფინიტიური კონსტრუქციები დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ძველი ქართული სამწერლო, არამედ ცოცხალი სასაუბრო ენისთვისაც (დჩხუბიანიშვილი, 1972:114-123).

იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით ძველი ქართულის ინფინიტიური კონსტრუქცია ძველია და ორიგინალური, საკუთრივ ქართული და არა უცხო ენათა გავლენით შექმნილი, მხარს უჭერს მეგრულ-ჭანურისათვის დამახასიათებელი თვისებები (დჩხუბიანიშვილი, 1972:123-136).

განსხვავებული აზრი აქვს დ.მელიქიშვილს, რომელიც თვლის, რომ ინფინიტიური კონსტრუქციის ხშირი ხმარება ბერძნული ენის გავლენით უნდა აიხსნას (დ.მელიქიშვილი, 1975:201).

როგორც ვხედავთ, ინფინიტიური კონსტრუქცია არ არის მხოლოდ ძველი ქართული სამწერლო ენის თავისებურება, იგი არც მხოლოდ თარგმნით შემოქმედებასთან არის დაკავშირებული, არამედ სასაუბრო ენისთვისაც იყო დამახასიათებელი, რომ ეს კონსტრუქციები ხანგრძლივად შემორჩა ენას და ჩვენს დრომდეც მოაღწია.

§2. საკითხის რაობა

ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი, რომელიც ძველ ქართულში გვხვდება, ზმნურ თვისებებს ავლენს და შეიწყობს დამატებას სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში: უბრძანა მოღებად თავი მისი: მრ 6,27DE; და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად? შუშ. V, 10. ასეთ კონსტრუქციას სამეცნიერო ლიტერატურაში „ინფინიტიურ კონსტრუქციას“ უწოდებენ. ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის გვერდით მოიპოვება ბრუნებადი საწყისი. ძველი ქართულის ბრუნებადი საწყისი ახალი ქართულის საწყისის ეკვივალენტს წარმოადგენს.

ინფინიტივმა და ინფინიტიურმა კონსტრუქციამ წინადადებაში შეიძლება შეასრულოს პირდაპირი დამატების, ქვემდებარის, უბრალო დამატების, მიზნის გარემოებისა და პრედიკატიული წევრის (შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის) ფუნქციები. ინფინიტივმა შეიძლება შექმნას გარდაუვალი ერთპირიანი და ორპირიანი, გარდამავალი ორპირიანი და სამპირიანი ზმნის შესიტყვების მსგავსი კონსტრუქციები.

როგორც აღნიშნეთ, ინფინიტივის ფუნქციებს ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი ასრულებდა, რომლის აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინები: ინფინიტივი, მასდარ-ინფინიტივი, მასდარული კონსტრუქცია, ინფინიტივ-მასდარი. შევეცდებით გავცეთ პასუხი აღნიშნულ ტერმინთა არსებობით გამოწვეულ კითხვებს, კერძოდ: რა არის ინფინიტივი და რას გულისხმობს ინფინიტიური კონსტრუქცია; რა არის მასდარი და მასდარული კონსტრუქცია; რა ნიშნით ხასიათდება ეს კონსტრუქციები; რა არის საერთო და რა განსხვავებული მათ შორის და რატომ ავირჩიეთ ქართულისათვის „ინფინიტიური კონსტრუქცია“.

ინფინიტივი გარკვეული ბრუნვის ფორმაში გაქვეყნებული ოდენობაა, რომელიც აღარ აღიქმება ბრუნვის ფორმად, იგი დაცლილია ამ გაგებისაგან. არსებობს მოსაზრება, რომ ინფინიტივი ნაზმნარი სახელის ზმნის სისტემასთან დაახლოების შედეგად ჩამოყალიბდა. იგი თანდათანობით კარგავს ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიებს, სამაგიეროდ იძენს ზმნისთვის დამახასიათებელ მორფოლოგიურ და სინტაქსურ თვისებებს (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972:29). ითანხმებს დამატებობიექტებს სახელობით და მიცემით ბრუნვებში. იგი ჰიპოტაქსური შინაარსის მარტივი წინადადებით გადმოცემის კიდევ ერთი საშუალებაა. მასდარი კი ბრუნებადი სიტყვაა. მასდარის ფორმაცვალებალობა და ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის ფორმაუცვლელობა ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ ძველ ქართულში ინფინიტიური კონსტრუქცია გვაქვს და არა მასდარული კონსტრუქცია. გარდა ამისა ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის ზმნური თვისება—დამატების შეწყობა სათანადო ბრუნვაში წარმოადგენს ინფინიტივის არსებით ნიშანს, ზმნისებურად მართავს სახელს, პირდაპირი დამატების მართვის თვალსაზრისით ზმნას უტოლდება. ძველ ქართულში მასდართან გვაქვს სახელისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობა (მსაზღვრეელ-საზღვრულის სინტაქსური დამოკიდებულება).

ვეთანხმებით დ.ჩხუბიანიშვილის მოყვანილ არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მასდარს, როგორც სახელს, შეიძლება თანდებული დაერთოს, რაც იშვიათია ინფინიტივის შემთხვევაში. ეს მასდარისა და ინფინიტივის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972:39). ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი უთანდებულოდაა წარმოდგენილი.

კონსტრუქცია, რმოელსაც ვითარებითში დასმული საწყისი ქმნის, არის რთული ქვეწყობილი წინადადების შეკუმშული სახე. ბრუნებადი მასდარი კი ამგვარი ფორმისა არ არის.

გასათვალისწინებელია დ.ჩხუბიანიშვილის მოსაზრება, რომ მასდარი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ნაზმნარი სახელის (საწყისი) აღსანიშნავად იხმარება, რომელმაც აგერთვე შეიძლება შექმნას კონსტრუქცია (მაგალითად, უბრაძანა *სახლისა შენებაჲ...*) და რომელიც გასხვევდება „აღჯოცად“ ტიპის სიტყვათა კონსტრუქციებისაგან. „მასდარული კონსტრუქცია“ მასდარის მიერ შექმნილ კონსტრუქციას გულისხმობს. ხოლო თუ ამ ტერმინის საფუძველია არა ქართული მასდარი, არამედ მასდარის უფრო ზოგადი გაგება, ე.ი. ისეთი ნაზმნარი სახელი, რომელიც იბრუნვის და ამავე დროს ზმნური მართვის ძალა აქვს (როგორცაა მთის კავკასიური ენების, თურქულის და სხვა ენათა მასდარი), მაინც გაუმართლებელი იქნებოდა აღნიშნული ტერმინის ხმარება ქართულისთვის დამახასიათებელი მოვლენის მიმართ, ვინაიდან ზმნური მართვის ძალა აქვს არა ზოგადად მასდარს მისი ყველა ფორმით, არამედ მასდარის ვითარებითი ბრუნვის ომონიმურ ფორმას – ინფინიტივს (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972:42).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია საწყისის ვითარებითი ბრუნვის ომონიმურ ფორმას „ინფინიტივი“ ვუწოდოთ, მის მიერ შექმნილ კონსტრუქციას კი „ინფინიტიური კონსტრუქცია“.

იმის გამო, რომ ინფინიტიური კონსტრუქცია საშუალო ქართულისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელი მოვლენაა, ჩვენი ნაშრომის სათაურიც ამის მიხედვით განისაზღვრა: „ინფინიტიური კონსტრუქცია საშუალო ქართულში“.

ინფინიტივი სხვა ენებისთვისაც დამახასიათებელი მოვლენაა. ამ ენებში ინფინიტივის განვითარებას თვალყური გავადევნეთ სპეციალური ლიტერატურის საშუალებით¹³.

ინფინიტივი (infinitivus) ანუ ზმნის განუსაზღვრელი ფორმა („უჩინოებითი სქესი“ ან „განუსაზღვრებელი სქესი“, როგორც მას ანტონ კათალიკოსი უწოდებდა) ზმნურ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც აღნიშნავს მოქმედებას განზოგადებულად, პირზე და ზმნის ზოგიერთ სხვა კატეგორიაზე მითითების გარეშე. თუმცა, ზმნური თვისებებიც მოეპოვება, კერძოდ, შეიწყობს დამატება-ობიექტებს სათანადო ბრუნვებში. ჩვეულებრივი ბრუნებადი სახელისაგან განსხვავებით, ბრუნვის ფორმა, რომელშიც ინფინიტივი გვევლინება, თანდათანობით იცვითება, ინფინიტივი თავის საკუთარ სპეციფიკურ ფორმასა და კონსტრუქციულ თავისებურებებს იძენს, ეს კი ქმნის საფუძველს მისი შემდგომი განვითარებისათვის¹⁴.

ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ამოსავალი ბრუნვის ფორმის დადგენა. მეცნიერთა უმრავლესობა სლავური ენის ინფინიტივის ამოსავალ ბრუნვად დატივს მიიჩნევს (А.Меѣе)¹⁵. სხვა ვარაუდის მიხედვით ესაა ადგილობითი ბრუნვა (А.Булаховский)¹⁶. ადგილობითი ბრუნვის ფორმად თვლიან ლიტერული ინფინიტივის დაბოლოებას (А.Меѣе)¹⁷.

ძველ ზემოგერმანულში, ისევე როგორც თანამედროვე ენაში, ინფინიტივი ზმნის „ძირითადი ფორმის“ როლში გამოდიოდა და იხმარებოდა ზმნის პირიან ფორმებთან ერთად. თუმცა იგი კვლავ

¹³ სხვა ენათა მონაცემების წარმოდგენისას ძირითადად დავეყრდნობით დ.ჩხუბიანიშვილის ნაშრომს „ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში“, თბ., 1972

¹⁴ იხ. დ.ჩხუბიანიშვილის დასახ. ნაშრომში, გვ. 4

¹⁵ იქვე, გვ. 8.

¹⁶ იქვე, გვ. 5.

¹⁷ იქვე, გვ. 6.

ინარჩუნებდა თავის სახელად ბუნებას და იბრუნვოდა არსებითი სახელის მსგავსად. დასტურდება მისი ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმები. ხშირად იხმარებოდა დატიური ბრუნვა ზღვრულად მიზნის გარემოების მნიშვნელობით. თანამედროვე გერმანულში ინფინიტივი აღარ იბრუნვის (В.Жирмунский, О.Москальская)¹⁸.

ბერძნულ ინფინიტივთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ იგი ვერ პოულობს საერთოს დღესდღეობით ცნობილ ბრუნვათა ფორმებთან. მეცნიერთა უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბერძნული ენის თვალსაზრისით ინფინიტივი არ წარმოადგენს არც ერთი ჩვეულებრივი ბრუნვის ფორმას (Π.Шаптрენ)¹⁹.

ინფინიტივი გარკვეული ბრუნვის ფორმაში გაქვევებული ოდენობაა, რომელიც აღარ აღიქმება ბრუნვის ფორმად, იგი დაცლილია ამ გაგებისაგან. ზოგ ენაში ინფინიტივი ამოსავალია ზმნის წარმოებისათვის, მაგალითად, რუსულსა (Грамматика русского языка)²⁰ და სომხურში (არ.მარტიროსოვი)²¹.

სლავური და ლიტვური ენების ინფინიტივის ბრუნვის მსგავსად, ადგილობით ბრუნვას უკავშირდება ინფინიტივი მთის კავკასიურ ენებში, ხუნძურში (არნ.ჩიქობავა, ილ.ცერცვაძე)²² ანდიურ-დიდოურში (Д.Имнайшвили)²³, თაბასარანულში (А.Магомедов)²⁴.

ინფინიტივის ესა თუ ის ნიშანი თანაბრად არ არის დამახასიათებელი ყველა ენის ინფინიტივისათვის. სხვადასხვაგვარია ინფინიტივის სიახლოვე ზმნასთან: ზოგ ენაში მჭიდრო, ზოგში – ნაკლებ

მკიდრო. სხვადასხვა ენას ინფინიტივის განსხვავებული სახეობა ახასიათებს. განსხვავებას ადგილი აქვს როგორც მონათესავე ენებში, ისე ერთი ენის შიგნითაც (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972:7-8).

რიგი მოსაზრების მიხედვით ინფინიტიური კონსტრუქცია ქართულისთვის არაა უცხო. სამისოდ შეიძლება მითითება ქართული ენის დიალექტებზე. ცნობილია, რომ ინფინიტივი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ძველი ქართული სამწერლო, არამედ ცოცხალი სასაუბრო ენისთვისაც.

ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი შემოინახა მხოლოდ ცოცხალმა მეტყველებამ - მთის კილოებმა (შ.ძიძიგური, 1966:98). ლ.კვაჭაძის აზრით, ვითარებითში დასმული საწყისი მიზნის გარემოების გადმოსაცემად დღესაც იხმარება ქართულის ზოგ კილოში, მაგალითად, ხევსურულში (ლ.კვაჭაძე, 1966:155).

ამრიგად, ინფინიტიური კონსტრუქცია დამახასიათებელია როგორც ძველი ქართული ენისათვის, ასევე მთის კილოებისათვის.

ჩვენი კვლევის ობიექტია ინფინიტიური კონსტრუქცია საშუალ ქართულში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დაადგინოს XII-XVIII საუკუნეთა ძეგლების მონაცემთა მიხედვით:

1) ინფინიტივის როლი წინადადებაში, მისი ფუნქციები და მის მიერ შექმნილი კონსტრუქციები;

2) თუ რა ფორმაცვალება განიცადა ძველქართულმა ინფინიტივმა; რა დროის მანძილზე თანაარსებობდა ძველი და ახალი ფორმები, სანამ ძველი საბოლოოდ გამოვიდა ხმარებიდან;

როგორ ხდებოდა გადასვლა ძველი ფორმებისა ახალზე.

დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად დავაკვირდით საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებს: მხატვრული პროზისა და პოეზიის ნიმუშებს, ისტორიული ხასიათის თხზულებებს, დოკუმენტებსა და საბუთებს.

შევნიშნავეთ, რომ შესწავლილ ძეგლთა უმეტესი ნიწილის ხელნაწერები გვიანი პერიოდისაა. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ამ ხელნაწერებს პირვანდელ ტექსტებთან შედარებით დროთა განმავლობაში განეცადათ გარკვეული ცვლილებები როგორც შედგენილობის მხრივ, ისე ენობრივადაც. კვლევისას ვითვალისწინებთ ძეგლების ჟანრობრივ თუ თემატურ განსხვავებასაც.

თავი I

ინფინიტივის ფუნქციები წინადადებაში

ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი წინადადებაში ამა თუ იმ წევრის ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს. ინფინიტივმა და ინფინიტიურმა კონსტრუქციამ წინადადებაში შეიძლება შეასრულოს ქვემდებარის, დამატების, გარემოებისა და პრედიკატიული წევრის (შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის) ფუნქციები.

მიზნის გარემოების ფუნქციით ინფინიტივი გვიანობამდე შემორჩა ქართულ სალიტერატურო ენას. საშუალო ქართულში ერთმანეთის გვერდით მონაცვლეობენ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი და მომავლის მიმდგომბა ამავე ბრუნვაში (წავიდა ნადირობად – წავიდა სანადიროდ). ამგვარ კონსტრუქციას სამეცნიერო ლიტერატურაში გარემოებით-მასდარულ კონსტრუქციას უწოდებენ (შ.ძიძიგური, 1966:91).

მეორე მხრივ, გვაქვს ისეთი კონსტრუქცია, როდესაც ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი შემასმენელს მოუდის დამატებად: „იწყო ცოცად“, „მითხრა მიტანად“. ამგვარ კონსტრუქციაში ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით გვევლინება. მას დამატებით-მასდარულ კონსტრუქციასაც უწოდებენ. გარდა ამისა, ინფინიტივმა წინადადებაში შეიძლება შეასრულოს უბრალო დამატების ფუნქცია.

საშუალო ქართულის ძეგლთა მონაცემებმა ცხადყო, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი ყველა აღნიშნული ფუნქციით შეიძლება შეგვეხედეს, თუმცა მეტნაკლები რაოდენობრივი სხვაობით. განვიხილოთ ეს სახეობები ცალ-ცალკე:

§1. ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით

ამ ფუნქციით ინფინიტივი გარდამავალ ზმნათა ერთ ჯგუფთან გეხვდება. ძველ ქართულში ამგვარი ზმნებია: იწყო, ბრძანა, განიზრახა, აიძულა, არწმუნა, იკადრა, ინება, არა უტევა, ჰელ-ყო, ჯერ-იჩინა... (დ.ჩხუბიანი-შვილი, 1972:45) იმის მიხედვით, ზმნა I-სერიაში დგას თუ II-ში, შესაბამისად ინფინიტივი ენაცვლება მიცემით ან სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელს. თუმცა, როგორც ნ.კოტინოვი აღნიშნავს, ამგვარ წინადადებებში ვითარებით-ინფინიტივს პირდაპირი დამატების ადგილი უჭირავს, მაგრამ მისი მიჩნევა პირდაპირ დამატებად შეცდომა იქნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პირდაპირი დამატება ვითარებით ბრუნვაში ქართულმა ენამ არ იცის. მიუხედავად ამისა, ახალ ქართულში ამ ფორმებს პირდაპირი დამატება შეესაბამება (ნ.კოტინოვი, 1986:95-103).

ახალი ქართულის პირდაპირი დამატება, ბუნებრივია, განსხვავდება ინფინიტივისაგან პირდაპირი დამატების ფუნქციით, რომელიც

ვითარებითი ბრუნვის ფორმაში გაქვეყნებული ოდენობაა. ახალ ქართულში კი მას ბრუნვათა მიხედვით ცველა შეუძლია. ამის დადასტურება ადვილად შეიძლება ჩანაცვლების გზით:

იწყო შენებად – იწყო შენება, იწყებს შენებას. იმის დამადასტურებლად, რომ „იწყო შენებად“ ფორმაში ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი პირდაპირი დამატების ფუნქციითაა წინადადებაში, მოწმობს საშუალო ქართულში მის პარალელურად არსებული „იწყო შენება“ ფორმები.

ქვემოთ წარმოვადგენთ მასალას:

მან კაცმან მოაცსენა და დაიწყო ამბობად (ამირანდარ., 581, 2);

მოყუარეთა ნაზობათა წაკიდებად ვინ იტყუის, არცა მათგან დათმობა აუგად ითქუმის (ვისრ., 270,13);

ველარა შეეძლებ ხატისა ჩემისა ბილუად (რუსუდ., 275,17);

მოეწადინა – იქმოდა დადგომად, ბრუნავს რაც რით (ქილ. და დამ., 209,31);

ხოლო ანგელოზთა იწყეს გალობად... (მიმოს., 35,37)

მზისა შარავენდემან იწყო აღმობრწყინვებად მყინვართა ქვეყანასა... (დილარ., 200,6)

და ვითარ ვლეს დღე ოდენ ოცი, იწყეს გზასა ზედა წინა მოგებებად ჩინებულთა გვამთა მწყობრად და მწყობრად სხვა-და-სხვა ფერითა ოქროს ქსოვილითა სამოსლითა... (დილარ., 39,16)

მასალაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ საშუალო ქართულის პროზაულ ძეგლებში ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით ხშირად გვხვდება. ამას ვერ ვიტყვით ამავე პერიოდის პოეტურ თხზულებებთან დაკავშირებით, სადაც ინფინიტივი აღნიშნული ფუნქციით საკმაოდ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი:

უბრძანა ცხრათა ხადუმთა დადგომლად მცველად კარისად (ვეფხისტყა, 209,1374,9);

თუცა ინანდე, ვერ შეინანდე, ვერცა შეუძლო კულად დაგებად (არჩილ., 3,233,39-40);

სოლომონს ბრძენსა რღვევად ჰკადრებენ მძენსა! (ბესიკი, 4,40,32-33)

რა რომ განიყვნენ მრავლად ენებად, ველარ შეუძლეს გოდლის შენებად... (დავით., 260,576,1-2)

ინფინიტივი ამავე ფუნქციით ცოტაა ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში:

და იწყეს ბრძოლად, და გამოჩნდეს ორთავე შორის მუნ ბუმბერაზნი (ქართლ. ცხ., I,31,20);

ხოლო აწ ესევეითარნი რა ენამან, ანუ რა გონებამან თუთეულისა კელ ყო მოთხრობად, საწყენ სამე იქმნას აღწერილი განგრძობითა სათქმელთათა (ქართლ.ცხ., II, 16,15);

...კელეყავ და გულს-მოდგინედ ვიწყე ძიებად... (დოკ., I,10,6)

...შემდგომ, მოწყალევეო ხელმწიფევეო, უმორჩილესად გთხოვთ, რომელ ცხენი ის უბრძანოთ მოყვანად კარახტინზე... (დოკ., II,305,13)

...იწყე აღსრულებად ათთა მცნებათა პირველისა სჯულისათა და ცხრათა ნეტარებათა ახლისა აღთქმისათა... (ისტ.საბ., V,31,28)

საშუალო ქართულის ძეგლებში ხშირია შემთხვევები, როცა ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის ნაცვლად ზმნასთან დაკავშირებული სახელი დგას:

ა) სახელობით ბრუნვაში. ამგვარი მაგალითები გვხვდება პროზაშიცა და პოეზიაშიც, ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში. სახელობით ბრუნვაში დასმული საწყისი საბოლოოდ გაბატონდა ახალ სალიტერატურო ქართულში:

დაასკენა წასვლა ამირან დარეჯანისძემან (ამირანდარ., 163,19);

...მე ამა მდინარისა გასვლა არ ძალ-მიც... (ქილ. და დამ., 100,26)

უბრძანა ურიცხვთა აქლემთა მათ გამოზიდვად, ეგრეთვე გარშარაბ მეფემან აახლო ძე თვისი, და მანცა უბრძანა საჭურჭლეთა მათ გამოზიდვა... (დილარ., 737,30)

ამ უკანასკნელ მაგალითში თვით ერთი წინადადების ფარგლებში გვხვდება ვითარებით და სახელობით ბრუნვებში დასმული საწყისები.

მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „სიბრძნე სიცრუისაში“ პირდაპირი დამატების ფუნქციით მხოლოდ სახელობით და მიცემით (მიცემითბრუნვიანი საწყისის მაგალითი იხილეთ ქვემოთ) ბრუნვებში დასმული საწყისი დასტურდება:

რა პარვა დაიწყო, შვილმან ხე მოაგონა (ს.-ს.ორბ., 24,12).

ბ) მიცემით ბრუნვაში: ... სასახლენი, პალატნი და დარბაზნი საკვლმწიფონი ესრეთნი იყვნეს, რომე შემსველელთა გული გამოსვლასა არღა მოინდომებდა... (დილარ., 415,11)

თუმცა მუნ მისვლას შეიძლებოთ, თქვენის სიცოცხლისა ნეშტთა მშვიდობით, მოსვენებით, ღხენით და შვებით დაასრულებთო (ქილ. და დამ., 84,9).

საგულისხმოა, რომ ერთმანეთის ახლოს, გაბმულ ტექსტში, გვხვდება როგორც სახელობითბრუნვიანი, ასევე მიცემითბრუნვიანი საწყისი:

აცნობეს მეფესა მოსლვა მის ვაზირისა. ზე აიჭრა მეფე, გარ გამოვიდა. ყელს მოეჭდო, აკოცებდა და მუნით მოსლვასა გონებდა (ს.-ს.ორბ., 19,13).

ხშირია სახელობით და მიცემით ბრუნვებში დასმული დამატების ხმარება საშუალო ქართულის კოეტიურ თხზულებებშიც:

ა) *სახელობით ბრუნვაში: დაიწყო მოსვლა* ნადირმან ყოველთა მინდორთა კიდითა (ვეფხისტყ., 17,103,20);

რასათვისცა გამოჭრილ ვარ, მისი ძებნა რადგან მინა (ვეფხისტყ., 194,1275,7);

და დაუწყო ჭერეკტა კუშტ-გვარად, გავდა მტრის გამოსეულსა (არჩილ., 184,25);

ტურფად გახარა გაბრიელ *მოსვლა* სულისა წმინდისა... (თეიმ. I, 157,1)

ბესიკის პოეზიაში შეინიშნება რედაქციული სხვაობები. მაგალითად, ძირითად ტექსტში ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი, ხოლო მის B რედაქციაში – სახელობითში: განსრულმან საცანაურით ზღვით არქე გულისსიტყვათა არღა ხსენებად ხორცთა სიავით... (ბესიკი, 85,5-6), შდრ. ზღვით საცანაურით... არღა მოხსენება ხორცთათვის (B).

ბ) *მიცემით ბრუნვაში: „...და არ მოვინდომებ უშენოდ იქილამ ამოყვანასა!“* (თეიმ. I, 14,88,4)

და პირისპირ ხილვას ვინატრი – მესმას შენი სიცილები! (ბესიკი, 95,14), შდრ.: ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებსა! (ბესიკი, 8,18)

სახელობით და მიცემით ბრუნვებში დასმული საწყისი არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში:

ა) *სახელობით ბრუნვაში: და შემდგომად ამისსა* რაოდენთამე წელიწადთა უცალო იქმნა ქეკაპოს, მეფე სპარსთა, რამეთუ იწყო ბრძოლა თურქთა (ქართლ.ცხ., I, 14,13);

ვითარ ესმა ლაშქრად წუევა მკარგრძელთაგან, სთნდა ყოველთა თქმული მათი და დაასკუნეს ლაშქრობა და იწყეს კაზმა (ქართლ.ცხ., II, 104,2);

...ასე რომ იორს გამოღმა ჩემს მამულში შენობა და წისკვილის გაკეთება შენ მოინდომე და მეც გამაბედინე და ორი და სამი წილით შენი მეტი დაიხარჯა (დოკ., II, 218,29).

ბ) მიცემით ბრუნებაში: ამათ დღითი-დღე წარმართებათა და განდიდებათა შინა იყო სკიპტრის-მპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ; უმეტეს შეუმატებდა ღმრთისმსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა, ობოლთა და ქურიეთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა (ქართლ.ცხ., II, 99,13);

თუმცა დანაშაული ექნების, მაინცა უნდა ჩვენის მთავრობისა მიიღებს დასჯასა... (დოკ., II, 304,8)

...ვახტანგ მეფე თაყას კვლთა შეპყრობასა აპირობდა... (ისტ. დოკ., 16,15)

ერთი წინადადების ფარგლებშიც დავადასტურეთ სახელობით- და მიცემითბრუნვიანი საწყისები: ხოლო ვინათგან ალექსანდრეს მოსლეა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით ადვილ გვექმნა გამეფება ფარნაოზ პირველისა მეფისა, ვინათგან მოსლეასა ალექსანდრესასა რაოდენის წლისა იყო, და რაოდენისა გამეფდა, და რაოდენ წელ მეფა, მუნავე წერილ არს („მოსლეასა წერილ არს“ ფორმაში ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციითაა) (ვახუშტი, 5,10).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკენათ: ინფინიტივის ერთ-ერთი ფუნქციაა წინადადებაში შეასრულოს პირდაპირი დამატების როლი. ძველი ქართულის დარად საშუალ ქართულშიც ამ ფუნქციით ინფინიტივი გარკვეულ გარდამავალ ზმნებთან გეხვდება, კერძოდ, იწყო, შევძლებ, ბრძანა, კვლ-ყო ზმნებთან. ყველაზე მეტად კი რელატიურ-გარდამავალ „იწყო“ ზმნასთან გეხვდება. საშუალო ქართულის პროზაულ ძეგლებში ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით ხშირად

დასტურდება. განსხვავებული ვითარება ამავე პერიოდის პოეტურ თხზულებებში, ასევე ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში, სადაც ინფინიტივი აღნიშნული ფუნქციით საკმაოდ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი.

მასალაზე დაკვირვებამ წარმოაჩინა ძველიდან ახალ ქართულზე გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენები. კერძოდ, საწყისის ვითარებითბრუნვიანი ფორმის გვერდით გვხვდება სახელობით და მიცემით ბრუნვებში დასმული საწყისი. ამგვარი ფორმები საბოლოოდ გაბატონდა ახალ სალიტერატურო ქართულში. უფრო ხშირად მათ ვხვდებით საშუალო ქართულის პროზასა და პოეზიაში, ნაკლებად – ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში. მიუხედავად ამისა, საშუალო ქართული უპირატესობას ჯერ კიდევ ვითარებითბრუნვიან საწყისს ანიჭებს, ამგვარი მაგალითები უფრო ჭარბობს.

§2. ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით

საშუალო ქართულის ძეგლებზე დაკვირვებამ გამოავლინა შემთხვევები, როდესაც ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციითაა წარმოდგენილი წინადადებაში. იგი ენაცვლება წინადადების მეორეხარისხოვან წევრს – უბრალო დამატებას. ამ შემთხვევაშიც იგი გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება.

პროზაულ და პოეტურ თხზულებებში ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით იშვიათობაა. მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს:

...ველარ შემძლებელ ვარ წინაშე თქუენსა მოსვლად (ამირანდარ., 25,10)²⁵;

²⁵ „ამირანდარეჯანიანში“ ასეთი მაგალითი მხოლოდ აღნიშნული ერთი დავადასტურეთ.

და თუცა არ დაეცია, აგრევე დასდებს, რომ ვერ მოვიდნობო, და არცა ხელჰყოფს ჭამად (ს.-ს.ორბ., 123,12);

...მზემან განგიტენე და ვარდოვანსა ველსა შეებად ღირს-გყავ... (დილარ., 83,6)

უკეთუ ვისმე უძლურება არა სჭირს და შემძლებელ არს სლუად და არა არს ფრიად გლახაკ და არა მოიწვევის ცხადად ხილულთა ამათ ქრისტეს განგებულებისა საიდუმლოთა ადგილთა, არა თაყვანის-სცემს მას, ქრისტიანობა განგრელებულად უტვირთავს... (მიმოს., 88,10)

ვირე ესე გული ჩემსა ტანსა შიგან არის, სხუისა მტერისა ბრძოლად არა მცალს (ვისრ., 128,22);

აწე სანამ დედის ჩემის საქმეს არ დავიურეებ, ქორწინებად არა მცალს (რუსუდ., 68,29);

და მეორე, მართალი რჩევა და სწორეს გაგების გზა, რომელი საქმის მეცნიერისა და ნათელ გულ-მოელვარესა, რომელი ჭირისა ღამესა გაუნათლებს, და მათ უწყალოთაგან სიბნელე მოხვეულთა და შეჭირვებულთა – სიმწარესა, იგი სიკეთით ერთობილად დადნობად ხელეწიფება, მას დაასუსტებს და გააცუდებს (ქილ. და დამ., 339,25).

აღნიშნულ მაგალითებში ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი ენაცვლება უბარლო დამატებას, რომელიც დგას თანდებულისან ან უთანდებულო მიცემითსა და ნათესაობითში.

მოვიძიეთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ნაცვლად ვითარებითბრუნვიანი საწყისისა უბარლო დამატება ნათესაობითი ბრუნვითაა წარმოდგენილი:

და შთავსხედით ნავად და მივედით მთაწმიდად, მადლობელნი ღმთისანი, რომელმან უცხოებასა შინა ჩვენსა დაგვიცვა ზღვისა სლვისა და ჳმელთა ამბოხებათაგან, მისა დიდება, ამინ (მიმოს., 16,23).

ძალზე იშვიათია ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით
საშუალო ქართულის პოეტურ თხზულებებში:

ფატმან ფერხთა მოუხვია: „არ ღირს ვარო პირსა *ჭერეტად*...“
(ვეფხისტყ., 198,1304,15)

ეგ არ არის მოსაგონად, თუმც ძლივ ღირსხარ ყმურად
ყოლად...(არჩილ., 37,25)

გაწირვად მისრულს სოფლის განსასრულს მუშთარი *შეგებად*
შეამეცანი! (ბესიკი, 63,35-36)

და კურთხეულ არს უფალი, რომელმან გამომირჩია,
უფროს მამისა შენისა ღირს მყო და მე მიმიჩნია
დაცადგინებად, მფლობელად ერისა ისრაელისა;
და ამაღ ვმღერ უფლის წინაშე, ვარ შუშპრად მშლელი კელისა.
(დავით., 114,14,1-2-3-4)

შევსევი სამუსატელი ქრისტესთვის ვინმე მიწამა,
შენუქ მიცვალა უფალმან, იგი ვერ შეჭამა მიწამა,
შევსტატი ძითურთ, მეუღლით კეთილი სიტყვა მიწამა,
და შე თუმცა *შესვლად* სამოთხეს არ დამიყნოსო მიწამა!
(თეიმ. I, 146,1-2-3-4)

განსხვავებით პროზაული და პოეტური თხზულებებისაგან
ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით დოკუმენტებში ხშირად
გვხვდება:

არავინ იყოს მოდავე და მოცილე ამის და რომელმანც ესე ჩვენი
მოცემული ნასყიდობის წიგნი და სიგელი *შეშლად* კელყოს, შერისხენ
შენ, ძლიერო ღმერთო... (დოკ. I, 334,17)

გთხოვდ უმდაბლესითა ჩემდამი უგულითადესისა ერდგულებითა,
რათა არა იქმნეს ეს უმაღლესსა ხარისხსა *მიწდენად* (დოკ. II, 304,10);

...და არა თუ ჟამისა, წამისა და წუთისა, არამედ თთვისა და წელიწადისაცა არღარა შემძლებელი ვართ *კელყოფად* (ვახუშტი, 1,5);

დაღათუ არა იქმნას ესე, ჩვენ სურვიელ ვართ *აღსრულებად* წმიდისა დამასკელის თქმულისა და პლინი სტოიკის სიტყვისა... (ვახუშტი, 9,36)

...ვერ შემძლებელ არს ყოველი სიბრძნე *გამოთქმად* სათნობათა შენთა, უდაბნოს ნათლისმცემელო... (ისტ.საბ., V, 31,37)

აწ ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, გინა დიდმა ანუ მცირემან წიგნსა ამას *შლად* ხელ-ყოს, ისიმც შეიშლება სჯულისა და ქრისტიანობისაგან, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და შერჩენებულმც იქნების წმიდის სამებისაგან და თორმეტთა მოციქულთაგან, შეიდთა კრებათაგან და ოთხთა პატრიარქთაგან და ყოველთა წმიდათაგან (ისტ.დოკ., 158,28).

თუ კიდევცა მოკუდეს, ვერავინ მკადრეს იქმნას *თხოვად* რასა გინდამე (დოკ. I, 35,6);

განმეორებით მოწერილობითა ჩემ მიერ თქვენის ბრწყინვალებისადმი მაქვს პატივი *მოხსენებად* თქვენდამი... (დოკ. II, 302,22)

ამრიგად, XII-XVIII საუკუნეთა ძეგლებზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ინფინიტივი წინადადებაში შეიძლება მოგვევლინოს უბრალო დამატების ფუნქციით. ამგვარი შემთხვევები შედარებით იშვიათია აღნიშნული პერიოდის პროზაულ და პოეტურ თხზულებებში, განსხვავებით ისტორიული დოკუმენტებისა, სადაც საკმაოდ ხშირია ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით.

§3. ინფინიტივი მიზნის გარემოების ფუნქციით

ინდოევროპულ ენებში გარკვეული ტიპის ინფინიტივი მიზნის გარემოებაზე მიუთითებს, გამოხატავს მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შინაარსს. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ძველ ქართულში. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი აქ სათანადო შემთხვევებში მიზნის გარემოებას გადმოსცემს (არ.მარტიროსოვი, 1955:43-59). იგი გავრცელებულია აგრეთვე საშუალ ქართულში. შ.ძიძიგური ამგვარ კონსტრუქციას გარემოებით-მასდარულ კონსტრუქციას უწოდებს და განმარტავს, რომ ეს ისეთი სახეობაა, სადაც ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი მიზნის გარემოებაა (შ.ძიძიგური, 1966:91-100). როგორც არ.მარტიროსოვი აღნიშნავს, ერთ-ერთი სინტაქსური ფუნქცია ინფინიტივისა, რომელიც მას XII-XIII საუკუნეებშიც კქონდა შემორჩენილი, იყო მიზნის გარემოების გამოხატვა (არ.მარტიროსოვი, 1955:45). თუმცა მასალაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ამ ფუნქციით ინფინიტივი მომდევნო საუკუნეებშიც დასტურდება და ხშირადაც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესად მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან გვხვდება. წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს, როგორც XII-XIII საუკუნეების, ასევე შემდგომი პერიოდის:

აღარ განვიდა *ნადირობად* (ამირანდარ., 18,5);

წავიდა შინა *კა ზმად* (ამირანდარ., 620,10);

მაშინვე ციხისაგან ვისი ჩამოვიდა და ჯიმშედის აგებულსა საცეცხლესა მივიდა *ლოცვად* (ვისრ., 288,16);

და ყოვლისა ქუყანისა დედანი *ჭურეტად* მოვიდეს (ვისრ., 35,34);

წაველ *ნახვად* და ოდეს მიველ, გამომეგება ბერი და უძღური, დღეთაგან მიძიმელ მიყრილი, შემიტკბო და შემიყვარა შვილისაგან

უამესად და ყმისაგან უზეშთაესად, მიმასპინძლა და მიაღერსა ზომისაგან მეტად (რუსუდ., 161,8);

მრავალი მეომარი დევი წამოსულა ჩვენად *ბრძოლად* (რუსუდ., 121,12);
თავისი სატრფიალო კაცი ეწვივა და *ლხინად* დაჯდა (ს.-ს.ორბ., 128, 14);

გავიდა მეფე და ყოველი ერი *ჭერეტად მისა* (ს.-ს.ორბ., 19,5);
უხუცესი ძმა *ვაჭრობად* გაემზადა შორთა გზათა და ხელი მოიწყო და წავიდა (ქილ. და დამ., 45,15);

უცები ქარს სდევს *შეპყრობად*, ვით მოეწვევის მღევარი? (ქილ. და დამ., 363,4)

შევასხით ქება სპასალარსა, და გარდაეხედით *მოსვენებად*... (დილარ., 292,15)

შენგე, დიდად შემძლებელო ცაო, აწ შეურეებულსა ნუ დამაგდებ მე, ნუ მიხედავ სიჭაბუკისა ამის ჩემისა აღძრვასა, და მადროე მე უმჯობესისადმი *ხედვად* და *მოქცევად*... (დილარ., 92,22)

ამად ჟამად ვეძიებდით რა გზასა იერუსალიმად აღმყვანებელსა, იყო მუნ ქარავანი დიდბალი წარმსლვეელი ზმირინად, და აღვემზადენით *წარსლვად* (მიმოს., 9,18);

როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება, დაღისტნელნი *ლაშქრად* მორბიან, ოვსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხაღისობენ (სოლ.ლეონ., 283,27).

აღსანიშნავია, რომ მიზნის გარემოებად გამოყენებული ინფინიტევის გვერდით ხშირად გვხვდება მყოფადის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში:

...ჭენთა მეფისა ასულისა *გამოსაყუანებლად* წავალო (ამირანდარ., 419,8), შდრ.ჭენთა მეფისა ასულისა *გამოყუანებად* მივალო... (ამირანდარ., 423,6)

და *საზრდელო* ხუზისტანსავე გამოგზავნა პაერისა და ქუეყანისა სიკეთისათუის (ვისრ., 37,33);

რა ვიხილე თვალითა ჩემითა ეზომი სიმწარე, გონება ჩემი შეწუხდა, ველარ დავძარ ფერხი ჩემი გზასა *წარსამართებლად* (რუსუდ., 38,16);

ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა, *საძებნელად* წავიდა (ს.-ს.ორბ., 27,26), შდრ.: აწ რადგან მომარჩინე, დამმალე, მამაჩემი მოვა *ძებნად*, ჩემს წონას თვალსა და მარგალიტს მოგცემს, ნუ მიმცემ, ვირემ თავისი მარნის კლიტე არ მოგცეს (ს.-ს.ორბ., 97,20);

შინ წაველ საყურის *სანახავად* (ს.-ს.ორბ., 39,9), შდრ.: წავიდნენ მის განშორებულისა *ნახვად* (ს.-ს.ორბ., 80,35);

საჭერეტლად ტურფად ლამაზი, სღვით მსგავსი ვერა ვნახენი! (ქილ. და დამ., 45,23) შდრ.: მრავალი ჯარი *ჭერეტად* გამოვიდენ და გარ ყოლბად მოადგენ (ქილ.და დამ., 149,24);

მაშინ მოაგონდა მეძებარი თვისი მეფესა ნადირისა მის *შესაპყრობელად* (ქილ. და დამ., 6,28), შდრ.: ქორი იხვისა *შეაყრობად* პაერთა აიწეოდა... (ქილ. და დამ., 26,19)

...დაჰხედა აბაშთა ფლოობით მპყრობელმან ბეჭედთა მათ, აღჰსტეხა და უბოძა მასვე ვაზირსა *წარსაკითხავად* (დილარ., 237,1);

და მიჩვენებდენ მონაზონსა ვისმე, ვითარმედ ამან განალო ღამე კარი *სალოცავად* საყდრისა პორტაიტისა, ხოლო განხმასა კარისასა დედაკაცი ვინმე მოადგა კარსა ბრწყინვალედ მოსილი, და ბერი ეტყოდა: ვინა ხარ შენ? (მიმოს., 21,2)

ზოგჯერ თვით ერთი წინადადების ფარგლებში დასტურდება ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი და მყოფადის მიმღეობა ამავე ბრუნვაში: მას ტვერთა შიგა ერთი ხვადი ლომი იყო, მსგავსი უზაბარისა, *ბრძოლად* და *საომრად* გამზადებული... (ქილ. და დამ., 498,9)

რაც შევნიერო იხილო ბუნების *გამოსაჩენად*,
 ავს უჭვსა ნუ დაადგრები მისი სიცუდის დაჩენად
 (ქილ. და დამ., 575, 7-8).

მყოფადის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში საბოლოოდ დამკვიდრდა
 ახალ სალიტერატურო ქართულში.

ისევე როგორც საშუალო ქართულის პროზაულ ნაწარმოებებში,
 ასევე პოეზიაშიც ყველაზე ხშირად ინფინიტივი მიზნის გარემოების
 ფუნქციით გვევლინება. მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს:

მას ადგილსა ნაომარსა გარდაეხედით *მოსვენებად* (ვეფხისტყ.,
 92,595,1);

მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად *კადრებად* ამისად (ვეფხისტყ.,
 148,973,25);

იწროების დღეს, საჭიროს, *განსვენებად* ადგილს უყოფს (არჩილ.,
 98,2);

გაუთქვირდათ მუნა მყოფთა, ყველა *მზურად* გარდმოვიდა (არჩილ.,
 185,27);

მოდით მის *ხმობად* ყოვლნი ბრძენნი ხმელთა და ზღვათნი! (ბესიკი,
 91,13)

შუად რაზმად შევლის *ფრეწად*, წინამდგომთა დამამწარობს... (ბესიკი,
 36,15)

ვითარ წარვსდგე *სჯად* ღვთისა წინა,

ვით დავმკვიდრდე წმინდათა შინა,

ვით იქნების ჩემი ცხოვნება,

ზაკვით სავსე მაქვს მე გონება! (დავით., 120, 10-11-12-13)

დაიყოლიევეს, დართო ნებანი,

შვილს დაულოცა ქორწინებანი...

რა დასწერეს ჯვარი.

კაცთა, ქალთა ჯარი

შეკრბენ *ქორწილად* (დავით., 215, 11-12-13-14-15);

მოდით, სიბრძნისა ტრფიალნო, *სმენად* სიტყვისა ტკბილისა!
(თეიმ. I, 17,22,2)

და პეტრეს სამოთხის *გაღებად* კლიტე ვერაეინ წამირთოს
(თეიმ. I, 24,2,4);

და რუ სისხლისა და წყალისა ჩვენდა *ხსნად* გარდამოეცა
(თეიმ. I, 151,33);

ნადიმად მსხდომთა სალხინოდ საქმე გაესინჯოთ სურისა...
(თეიმ. I, 115,4,1)

პროზაული თხზულებების მსგავსად საშუალო პერიოდის ქართულის პოეზიაშიც მიზნის გარემოების ფუნქციით ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის გეგრდით გეხვდება მყოფადის მიმღეობა ასევე ვითარებით ბრუნვაში:

ყმა შეეკაზმა *წასაელად*, ცრემლითა მოერწყო ველი (ვეფხისტყ., 150,983,9), შდრ.: ნუთუ ვარგო რა მას ხელსა, კელაე *წასაელად* ეთხოებოდა (ვეფხისტყ., 134, 870, 1);

რა მოეკაზმენ *წასაელად*, დედოფალს ესალმებოდეს (არჩილ., 38,30), შდრ.: წაყრილიყო სხვაგან *წასაელად*, ბაგე-ვარდი უბუტკობდა (არჩილ., 130,2);

თვალს ვერ შეგმართვენ *საქებრად*, ვერცა დახატვად მხატვარნი (ბესიკი, 95, 5-6), შდრ.: აღვახვამ *ქებად* ბაგესა, თუმც შევიძელ მკობილება... (ბესიკი, 94,30)

და დარგულან ჩვენად *საჩრდილად* შრტოდ მონაბამნი მის ხისა (დავით., 27,3,4);

„...და შენად *საფერად* დაგმლერი, არ ავად რასმე ვყვირაო“ (თეიმძ, 8,40,4);

ღმერთო, აღძარ ენა ჩემი შენ წინაშე *საქებარად*,

პირველცა ჰქმენ *დასაწყისად*, მერმე ნივთნი მთა და ბარად,

შენვე ესე ყოველივე ზღვაზუდა ჰქმენ *დასამყარად*,

და გარდამოხედ ქვეყანაზუდ, ცოდვილთათვის აღვედ ჯვარად. (ბაქარ., 17,1,1-2-3-4)

ნაცვლად ჩემთა /სიკეთეთა/აღმიმართეს/ *საკვდად* ჯვარი
(ჭაშნიკი, 21,25).

გვხვდება ისეთი მაგალითებიც, როდესაც ერთ წინადადებაში მიზნის გარემოების ფუნქციით არის ინფინიტივიც და მყოფადის მიმღობაც ვითარებით ბრუნვაში:

მაშინდა შეველ ხატაეთს *მოვლად* და *მოსათვალაუად* (ვეფხისტყ., 92,601,25);

განაშორა ბნელს ნათელი *საშრომლად* და *მოსვენებად* (არჩილ., 22,11).

აღსანიშნავია, რომ ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში ყველაზე მეტი რაოდენობით ინფინიტივი სწორედ მიზნის გარემოების ფუნქციით გვხვდება:

მაშინ ძმამან მისმან შეიკრიბნა სპანი ურიცხუნი და მიეგება *ბრძოლად* ჳევსა მას ზუდა ნასიბისასა (ქართლ.ცხ., I, 67,4);

ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა *მსახურებად* (ქართლ.ცხ., I, 131,8);

ამისად *კსნად* მნებებელმან ღმერთმან კაცთა ცთომილთა კაცობრივითა სახითა იმოქმედა, არა ძლიერებისა მომძლავრებელმან, ვინათგან ოცდა ათცამეტთა წელთა ქმნენ ნიშნი და სასწაულნი და იმეუფა ქუეყანასა ზედა მეუფემან და მექმემან ცისა და ქუეყანისამან (ქართლ.ცხ., II, 23,12);

...ფიცხლად მოვაყვანივე ცხენი *მიცემად* კუთნილისადმი (დოკ.II, 306,12);

არამედ ვინათგან ჩინგის ყვენმან დაიპყრა სრულიად დიდი თათარი ქრისტესა ჩსბ და ამ ჟამებთა შინა წარმოავლინა სპანი *განმსტრობად*... (ვახუშტი, 8,23)

და ესრეთ ერთობით აღვლესნეთ გულნი *დათხვეად* სისხლისა ტაძრისა შენისა გამოხსნისათვის (ისტ.დოკ., 130,25);

...და აწ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და ველეყავით საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ *აღშენებად* (აფხაზ.საკათ.გლ.ეხ.დიდი დავთ., 60,12);

ვაი თუ საქართველოს *საფარველად* გარდახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი ღროშის კალთები აგეხადა! (სოლ.ლეონ., 283,35)

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიზნის გარემოების ფუნქციით დოკუმენტებში უმეტესად მყოფადის მიმდებარე გვხვდება ვითარებით ბრუნვაში, ვიდრე საწყისი ამავე ბრუნვის ფორმით:

- ასე რომ, ბატონმა ჩემმან სიძემ აღიხანმა ჩემს დას პირის *სანახავად* მოგართვა... (დოკ.I, 245,24)

...აღეძრულვარ *სამსახურებლად* თქვენდა... (ისტ.საბ.,IV, 65,12), შდრ.:
...და ძალ მადებინოს მეცა რავე უძლურებისაგან ჩემისა *მსახურებად* სამღთოსა მას და ნეტარისა ზეცათა სუფევისა მობაძავისა ადგილისა წმიდისა უდაბნოსა... (ისტ.საბ., V,87,24)

...განგუაძლიერე და აღგვამაღლე ღირს ყოფით წარმართებად ცხოვრებასა მეფობისა ჩუენისასა... (ისტ.საბ., IV,60,25), შდრ.: ... რაც სიონისა ღ“თის მშობლისათუის მამულები არის შეწირული მისი საბაღახე ჩუენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად სიონისა ღ“თის მშობლისათუის შეგუიწირავს... (ისტ.საბ., IV,4,27)

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ XII-XVIII საუკუნეთა ძეგლებში ინფინიტივი ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება მიზნის გარემოების ფუნქციით. ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის გვერდით ამავე ფუნქციით გვხვდება მომავლის მიმღეობა ასევე ვითარებითი ბრუნვის ფორმით. ისტორიულ დოკუმენტებში კი მაგალითები, სადაც მიზნის გარემოება მომავლის მიმღეობითაა გამოხატული, სჭარბობს ინფინიტივის შემცველ წინადადებებს. მიმღეობიანი ფორმები საბოლოოდ გაბატონდა ახალ სალიტერატურო ქართულში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საშუალო ქართული ენობრივი თვალსაზრისით სწორედ გარდამავალი პერიოდია ძველიდან ახალი ქართულისაკენ.

განხილულ ტექსტებში მიზნის გარემოების ფუნქციით სხვა საინტერესო მასალაც მოვიძიეთ, კერძოდ, ვითარებითბრუნვიანი საწყისის გვერდით გვაქვს მიცემითბრუნვიანი საწყისი:

მე *ნადირობას* ვიყავ (ს.-ს.ორბ., 36,28), შდრ.: დღესა ერთსა წავიდა *ნადირობად*²⁶ (ს.-ს.ორბ., 27,14);

თურე მათი ხელმწიფე მისის დიდებულთა და შინა-ყმითა *ნადირობას* წასულიყო, და მას ღამესა მინდორთა დარჩომილ იყო (ქილ.

²⁶ ხელნაწერთა მიხედვით: ...*ნადირობად* წავიდა C, ...*ნადირობას* წავიდა D.

და დამ., 337,25), შდრ.: ერთსა დღესა *ნადირობად* გამოვიდა, ყოლბისა მყოლნი კაცნი სამსახურთა იჭირვოდენ (ქილ. და დამ., 174,29);

შეკაზმა მეფე, შეჯდა, *ნადირობას* გამოვიდეს (ვეფხისტყ., 17,102,13); დღესა ერთსა მეფე შეჯდა, *ნიდრობას* გამოვიდა (ვეფხისტყ., 179,1176,1)²⁷.

როგორც ვხედავთ, ამგვარი შემთხვევები „ნადირობა“ ზმნასთანაა დაკავშირებული.

საყურადღებოა, რომ თვით ერთი მაგალითის ფარგლებში ვითარებითბრუნვიანი ფორმის გვერდით გვხვდება ნათესაობითბრუნვიანი ფორმაც: ...და მოუწოდე მას *შეწვენად* და ტყვეობისაგან ჳსნად ჩემდა და თავი ჩემი *შეწვენი*სა მისისა მისდად აღუთქუ... (ისტ.საბ., V, 87, 15)

მიზნის გარემოების ფუნქციით ვითარებითბრუნვიანი ფორმის გვერდით შეგვხვდა მოქმედებითბრუნვიანი საწყისი: დაშეთებით მარად *მსახურებად* თქვენის ბრწყინვალეებისადმი თავადი თავდგირიძე ემინ ბეგ ქობულეთისა (დოკ. II, 306,1), შდრ.: დაეშთებით მარად მორჩილი *მსახურებითა* თქვენის ბრწყინვალეებისადმი თავდგირიძე ემინ ბეგ ქობულეთისა (დოკ. II, 306,18).

ზოგჯერ ინფინიტივი რთული სიტყვით არის წარმოდგენილი:

სამწყსო მისცეს *სწავლა-ჭამად*, არა ჰყვანდეს მისგან მშვირად (არჩილ., 51,37);

ქვეყანათ შენთა, მეგობართ შენთა *მოსვრა-მოწყვეტად* ბრძანებას გასცემს (არჩილ., 232,23-24).

როგორც დ.ჩხუბიანიშვილი აღნიშნავს, მიზნის გარემოების ფუნქციით ინფინიტივი შეიძლება შეგვხვდეს ყველა იმ ზმნასთან, რომელიც სემანტიკურად მიზნის გარემოებას იგუებს (დ.ჩხუბიანიშვილი, 1972:60).

²⁷ ამ მაგალითის ვარიანტში „ნადირობად“ (A¹) ფორმაა დადასტურებული

ჩვენს შემთხვევაში და საერთოდაც სიხშირით გამოირჩევა მოძრაობის გამომხატველი ზმნები. მოძიებულ მაგალითებში ინფინიტივი დაკავშირებულია შემდეგ ზმნებთან: წაეიდა (გაეიდა, განეიდა, მიეიდა, მოეიდეს, გარდმოეიდა), წაეეღ, წამოსულა, სდევს, მორბიან, გარდაეხედით, მიეგება...

თუმცა ინფინიტივი სხვა ზმნებთანაც გვხვდება: დაჯდა, გაემზადა (აღეემაზადენით), მადროე, ვიშიშვი, ეთხოებოდა, წაყრილიყო, განამრავლნა...

ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი მიზნის გარემოების ფუნქციით დამახასიათებელია როგორც ძველი ქართულისათვის, ასევე საშუალო ქართულისათვის. იგიმნაიშვილი მიუთითებს, რომ იგი გვხვდება დღევანდელ ქართულ დიალექტებშიც (იგიმნაიშვილი, 1957:746-750).

§4. ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით

ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის სინტაქსური მხარის გათვალისწინებისას, კერძოდ იმისა, თუ როგორია მისი როლი შესიტყვებაში და ამისდა მიხედვით წინადადების რა და რა წევრად გვევლინება იგი, ძველ ქართულში ვლინდება ინფინიტივის კიდევ ერთი ფუნქცია. ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი შეიძლება მოგვევლინოს ქვემდებარის ფუნქციით. ასეთ შემთხვევაში ინფინიტივი გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება. ესაა მოდალური და პირნაკლი ზმნები (დჩხუბიანიშვილი, 1972:53). ძველ ქართულში ამგვარი მაგალითები ხშირია, რასაც ვერ ვიტყვით საშუალო ქართულის მასალის გათვალისწინების მიხედვით. ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენს მიერ მოძიებულ მასალას:

საგონებელ იყო კაცთაგან ახოცად ყოველი სახსენებელი მისი (რუსულ., 563,22);

ხოლო სიბრძნისა და მეცნიერებისა მისისა შესწორებად ვისგანმცა შესაძლებელ იყო, რომელი დღე და ღამე ამას შინა შერებოდა! (რუსულ., 153,33)

„ეჰა ცაო, ესეოდენტა უბრალოთა სისხლთა დათხევა შენდა ჯერ არს მოკითხვად!..“ (დილარ., 330,2)

საშუალო ქართულის მხატვრულ ნაწარმოებებში მხოლოდ ეს მაგალითები მოვიძიეთ. თუმცა ამავე ფუნქციით გეხედება არა ვითარებით, არამედ სახელობით ბრუნვაში დასმული საწყისი:

- კეთილსა იტყვი სიტყვასა და მაშინც ხამს პოენა მისიო (ს.-ს.ორბ., 52,8);

- სიკეთისა და სიაეისა მოსელა, სარგებელი თუ დასაკლისი, სოფლისა ვითარება ზედა არს (ქილ. და ღამ., 231,33);

ნუშრევანმან ტკბილად რასმე შემოჰსცინა და მოახსენა: „მზემან თქვენმან, არა ხუმრობა არს და პურობა ჯერ არსო“ (დილარ., 461,11);

ჭამადთა გემოვნებისა გამოთქმა შეუძლებელ იყო, თუ ვითარ შეემზადებინათ ეგრეთ კეთილად და გემოვნად (დილარ., 416,17).

სახელობით ბრუნვაში დასმული საწყისი ჩვეულებრივ გარდაუვალ ზმნებთანაც გეხედება, სადაც ასევე ქვემდებარის ფუნქციით უნდა იყოს წარმოდგენილი:

მოვიდნენ მეფენი, მოულოცეს გამარჯვება, გარდასწყდა ბრძოლა და გარდავხედით მოსვენებად, ფართა ზედა თავი მივიდეთ და დავიძინეთ მწუხრადმდე (დილარ., 298,4);

მეფე საურმაგ გარდავიდა ტახტით, თაყვანი-ჰსცა დილარს და მუხლს აკოცა. დასხდეს და შეიქმნა პურობა და მხიარულება (დილარ., 418,6).

XII-XVIII საუკუნეთა პოეტიკურ თხზულებებში ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით არ გეხვედება.

აქაც მოვიძიეთ მაგალითები, სადაც ინფინიტივი სახელობით ბრუნვაშია:

უცხოთ ენისა დაჭირვა საძრახად ქებად *კმარისო* (არჩილ., 182,18);

ვით *ითქმის ქება* მეფისა ღვთივ დაცულ, დაფარულისა... (თეიმძ., 135,79,1)

განსხვავებით პროზისა და პოეზიისა ამგვარი მაგალითები მოვიძიეთ ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში:

და ვითარცა იხილეს საქმე ესე მღუდელთა მათ სიცრუვისათა, აღივსნეს შურითა და იწყეს ცილობად და წინააღმდეგომად მოციქულისა, ეგრეთვე ვრი იგი რომელნიმე იტყოდეს: „*ჯერ არს თაყვანისცემად რომელმან ესევეითარი სასწაული აღასრულა*“, ხოლო რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „აპოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი“ (ქართლ.ცხ., I, 41,5);

ხოლო წმიდამან ანდრია მიუგო და პრქუა: „სხუათაცა ქალაქთა და სოფელთა *ჯერ არს* ჩემდა *ქადაგებად* სახარება უფლისა“ (ქართლ.ცხ., I,41,35);

რამეთუ აწ მოეფინა მადლი ღმრთისა ქართლსა, და მის ხისაგან *ჯერ არს შექმნად* ჯუარი პატიოსანი, რომელსა თაყვანის-ცეს ყოველმან სიმრაველმან ქართლისამან (ქართლ.ცხ., I,119,13);

ხოლო კვალად წიგნი ფილასოფოსთა მიერ ქმნულნი აღგვაესებენ სიბრძნითა, ჳელოვნებითა და სიტყვიერებითა, გვაცნობებენ თავსა და გვასწავებენ, ვითარ *ჯერ არს ცხორებად*, და მიღტოვილ გვეყოფს ღვთისა მიმართ (ვახუშტი, 2,31);

...ადწერა მოსემ ღვთისმხილველმან შესაქმე შემდგომად ხუთისა ხსოვნისა სულითა წმიდითა, ვინათგან არღარა შესაძლებელ იყო შემდგომად ხსოვნად, და გვეუწყების დასაბამითგანი სრულიად...(ვახუშტი, 2,16)

ქკა, მეუფეო უფალო, თუით დაუსაბამო და აუგებელო ყოვლისავე... სიტყუით და წამის ყოფით სიბრძნით დამაარსებელო, რომლისა ძლიერება და სიბრძნე გამოუთქმელ და მიუწდომელ ცნობით დათქმად შეუძლებელ არს... (ისტ.საბ., IV,38,27)

საწყისი სახელობით ბრუნვაშია:

და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის (ქართლ.ცხ., I,32,6);

და იყო ხილვა მისი შუენიერი, ვითარცა სმენით ვიცით, ხისა მის ალვისა (ქართლ.ცხ., I, 120,2);

...მაგრამ ამ ეკლესიაში არც მკუდრის დამარხვა იქმნება. არც სასაფლაოთ გაკეთება, და არც სასაფლაო სახუცოთა გაკეთება... (ისტ.საბ., V,82,7)

შეგვიძლია დავასკენათ: განსხვავებით ძველი ქართულისაგან, სადაც ინფინიტივი ხშირად გვხვდება ქვემდებარის ფუნქციით, საშუალ ქართულში მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევა დავადასტურეთ. ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი ძირითადად გარდაუვალ მოდალურ და პირნაკლ ზმნებთან გვხვდება.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ინფინიტივის ჩამოყალიბებული სისტემის მქონე ენებში (ბერძნულში, რუსულში...) ჩვეულებრივია ინფინიტივის ხმარება ზემოთ განხილულ პოზიციებში ჩამოთვლილ ზმნათა ანალოგიური სემანტიკის მქონე ზმნებთანაც (დჩხუბიანიშვილი, 1972:70).

აღსანიშნავია, რომ საშუალო ქართულის მხატვრული და პოეტიკური თხზულებებისგან განსხვავებით, ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით უფრო ხშირად გვხვდება.

XII-XVIII საუკუნეთა ძეგლებში მოვიძიეთ სახელობით ბრუნვაში დასმული საწყისი ამავე ფუნქციით.

§5. ინფინიტივი პრედიკატული წევრის ფუნქციით
(შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად)

ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი ძველ ქართულში იხმარება აგრეთვე შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად. მას ჩვეულებრივ აწმყოს მეშველი ზმნა „არს“ ახლავს და მყოფადის მნიშვნელობა გააჩნია. არმარტიროსოვი აღნიშნავს, რომ სხვა ენებში (რუსულში, ბერძნულში, გერმანულში, სომხურში...) ასეთი შედგენილი შემასმენლის შესატყვისად ზმნა, ინფინიტივი ან მომავლის მიმღეობა გვაქვს (არმარტიროსოვი, 1955:43-59).

შინაარსობრივად ასეთი შედგენილი შემასმენელი აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას, ანუ კატეგორიულობას გამოხატავს, რის გამოც სამეცნიერო ლიტერატურაში მას „აუცილებლობის მყოფადს“ უწოდებენ. შემდგომში ამ აღწერით ფორმებს შეენაცვლა ზმნის კავშირებითის ფორმა მყოფადის მნიშვნელობით, მაგ.: *ყოფად არს* ფორმა შეცვალა *იყოს* ფორმამ. ამას ადასტურებს ნ.კოტინოვი, რომელიც შენიშნავს, რომ ოთხთავის რედაქციებში ე.წ. „აუცილებლობის მყოფადს“ შეესატყვისება კავშირებითის ფორმები მყოფადის მნიშვნელობით, ეს

უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ძირითადი საშუალებაა მომავალი დროის გადმოსაცემად ძველ ქართულში (ნ.კოტინოვი, 1965:95-103).

ივ.ქავეთარაძე მიმღეობიანი ფორმების წინა საფეხურად ძველი ქართულის საწყისის ვითარებითბრუნვიან და მეშველზმნიან კონსტრუქციას გამოყოფს. იგი აღნიშნავს, რომ *მოსაცემს არის* ტიპის გამოთქმები განვითარებული სახესხვაობაა *მიცემად არს* კონსტრუქციისა. იგი თავის მხრივ არ განსხვავდება *მისაცემად* ფორმისაგან და ამითაც აიხსნება ამ უკანასკნელის ხმარება სათანადო კონტექსტში: ეს ვალიც მე დამადო *მისაცემად*: ხელნაწ. ინსტ. Hd-3162, XVIII ს. (ივ.ქავეთარაძე, 1960:199-208). განვითარების ამგვარი საფეხური, ჩვენი აზრით, სრულიად შესაძლებელია, რადგან საშუალო ქართულის ძეგლებში მოძიებული მასალა ცხადყოფს, რომ ვითარებითბრუნვიანი საწყისის ადგილი დაიჭირა მყოფადის მიმღეობამ. ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში მათი პარალელური ხმარებაც დასტურდება²⁸.

ინფინიტივი პრედიკატული წევრის ფუნქციით საშუალო ქართულის მხატვრულ ნაწარმოებებში იშვიათად გვხვდება:

...ხვალ შუადღესა უკან ჩემთა ხელთა შინა *მოსვლად ხარო* (რუსუდ., 516,35);

მაღალო ხელმწიფეო, კურთხეულმცა არის მიწა იგი, რომელმან ზავისებრი ნაყოფი გამოიღო, რომელი ადრე *მოსვლად არს* თქვენსა წინა (რუსუდ., 93,16).

თუ ჭირნი ვისგანმე მოსცემია, მან მასცა ჭირისა ბადე აუბას, რას ავს ემართლებიან? ანუ რა ჭირი *მისაგებად არს?* (ქილ. და დამ., 81,4)

შეგვხვდა საწყისი სახელობით ბრუნვაში:

1

²⁸ იხ. ინფინიტივი მიზნის გარემოების ფუნქციით, გვ.30.

აე გუნება და უგვარო კაცის გაწერთა და გაწყობა – თვისი პირის წყალთა გაშვება არს და თვისის საქმიანობისა საბელთა წვერთა დაკარგვა (ქილ. და დამ., 102,6).

ასევე იშვიათობაა ინფინიტივი შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად საკვლევი პერიოდის პოეზიაში. დავადასტურეთ მხოლოდ ერთი მაგალითი:

მითხრა: „ყარიბო, რად სიკვდილს პლამი, რადგან მოსვლად არს სასურვო წამი...“ (ბესიკი, 14,24-25)

მხოლოდ ორი მაგალითი მოვიძიეთ აღნიშნული პერიოდის ისტორიულ თხზულებებში, როდესაც ინფინიტივი შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაა წარმოდგენილი:

და რქუა არტავაზს: „უკეთუ განძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელ ჩუენი აქა ყოფად არს“ (ქართლ.ცხ., I, 178,1);

გარნა ვინათგან ცუდ საგონებელ იქმნა და აღარ დაებადა ღმერთსა სწორი ამისი, არცა მგონიეს თუ დაბადებად არს, გამო-ვინმე-ჩნდა მეტყუელი მკვდრთა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთ-მეფისაგან წყალობა-კვლდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან... (ქართლ.ცხ., II, 36,16)

ნ.კოტინოვის აზრით, „ყოფად არს“ ფორმა, რომელიც ასევე გვხვდება ოთხთავის რედაქციებში, მიღებული ჩანს „ჯერ-არს ყოფად“ კონსტრუქციისაგან. „ჯერ“ ხშირი გამოყენების შედეგად უნდა დაკარგულიყო, რასაც ადასტურებს რედაქციათა შედარება. DE რედაქციაში „ჯერ არს“ დასტურდება, ხოლო C რედაქციაში შესაბამისად – „არს“ (ნ.კოტინოვი, 1965:95-103). თუმცა „არს“ მეშველი ზმნის და „ჯერ-არს“ ფორმის პარალელურ ხმარებას ადასტურებს თ.შარაძენიძე (თ.შარაძენიძე, 1956:420-433). პირველ შემთხვევაში ჯერ ვითარებით

ბრუნვაში დასმული საწყისი გვაქვს და შემდეგ „არს“ ზმნა, მაგ.: მიცემად არს, მეორე შემთხვევაში კი ჯერ გვაქვს „ჯერ არს“ ფორმა, ხოლო შემდეგ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი, მაგ.: ჯერ არს მიცემად. როგორც თ.შარაძენიძე აღნიშნავს, ამ კონსტრუქციას შესაძლებელია ჩვეულებრივი მყოფადიც შეენაცვლოს:

ორისა დღისა შემდგომად ზატიკი ყოფად არს, და ძმ კაცისაჲ მიცემად ჯუარ-ცუმაღ: მ 2^ბ, 2^ც

შდრ.ტბეთ.: შემდგომად სამისა დღისა ვნებაჲ იყოს და ძმ კაცისაჲ მიეცეს ჯუარცუმაღ... (თ.შარაძენიძე, 1956,420-433)

ამრიგად, XII-XVIII საუკუნეების ძეგლებში ინფინიტივი პრედიკატული წვერის ფუნქციით (შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად) ძალზე იშვიათად გვხვდება, ფაქტიურად, ამგვარი ფორმები გამოსულია ხმარებიდან.

შეგვიძლია დავასკენათ: ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის ანუ ინფინიტივის სინტაქსური ფუნქციის შესწავლისას გამოვყავით მისი როლი წინადადებაში. ძველი ქართული ენის მსგავსად, საშუალ ქართულშიც იგი გვხვდება პირდაპირი დამატების, უბრალო დამატების, მიზნის გარემოების, ქვემდებარისა და პრედიკატული წვერის (შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად) ფუნქციით. ამ ფუნქციათა მიხედვით ინფინიტივი ჩვენ განვიხილეთ XII-XVIII საუკუნეების ძეგლთა მიხედვით. მასალათა გარკვეული რაოდენობრივი სხვაობაა ჟანრების მიხედვით, კერძოდ, ზოგ შემთხვევაში განსხვავებულ სურათს გვაძლევს პროზა, პოეზია, ისტორიული თხზულებები და დოკუმენტები. ყველაზე მეტად ასეთი თვალსაჩინო ჟანრობრივი სხვაობა გამოჩნდა, როდესაც ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით გვევლინება. ამგვარი შემთხვევები შედარებით იშვიათია აღნიშნული პერიოდის პროზაულ და პოეტურ

თხზულებებში, განსხვავებით ისტორიული დოკუმენტებისა, სადაც საკმაოდ ხშირია ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით. ასეთივე ვითარებაა მაშინაც, როდესაც ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით გვხვდება. ხოლო რაც შეეხება ინფინიტივს პრედიკატული წევრის ფუნქციით, აქ, მართლაც, თითზე ჩამოსათვლელი შემთხვევები გვაქვს ყველა ჟანრის მიხედვით.

საინტერესო შემთხვევებს წავაწყდით თითოეული ფუნქციის განხილვისას, კერძოდ, პირდაპირი დამატების ფუნქციით ინფინიტივის როლში გვხვდება არა მარტო ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი, არამედ მიცემითსა და სახელობითში დასმული საწყისიც. ჩვენთვის გასაზიარებელია ნ.კოტინოვის შეხედულება, რომ საშუალ ქართულში გვხვდება მაგალითები, სადაც მიცემითში დასმული საწყისი ისეთ კონტექსტშია წარმოდგენილი, როგორშიც თანამედროვე ქართულში არ გვექნებოდა²⁹ /შესლვას არა ღირს ვარ/ (ნ.კოტინოვი, 1986:62-82). მართლაც, „მისვლას შეიძლება“, „მოსვლასა გონებდა“ ფორმების გვერდით აღნიშნულ ზმნებთან მოსალოდნელია ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი. გარდა ამისა, მიზნის გარემოების ფუნქციით როდესაც არის წარმოდგენილი ინფინიტივი, გვხვდება მიცემითის ფორმა ვითარებითის ფორმის გვერდით (დავადასტურეთ მხოლოდ „ნადირობას“ ფორმა რამდენიმე შემთხვევაში).

ასეთი საწყისი ნაკლები ზმნური თვისებების შემცველია და გასუბსტანტივების გზაზე დგას. აბსოლუტურ გარდაუვალ ზმნებთან მის მიზნევას პირმიმართ დამატებად არა აქვს გამართლება (ნ.კოტინოვი, 1986:62-82).

²⁹ აღნიშნული კონსტრუქცია დამახასიათებელია თანამედროვე ქართული სთესისა, მაგრამ არა ინფინიტივის ფუნქციით.

როგორც არ.მარტიროსოვი აღნიშნავს, ვითარებითისა და მიცემითის მონაცვლეობა კანონზომიერი ჩანს, რადგან მათი პარალელური გამოყენება სახელებშიც დასტურდება. ამ ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციების მსგავსება და მათი მონაცვლეობა საზოგადოდ გამართლებულია იმ მხრივ, რომ გენეტურად ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან ისევე, როგორც მოქმედებითი - ნათესაობითს (არ.მარტიროსოვი, 1958:43-59).

რაც შეეხება სახელობით ბრუნვაში დასმულ საწყისს ვითარებითბრუნვიანი და მიცემითბრუნვიანი საწყისების გვერდით, აქ ერთი კითხვა დაგვებადა: „გასელა არ ძალ-მიც“ და „უბრძანა გამოზიდვა“ ფორმები ერთი და იგივე ოდენობაა თუ არა? რადგან „არ ძალ-მიც“ ძველი და საშუალო ქართულისთვისაა დამახასიათებელი და ახალ ქართულში არ გადმოსულა, ხოლო „უბრძანა“ ახალ ქართულშიცაა.

სახელობითში დასმული საწყისი ვითარებითსა და მიცემითში დასმულ საწყისებთან შედარებით ყველაზე გვიანდელია და ნაკლები ზმნური თვისებებით ხასიათდება, თუმცა მაინც ინფინიტივად მიიჩნევა იმის გამო, რომ წინადადებაში ქვემდებარისა და დამატების ფუნქციას ვერ იკუბებს და სემანტიკურად შემასმენელს უახლოვდება (ნ.კოტინოვი, 1986:62-82).

მიზნის გარემოების ფუნქციით ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის გვერდით ამავე ფუნქციით გეხვდება მომავლის მიმდებარე ასევე ვითარებითი ბრუნვის ფორმით, რომელიც საბოლოოდ გაბატონდა ახალ სალიტერატურო ქართულში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საშუალო ქართული გარდამავალ საფეხურს გვიჩვენებს ძველიდან ახალი ქართულისაკენ.

საინტერესოა, რომ ამ ფუნქციით ვითარებითბრუნვიანი საწყისის გვერდით გვაქვს მიცემითბრუნვიანი საწყისი. იგი უჩვეულოა როგორც ახალი ქართულისათვის, ისე ძველისთვის (ნ.კოტინოვი, 1986:62-82). ამ ფორმით გვხვდება მხოლოდ „ნადირობას“ სიტყვა. დაედასტურეთ ასევე ნათესაობითბრუნვიანი და მოქმედებითბრუნვიანი საწყისებიც.

თავი II

ინფინიტიური კონსტრუქცია

ინფინიტივს, რომელსაც ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისით გადმოვცემთ, გააჩნია დამოუკიდებელი სინტაქსური ფუნქცია, კერძოდ, მას აქვს სახელის ბრუნვაში მართვის უნარი, რაშიც გამოიხატება მისი ზმნური თვისება. ინფინიტივმა შეიძლება შექმნას გარდაუვალი ერთპირიანი და ორპირიანი, გარდამავალი ორპირიანი და სამპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია. ამის მიხედვით, მას შეიძლება დაუკავშირდეს პირდაპირი და ირიბი ობიექტი შესაბამის ბრუნვებში და ასევე იშვიათად სუბიექტიც. განვიხილოთ თითოეული კონსტრუქცია:

§1. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია

როგორც დ. ჩხუბიანიშვილი აღნიშნავს, ინფინიტივი, რომელიც აბსოლუტურ-გარდაუვალ ზმნას შეესაბამება, ჩვეულებრივ, ზმნურ კონსტრუქციას არ ქმნის (დ. ჩხუბიანიშვილი, 1972:73):

წაიდა შენა კა ზმად (ამირანდარ., 620, 10);

მაშინვე წასლვად კა ზმა დაიწყო (ვისრ., 139, 14);

მერე მულანს პლამოდეს წასლვასა ზღუისა პირსა *ნადირობად* (ვისრ., 103,3);

ხანამდი *ლოცვად* ვიდექ (რუსუდ., 540, 14);

როგორც ამ სასახლის შუა ხარო, ისე შუაგულს ჯოჯოხეთში *ჩასვლად* მზა ხარო (რუსუდ., 526, 9);

ხალიფა *ლოცვად* იდგა, ზურგი კარისაკენ ჰქონდა, არაბი ვერა ნახა (ს.-ს. ორბ., 34, 7);

მეფე მაღალთა დერეფანთა ზედა ჯდა *ნადიმად* და მგოსანნი იგი იმდერდეს (ს.-ს. ორბ., 9, 36);

მთომინებისა სიმტკიცე მოუსუსტდა, უსასობისა და ანგარებისა ქარტა მოჩხაბა, ღეთის საწყენი და კაცთა დასაშორებელი საქმე კისერთა დაიდგა, და მას ბნელთა ღამეთა მშიშრეულითა გულითა *სლვად* იწყო (ქილ. და დამ., 149, 16);

დღესა ერთსა *ნადირობად* გავიდა (ქილ. და დამ., 79, 19).

ძალიან იშვიათად ძველ ქართულში ასეთ ინფინიტივს სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი უკავშირდება, რომელიც შესაძლებელია ინფინიტივის სუბიექტად იქნეს გაგებული იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი შეიძლება იყოს ან სუბიექტი, ან პირდაპირი ობიექტი, ხოლო ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის შესაბამის ინფინიტივთან პირდაპირი ობიექტი ვერ იქნება. გარდა ამისა, სათანადო ზმნურ კონსტრუქციად გადაქცევის შემთხვევაში ეს სახელი ზმნის სუბიექტს წარმოადგენს (დ. ჩხუბიანიშვილი, 1972:73). ასეთი შემთხვევა ჩვენ ვერ დავადასტურეთ. ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებული სახელობითბრუნვიანი სახელი ძირითადი ზმნის სუბიექტს უდრის: „*ხალიფა ლოცვად იდგა...*“, „*მეფე მაღალთა დერეფანთა ზედა ჯდა ნადიმად...*“ აგრეთვე:

ზღვა პეშვით აღმოშრობად *პხინდეს*, იყოს ეეშაპთა მნთქმელია...
(დილარ., 292, 4)

შეგახვდა ისეთი მაგალითი, როდესაც ინფინტივთან დაკავშირებული სახელი მიცემით ბრუნვაში დგას:

„...შენ რად არ დაუთმო მცირესა მაგას განსაცდელსა და არა დააცადებ *მოწვენად* მრავალსა *კეთილსა*, რომელი განუმზადებია შენთვის ღმერთსო? (რუსუდ., 571, 20) აქ ზმნური მართვის ძალა ვლინდება.

შემთხვევები, როდესაც ინფინტივი გარდაუვალი ერთპირიანი ზმნის შესაბამის კონსტრუქციას ქმნის, მრავლადაა საშუალო ქართულის პოეტიკურ ნაწარმოებებშიც:

ტახტი დადგით მალრიბული, ჩემად *მოსვლად* ნურას მეღი
(ვეფხისტყ., 65, 423, 10);

და მუნ გარდავხე *მოსვენებად*, დამხედეს რამე ხენი ლაღნი
(ვეფხისტყ., 114, 741, 10);

და კვლა დავსხედით *გახარებად*, მუნებურნი არ ვიყვენით
(ვეფხისტყ., 199, 1309, 12);

სიარული, მარტოება შეენის, *გაჭრად* დაეთვლების (ვეფხისტყ., 7, 40, 14).

ამ უკანასკნელი მაგალითის ვარიანტში საწისის ვითარებითი ბრუნვა შეცვლილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: გაჭრა (ქ).

სხვა მაგალითები:

იცოდღი, ძალუც ამასა ცად *აღსლვად*, შემტკიცებისა (არჩილ., 120, 11);

იწროების დღეს, საჭიროს, *განსვენებად* ადგილს უყოფს (არჩილ., 98, 2);

ვით სონდულს დრო ხედა *შეფრინვად* წეროთა დამზარ ბაიას (ბესიკი, 32, 24);

განსვენებად მიიყვანეს, დაუფინეს ერთი გომი... (ბესიკი, 56, 33)

მაღლა ზეცადა *აღსვლად* შემზერდა (დავით., 271, 6, 4);

კაცთა, ქალთა ჯარი შეკრბენ *ქორწილად* (დავით., 215, 241, 4-5).

ზმნური მართვის შემთხვევა, ანუ, როდესაც ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი შეიწყობს სახელს, საშუალო ქართულის აღნიშნულ ძეგლებში ვერ დავადასტურეთ.

შეგვხვდა მაგალითი, სადაც ინფინიტივთან მდგარი სახელი ძირითადი ზმნის პირდაპირ ობიექტს წარმოადგენს. ხოლო ამ ინფინიტივის ზმნად გადაქცევის შემთხვევაში, აღნიშნული სახელი სუბიექტად მოგვევლინება:

ბიჭი მოჩივრად გაგზავნა წინა,

თვით უკან მიყვა, მივიდა შინა... (დავით., 200, 137, 1-2)

არცთუ ისე ხშირია, მაგრამ მაინც გამოვლინდა გარდაუვალი ერთპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის შექმნის შემთხვევები XV-XIX საუკუნეების ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში, ასევე ისტორიულ თხზულებებში:

ხოლო კვალად წიგნნი ფილასოფოსთა მიერ ქმნულნი აღგვაესებენ სიბრძნითა, კვლოვნებითა და სიტყვიერებითა, გვაცნობებენ თავსა და გვასწავებენ, ვითარ ჯერ არს *ცხორებად*, და მიღტოლვილ გვეოფს ღუთისა მიმართ (ვახუშტი, 2, 31);

... რომლისა ძლიერება და სიბრძნე გამოუთქმელ და მიუწვდომელ ცნობით *დათქმად* შეუძლებელ არს ... (ისტ. საბ., IV, 38, 32)

და იწყეს *ბრძოლად*, და გამოჩნდეს ორთავე შორის მუნ ბუმბერაზნი (ქართლ. ცხ., I, 31, 20), ვარიანტში გვხვდება „ბრძოლა“ ფორმა (cm);

დღესა ერთსა ზაფხულისასა, თუესა იელისსა ოცსა, დღესა შაბათსა, განვიდა მეფე *ნადირობად* მუხნართ-კერძო, და მოუჭდა უჩინო იგი მტერი, ეშმაკი, და შთაუგდო გულსა სიყუარული კერძთა და ცეცხლისა ... (ქართლ. ცხ., I, 108, 17)

როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა *ყოფად* ... (ქართლ. ცხ., II, 75, 2)

მოვიძიეთ ისეთი იშვიათი შემთხვევები, როდესაც გარდაუვალი ერთპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის შექმნის შემთხვევაში ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან დაკავშირებულია სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი:

მაშინ რქუეს: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვლისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუართთა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყენებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა“ (ქართლ. ცხ., I, 125, 11);

დაყენეს რა დღენი ზამთრისანი, და მოიწივნეს დღენი ზაფხულისა არისანი, და განდიდნეს მდინარენი, წარმოვიდა მეფე მუნით და მოვიდა არატსა ქალაქსა, და განზადებულ იყო *კოსარო მეფე* კუალად *შესღვად* სპარსეთს (ქართლ. ცხ., I, 61, 11). ამ უკანასკნელ მაგალითში ინფინიტივთან სუბიექტი დაკავშირებულია იმავე ფორმით, რა ფორმითაც იგი ზმნასთან გვხვდება. როგორც დ. ჩხუბიანიშვილი აღნიშნავს, ეს უჩვეულო მოვლენაა და, თუ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია დასაშვებია, იგი ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისით გადმოცემული ინფინიტივის სხვა ენათა ინფინიტივისაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს (დ. ჩხუბიანიშვილი, 1972:74).

დავადასტურეთ აგრეთვე მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის დაკავშირება ინფინიტივთან:

და ბრძოლა მტერი იგი უჩინო, აყენებდა *აღსარებად ქრისტესა*, გულსა შთაუგდებდა სასობასა კერპთასა და ცეცხლისასა (ქართლ. ცხ., I, 105, 23). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ინფინიტივთან სახელობით ბრუნვაში მდგარი სახელის დაკავშირების დროს, ვლინდება ზმნური მართვის შემთხვევა, ვინაიდან სუბიექტის ბრუნვები არის სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი. სწორედ მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაა დაკავშირებული სახელი ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან შემდეგ მაგალითებში:

და წარცდა ამათ შინა წელიწადი თორმეტი, და იწყო *შენებად ქართლმან* (ქართლ. ცხ., I, 243, 6), ვარიანტში გვხვდება „ქართლსა“ ფორმა (Mm);

რამეთუ ამიერითგან იწყეს ნიაეთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჭვრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თუთოსახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო *აღმოცისკრებად მზემან* ყოველთა მეფობათამან... (ქართლ. ცხ., I, 323, 17)

აღნიშნულ კონსტრუქციაში საწყისი ზოგჯერ სახელობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმით გვხვდება:

სახელობით ბრუნვაში:

რა ბოროტისაგან მოიცაღის, დაიწყის *ლოცვა* და ტირილი (ს.-ს.ორბ., I, 19, 34);

მაშინ კუმ ღრინაკალი ზურგთა აღისეა, მკერდი წყალთა დააპყრა და *ცურეა* დაიწყო (ქილ. და დამ., 101, 8);

ავდეგ, ვცნა მათი ამბავი, *წახელა* ვქენ მითვე წამითა (ვეფხისტყ., 100, 650, 14);

თუ არ უცილოდ, რაცა გვაქვს ღხენა, მიგელოს, იწყო უკვალოდ *რბენა!* (ბესიკი, 36, 7-8)

...იწყე ქადაგება უფლისა ქვეყანად გარდამოსვლა პირითა დედისათა და გამორახვედ მიერ სიჩოთაგანე... (ისტ. საბ., V, 31, 27)

რამეთუ ესმა პირველ წარწყმედა და კუალად მოსლეა მშუდობით, და მიეგებოდეს ქინძარას და ღართას (ქართლ. ცხ., I, 110, 14).

მიცემით ბრუნვაში:

ორნი მწვეარნი ნადირობას დადიოდენ (ს.-ს. ორბ., 136, 21);

თურე მათი ხელმწიფე მისის დიდებულითა და შინა-ყმითა ნადირობას წასულიყო, და მას ღამესა მინდორთა დარჩომილ იყო (ქილ. და ღამ., 337, 25);

თუმცა დანაშაული ექნების, მაინცა უნდა ჩვენის მთავრობისა მიიღებს დასჯასა ... (დოკ. II, 304, 8)

და იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისყოფელ ერთმანერთისა, მოელოდეს მოსლევასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა (ქართლ. ცხ., I, 15, 19).

სახელობით - და მიცემითბრუნვიანი საწყისები ერთი წინადადების ფარგლებშიც გეხედება: ხოლო ვინათგან აღექსანდრეს მოსლეა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით ადვილ გვექმნა გამეფება ფარნაოზ პირველისა მეფისა, ვინათგან მოსლევასა აღექსანდრესასა რაოდენის წლისა იყო, და რაოდენისა გამეფდა, და რაოდენ წელ მეფა, მუნავე წერილ არს (ვახუშტი, 5, 10).

§2. გარდაუვალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია

ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს შეიძლება დაუკავშირდეს მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი და შექმნას გარდაუვალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია. ამ შემთხვევაშიც ზმნური

თეისებები იჩენს თავს, რითაც ვითარებითბრუნვიანი საწყისი ზმნა-შემასმენებს უახლოვდება.

ამგვარი მაგალითები ძალიან იშვიათია საშუალო ქართულის მხატვრულ ძეგლებში. მთელ რიგ ნაწარმოებებში, მაგალითად, „ამირანდარეჯანიანში“, „ვისრამიანში“, „სიბრძნე სიცრუისაში“, „ქილილა და დამანაში“... ზმნური მართვის შემთხვევები ვერ დავადასტურეთ. ქვემოთ წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას:

ხელმწიფემან პირმიწაგაერთებით მადლი მოახსენა და, როგორც მუხლს კოცნად წადგეს, ზავ უკუმოხლტა და არა აკოცინა (რუსუდ., 97, 1);

ამისა შემდგომად აღისურვა წმიდად ქალაქად იერუსალიმად აღსლვა, თაყუანისცემად ცხოველსმყოფელსა საფლავსა უფლისასა და დადგომად მონასტერსა ჯვარისასა ქართველთა თანა, ვინაცა შეპყრობილ იქმნა უსჯულოთაგან და მრავალი სატანჯველი თავს ისხა (მიმოს., 83, 9);

... ამისთვის მწირობად და უცხოებადმი წარსლვის ჰელყოფად ვისწრაფდი და აღსლვად წმიდად ქალაქად იერუსალიმად, თაყუანისცემად ცხოველსმყოფელსა საფლავსა უფლისასა... (მიმოს., 6, 10)

ზოგჯერ ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან დაკავშირებულნი სახელი ნათესაობით ბრუნვაშია. ამგვარი სახელი ინფინიტივის წინა და მომდევნო პოზიციაში გვხვდება. მკვლევართა აზრით, ნათესაობითში დგას, როდესაც წინ უსწრებს ვითარებითში დასმულ საწყისს, ხოლო როდესაც მოსდევს მას – ნანათესაობითარ ვითარებითშია (არ. მარტიროსოვი, 1955: 52; დ. ჩხუბიანიშვილი, 1972:75; თ. შარაძენიძე, 1956: 420; ა. კიზირია, 1956: 226; ვ. თოფურია, 1956: 32; მ. ძიძიშვილი, 1956: 33):

წინა პოზიციაში:

...გახსოვს-ღა, ბადრი იამანიძის შევლად რომ მოვიდოდით?
(ამირანდარ., 802, 26)

ღა ყოვლისა ქუეყანისა დედანი ჭურეტად მოვიდეს, მათაღლა
სძლისა ჭურეტად (ვისრ., 35, 34);

თუ მამაჩემი ასე დაიპყრა ამისმა მძლავრებამა, რომ შეილის
მიხედვად ვერ შემძლებელ არს, მე რაღა მიხსნის ამისის ჭანგისაგან-
მეთქი?! (რუსუდ., 573, 7)

ნათელო ყოვლად სატრფოო, ბრძენთა მოწთომად ბნელოდა...
(დილარ., 5, 9)

ამგვარი მაგალითები ძალიან იშვიათად გვხვდება პროზაულ
ნაწარმოებებში, კიდევ უფრო იშვიათია შემთხვევები, როდესაც
ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი ინფინიტივის მომდევნო
პოზიციაშია:

გავიდა მეფე და ყოველი ერი ჭერეტად მისა (ს.-ს. ორბ., 19, 5);

სიბერის სენმა დაფდაფსა რა დაპკრას სმენად ყურისა,

მხცო მოციქული საკედავი, ვის მოსვლად არა სურისა,

ძალის მოკლება, ლხინთ წასვლა, რა ნახო უსუსურისა,

ზურგისა მოხრა საღამი, სიკედელს რა მიეწურისა (ქილ. და დამ.,

32, 16-17-18-19);

მოდგნენ სპანი ყოველნი ჭერეტად მათ ძლიერთა კვლმწიფეთა
ბრძოლისა (დილარ., 700, 6).

ისევე როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში, საშუალო ქართულის
პოეზიაშიც იშვიათად თუ მოიძებნება მაგალითები, სადაც გარდაუვალი
ორპირიანი ზმნის შესაბამის კონსტრუქციაში ზმნური მართვის
შემთხვევები დასტურდება. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ თითო-
ოროლა მაგალითია ასეთი:

„...ჩვენ თუ იმის ბრძანებასა წინაღმდეგობად შევექნებით,
და ვით თქვენ ბრძანეთ: <<ვართ დამდნარნი>>, მაგით უფრო
დაცავდნებით“ (დავით., 59, 234, 3-4);

აწ გულსა კრულსა, ხელქმნილსა სევდა უპირებს მორევად,
რადღა სულდგმულობს ლახვარი, ვითა მუდამა მორევად?! (თეიმჯ.,
119, 5, 1-2)

ფატმან ფერხთა მოეხვია: „არ ღირს ვარო პირსა ჭერეტად...“
(ვეფხისტყ., 198, 1304, 15) ვარიანტებში დადასტურებულია ნათესაობითი
ბრუნვის ფორმა: პირის (IP).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ყურადღებას იქცევს ერთი შემთხვევა,
რომელიც გამოვლინდა ჩანართ სტროფში. ეს სტროფი არაა
გაანალიზებული არც ვარიანტებში და არც ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში.
იგი XVII საუკუნისაა: *ფერხთა კოცნად ეხვევოდა, პირსა ტკბილად
შემხედი ა* (ვეფხისტყ., 198, 1303¹, 28). თუ აღნიშნული მაგალითი
გააზრებული იქნება ასე, რომ ფეხებზე საკოცნელად ეხვევოდა, მაშინ
აქაც ზმნური მართვის ძალა იჩენს თავს.

ამგვარი მაგალითი დავადასტურეთ „დავითიანშიც“:

შენ იმისთა პრჭალთა, მის ეაჟთა თუ ქალთა,

უმზერდე კბენად! (დავით., 242, 436, 3-4)

თუ ეს შემთხვევა ასე იქნება გაგებული: ...მის ვაჟსა თუ ქალსა,
უმზერდე კბენად, აქაც ზმნური მართვის შემთხვევაა.

მოვიძიეთ მაგალითები, როდესაც სახელი ვითარებით ბრუნვაში
დასმულ საწყისთან ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი
მის წინა და მომდევნო პოზიციაში. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ
ასეთი შემთხვევები მცირეა:

წინა პოზიციაში:

და მან მოგვაშეუღოს ლაშქარი მათ გრძნეულთათვის მორევად
(ვეფხისტყ., 234, 1540, 16);

ათანდილის ჭერეტად სპანი იქით-აქათ იქმან ჯრასა (ვეფხისტყ.,
178, 1173, 19). აღსანიშნავია, რომ ვარიანტში ნათესაობითში დასმული
სახელის ნაცვლად არის მიცემითში დასმული სახელი – „ათანდილსა“
(X);

კაცთაც მცხვენიან შეხედვად, პირს ვით მიხეედო მე მასა? (არჩილ.,
65, 7)

მოდით მის ხმობად ყოვლნი ბრძენნი ხმელთა და ზღვათნი! (ბესიკი,
91, 13)

კაინ მიუთხრა აბელსა: ერთად გავიდეთ ველადა,
რომლისა რისმე საქმისა ერთმანერთისა შევლადა (დავით., 176, 46,
1-2);

ჯოჯოხეთს შიგან არ აღძრას კუპრი მან ჩვენთვის მორევად...
(თეიმ.I, 138, 4, 3)

მომღვენო პოზიციაში მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიძიეთ:
მოდით, სიბრძნისა ტრფიალნო, სმენად სიტყვისა ტკბილისა! (თეიმ.I,
17, 22, 2)

შედარებით ხშირია გარდაუვალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი
კონსტრუქციის შექმნის შემთხვევები საშუალო ქართულის ისტორიულ
ტექსტებსა და დოკუმენტებში:

მიერთგან ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა
ქართლს შინა, რამეთუ მადლსა ღმრთისასა ეწყო მიფენად აღმოსაველეთს
(ქართლ. ცხ., I, 92, 7);

გამოვიდა მუნით გუთთა მეფე და მიეტევენეს ურთიერთას ბრძოლად. სძლო თრდატ და ჴელად შეიპყრა, და იოტეს ბანაკი გუთთა (ქართლ.ცხ., I, 68, 13);

და ღირს ვიქმნენით ზიარებად ჴორცსა და სისხლსა ქრისტეს ძისა ღმრთისასა, და კრავსა ცოდვათათჳს სოფლისათა შეწირულსა, რომლისა ტკბილ არს გემოს-ხილვა მისი (ქართლ. ცხ., I, 97, 8);

და მეცნიერ გყვენ შენ ამას ყოველსა მიწვენად, რამეთუ ღმერთი არს ცათა შინა, უხილავ არს თავადი იგი ყოველთა დაბადებულთაგან, თუნიერ ძისა მისისა, რომელი მისგან გამოვიდა, და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა ვითარცა კაცი, რომელმან აღასრულა ყოველი, რომლისათჳს მოსრულ იყო, და აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა (ქართლ. ცხ., I, 107, 14);

რამეთუ სენიცა იყოს მის თანა ბოროტი, და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა (ქართლ. ცხ., I, 223, 13);

მაშინ მიეტევა ანბაზუკ შუელად ძმასა თჳსსა, ხოლო მოსწუადნა სუმბატ ჰოროლნი იგი, მიეგება და ეგრეთვე მასცა სცნა და განაელო, აღიღო და დასცა ქუეყანასა ზედა (ქართლ. ცხ., I, 46, 14);

ღირს რამცა ვიყავით მოწონებად და მიხდომად ბედსა ამას საზესთოსა! (ქართლ.ცხ., II, 37, 17)

შემდგომად ამისსა კაენისა პატრონმან ივანე მსახურთ-უხუცესმან აწვა დავით ლაშქრობისა ძალითა შესამართებად დიდსა და სასახელოსა: მოსარბეველად დიდისა გელაქუნისა, სპარსი - ბაზრისა და გორალაუქისა (ქართლ. ცხ., II, 60, 14);

გთხოვდ უმდაბლესითა ჩემდამი უგულითადესისი ერთგულებითა, რათა არა იქმნეს ეს უმაღლესსა ხარისხსა მიწუნად... (დოკ. II, 304, 10)

...და ძალ მადებინოს მეცა რავე უძლურებისაგან ჩემისა მსახურებად სამღთოსა მას და ნეტარისა ზეცათა სუფევისა მობაძავისა აღგილისა წმიდისა უდაბნოსა... (ისტ. საბ., V, 87, 24)

...მამისა მის მოწყალისა ცათასა მობაძაჲად შეკრებულ ხართ, წმინდანო ღ”თისანო ღირსნო მამანო... (ისტ. საბ., V, 111, 6)

მოვიძიეთ მაგალითი, სადაც ძირითად ტექსტში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი დაკავშირებულია ასევე მიცემით ბრუნვაში მდგარ საწყისთან, ვარიანტში კი საწყისი ვითარებით ბრუნვაშია:

და ევედრებოდა ელიოზს დედა მისი ესრეთ: „წარვედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და წესსა სჯულისასა; ხოლო რომელსა -იგი განიზრახვენ, ნუ შეერთენ ცნობა შენი, ნუ შვილო...“ (ქართლ. ცხ., I, 99, 4), შდრ.: წოდებად.

იშვიათად, მაგრამ მაინც შეგვხვდა ისტორულ თხზულებებსა და დოკუმენტებში შემთხვევები, სადაც ინფინიტივთან ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია დაკავშირებული მის წინა პოზიციაში, მომდევნო პოზიციაში უფრო ხშირად:

წინა პოზიციაში:

ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა ადასრულნა, და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად (ქართლ.ცხ., II, 131, 8);

- ასე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ძმისწული თეოდორა ყოვლისა კაცის მოუსარჩლელად და მოუდევრად, ვერავინ შემოგეცილოს ვერც ჩვენი ბატონი და ვერც სხვა და ვერც ეს წაგივიდეს სადმე და ერთგულად გემსახურნენ (დოკ. I, 244, 8).

მომდევნო პოზიციაში:

და აღჴდა გორასა ერთსა ზედა ზრახვად ქაოსისა და ეტყოდა დამორჩილებასავე მისსა, რათა სთნდეს მიქცევა მისი (ქართლ.ცხ., II, 7, 14);

ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შუელად მისა, და საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთიცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა (ქართლ. ცხ., II, 27, 2);

ვითარცა ესმა სიტყუა ესე მკუდართა აღდგომისა დედაკაცსა მას, განკურდა და მცირედ რამე ნუგეშინის-ეცა გულსა მისსა, წარავლინნა მონანი თვისნი მოწოდებად მოციქულისა ... (ქართლ. ცხ., II, 40, 4)

ხოლო მირიან წარვიდა შუელად დარუბანდისა, და ვიდრე იგი. მუნ იყო წყობად ხაზართა, მაშინ უკუე მეფე გუთთა სპითა ურიცხუთა შევიდა საბერძნეთს (ქართ. ცხ., II, 68, 5);

<<ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მიგებებად მეფისა... >> (ქართლ. ცხ., II, 110, 14)

და აილო განძა, და დააგდო სარანგი თავადად განძას და ბრძოლად ქუეყანისა ყოველისა, რომოცდარვა ათასითა კაცითა (ქართლ.ცხ., II, 317, 4);

რამეთუ მას ჟამსა ბერძენნი უცალო იყვნეს: დასაელით მტერნი აღდგომილ იყვნეს, და ვერ შემძლებელ იყვნეს შეწვენად ქართველთა და წინააღდგომად სპარსთა (ქართლ. ცხ., II, 206, 10).

საშუალო საუკუნეების ძეგლებში ამგვარი კონსტრუქციისას ზოგჯერ გვხვდება მყოფადის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში ვითარებითბრუნვიანი საწყისის გვერდით:

„ნულარა იყოფები საენებელად აღგილსა ამას...“ (ქართლ. ცხ., I, 211, 19)

შემდგომად ამისა კაენისა პატრონმან ივანე მსახურთ-უხუცესმან აწუა დავით ლაშქრობისა ძალითა შესამართებად დიდსა და სასახელოსა... (ქართლ. ცხ., II, 60, 14)

...და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თუსად... (ქართლ. ცხ., I, 27, 10)

თურმე მისი სიტყვა ყველა ტყუილი იყო და კაცთა საწყენად მოიგონის (ს.-ს. ორბ., 33, 17).

ამგვარი შემთხვევები გვაგვარაუდებინებს, რომ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შესაბამის კონსტრუქციაში ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის ადგილი შემდგომ პერიოდში ვითარებით ბრუნვაშივე მდგარმა მყოფადის მიმღეობამ დაიკავა, რომელსაც ნათესაობითბრუნვიანი სახელი დაუკავშირდა. სწორედ ამგვარი კონსტრუქციაა გაბატონებული თანამედროვე ქართულში.

§3. გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფინიტივს გააჩნია დამოუკიდებელი სინტაქსური ფუნქცია, კერძოდ, მას აქვს სახელის ბრუნვაში მართვის უნარი. მსგავსად ირიბი ობიექტისა, მას პირდაპირი ობიექტის ბრუნვაში მართვის უნარიც გააჩნია, ანუ შეიწყობს პირმიმართ დამატებას სათანადო სახელობით და მიცემით ბრუნვებში. ამაში გამოიხატება ინფინიტივის ზმნური თვისება. ინფინიტივის მიერ მართული დამატება ინდოევროპულ ენებში ბრალდებით ბრუნვაშია (არ. მარტიროსოვი, 1955:43-59). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელობითისა და მიცემითის ხმარებაში კანონზომიერება არ შეიმჩნევა. ისტორიულად ამ ბრუნვებს განსხვავებული ფუნქციები უნდა ჰქონოდა (იმ ზმნის ბუნების შესაბამისად, რომლისგანაც საწყისი იყო ნაწარმოები), ეს ჩანს ისეთი

შემთხვევებიდან, როდესაც საწყისს ორი დამატება აქვს. აქ ერთმანეთის შენაცვლება სახელობით-მიცემითს არ შეუძლია:

ბრძანა *მიცემად იგი მას*. ჰაემ. 368

ითხოვეთ *მონიჭებად მშუიდობაჲ სოფელსა*: ჭილ. - ეტრ. 9... (თ. შარაძენიძე, 1956:410-433)

ისევე როგორც ძველ ქართულში (დ. ჩხუბიანიშვილი, 1972:76), საშუალ ქართულშიც სხვა კონსტრუქციებისაგან განსხვავებით ხშირია გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის შექმნის შემთხვევები. ჩვეულებისამებრ განვიხილავთ მათ ჟანრების მიხედვით.

XII-XVIII საუკუნეთა მხატვრულ ძეგლებში ყველაზე ხშირად ინფინიტივი სწორედ გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციით გვხვდება. დავადასტურეთ ზმნური მართვის შემთხვევები, ანუ, როდესაც ვითარებითში დასმულ საწყისთან დაკავშირებულია სახელობითში ან მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტი:

პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია:

ზომიერ და წესიერ იყავ საქმისა ავისა მოქმედთათვის, ესრეთ შემრისხველ, რომელ საგონებელ იყო კაცთაგან ახოცად ყოველი *სახსენებელი* მისი (რუსულ., 563, 21);

ჩვენ მის დიდ-გვართაგანი არა ვართ, რომ სიმაღლის ხარისხზედ აღსვლას ვჭირნახულობდეთ და მაზედ *საცადლის ფერხნი დადგმად* შევიძლოთო (ქილ. და დამ., 49, 5);

თუცა წამწამთა წვერი მკერდსა ეცეს და გულსა დაესოს, *იგი ამოღებად* შეიძლება, მაგრამ ენისა ნატყორცი ისარი თუცა ფირტვთა ეცა, ამოღებად *საჭიროაო* (ქილ. და დამ., 314, 30);

...სტუმარმა ნახა, *შოვნად* მოსახა *შაქრისა ტვირთი* ფასთ სამუდარედ... (ქილ. და დამ., 519, 18)

...მაღალთა თაენი დათრგუნეად ტერფითა გაადგინოსა (ქილ. და დამ., 95, 12);

უბედურო ზეფირ, აწ რამე გეგულების სიტყვად, რომე ესე ვითარისა ცელმწიფისა მკელელი შეიქმენ, რომელსა ცისა სფეროსა ქვეშე მყოფნი შიშით თაყვანი-ჰსცემენ! (დილარ., 389, 9)

სხვასა ამას ვიტყოდით, ვითა რუკა მეჭადრაკეთა აჩვენებს სლვასა, ეგრეთ მუნ იატაკნი აჩვენებენ ღამისთევისა დღესასწაულსა – სადა საკურთხნი პური ჯერ-არს დადგმად, სადა სასანთლეთა დადგომა, სადა მღვდელთა და დიაკონთა დგომა, სადა ისოდია, – მღვდელთა განწყობა (მიმოს., 17, 11).

მოვიძიეთ ისეთი მაგალითები, სადაც სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტი უკავშირდება სახელობით ბრუნვაში დასმულ საწყისს:

მიდღარმან და უხვმან ვერ შეიძლოს *ესრეთი ქმნა* (ს.-ს. ორბ., 33, 37)³⁰;

ვჭფუცავ, მზეო, უშენოსა სიცოცხლეცა მემწარების, გული ჩემი შეალებით, ვითა ცვილი, ცეცხლით ჰსდნების, *ხილეა შენი* სულსა მიდგამს, აჰა, შორ ქმნით აღმომხდების, შემიწყალე, ხილვას ღირს-მყავ, ღაწეთა შენთა უკვდავების (დილარ., 56, 25-26-27-28)³¹.

პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია:

რა ცამ ლამპარი აინთო, *მოხილვად სანადიროსა*,

ღამის ნადირნი შემოფრთხენ, ივლტოდენ სანაპიროსა (ქილ. და დამ., 425, 16-17);

³⁰ შტრ. ხელნაწერი: ესრეთი+საქმის E. მოსალოდნელი იყო „ესრეთის ქმნა“, სადაც მსაზღვრელის გასუბსტანტიუების ფაქტი გვეჩვენებოდა.

³¹ შაირია ჩართული პროზაულ ნაწარმოებში

სულმან განელო სხეული,

მიწას განხრწნად დახედვას! (დილარ., 387, 7)

და იწყო ბერმან ჩვეულებისაებრ „უპატოხნესსა ქერობინთასა“
თქმად (მიმოს., 35, 35)

შემთხვევები ინფინიტივთან მიცემითბრუნეიანი დამატების
დაკავშირებისა მხოლოდ ამ ორი მაგალითით შემოიფარგლება.

შეგვხვდა წინადადება, სადაც მიცემით ბრუნვაში დასმული
პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში დასმულ საწყისს უკავშირდება:

...მე ესე დაჯერებით ვიცი, რაც ჩემთვის მდღევარი განწესებულა,
მისსა შოენასა განაღა არ ვეცადო და არ მოვიღვაწო, ეგრეცა
მომეცემისო, და რადც ჩემთვის განწესებული არ არის, რაოდენცა
ვეცადო, გარჯითა და მოჭირვებით არ მომეცემისო (ქილ. და დამ., 33, 35).

ზოგჯერ მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი დამატება
დაკავშირებულია მყოფადის მიმღეობასთან ვითარებით ბრუნვაში:

- მეფობასა თქვენსა ამას ვევედრები, *ჩემსა დასაწეავად* სხვათა
ხარი, ანუ მუშა არ დაშვრეს (ს.-ს. ორბ. 18, 28);

მეტრფენი განშორებად და უცხოებად და მიმოსღვად უცხოთა
ადგილთა და უცხოებასა შინა თხოვად ტკივილთმოყვარებით ღმთისაგან,
რათა უნებლად დაიცვას და საწადელსა თუსსა ღირს ყოს და იხილენეს
სამარტირონი და ნიშნებშემოსილნი ადგილნი წმიდათანი, და მუნ
ხილულნი და სმენილნი აღეწერებოდედ ერთა სარგებელად და
აღსაშენებელად სულთა მორწმუნეთასა, ამისთვის წიგნსა ამას ეწოდების
ეზო (მიმოს., 6,1).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები, როდესაც ვითარებით ბრუნვაში
დასმულ საწყისთან პირდაპირი ობიექტი სახელობით და მიცემით
ბრუნვებშია, საინტერესოა ზმნური მართვის ძალის გამოვლენით, რაც

ქველი ქართულიდან არის ცნობილი. ხოლო, რაც შეეხება, სახელობით-
და მიცემითბრუნვიან საწყისებს და მყოფადის მიმღობას ვითარებით
ბრუნვაში, ეს გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი
მოვლენებია. ჩვენი დაკვირვებით, ნათარგმნ ქველში (იგულისხმება
„ქილილა და დამანა“) ზმნური მართვის შემთხვევები უფრო ხშირია.

გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამის კონსტრუქციაში
ინფინიტივის მიერ პირდაპირი ობიექტის მართვის შემთხვევები გვხვდება
აღნიშნული პერიოდის პოეზიაშიც:

პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია:

პაპის პაპა, ბებიანი, მამის მამა, დედის დედა,

მამა, დედა, ძმანი, დანი, ცოლი, შვილნი, ზედი-ზედა

ღმერთმან ყველა მას უცხოვნოს, თვით აშოროს მას წარწყმენდა,

და ვინც ეს წიგნი განაწიგნა კითხვად შესაქცევლად ჩვენდა!

(დავით., 24, 18, 1-2-3-4)

აწ ამას იქით აშბავი თქმად ეძნელების ენასა,

მოუცავს, ვითა წყვედიადსა, გული ურვისა წყენასა,

შეღონებულა ეგ ზომსა თვალი ცრემლისა დენასა,

და პირი შეკრული სათქმელად, ყურნი გაექცნეს სმენასა

(თეიმ. I, 49, 190, 1-2-3-4);

მოკრეფად მსურდა ვარდის კონები (ბესიკი, 3, 4);

და რქამარტოსა რიკსა შეხვდა, ძვალნი მუსვრად გარდებროს
(ბესიკი, 73, 2);

და ციყვთა ცხვირად დავასობდი, ტყავნი სყიდვად შევიგროვე
(ბესიკი, 74, 13);

აღთუხედ ვნებად და ხელყოფად ვნების დამღები ნებით... (ბესიკი,
87, 10), შდრ. დამღებმან (B).

ბესიკთან პროზაულ მონაკვეთებში დასტურდება ამგვარი მაგალითები: და ამ დროების მხედველმან მეზობელმან ჩვენმან დააფუძნა სხვადასხვას სახის დაფარებითა *შემოყვანად* რუსეთს შინა მეთვალენი *ერთგულნი ყმანი თვისნი...* (ბესიკი, 106, 30)

...შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და დედუფალთა თვინიერ წყალობისა და დამტკიცებისა არა ხელყონ შლად, არცა რაისამე მოკლებად... (ბესიკი, 109, 25)

ეგრეთვე არ დააგლო თვისდამი მიზიდვად კავკასიის ლინიაზედ მყოფი და სათარგმანოს საქმეებში *სახმარად ბართლომე სავარსიმძე* მიცემითა მისდამი აზნაურობის ხარისხისა... (ბესიკი, 107, 4)

ამ უკანასკნელ მაგალითში მყოფადის მიმღეობაა ვითარებით ბრუნვაში. ამგვარი შემთხვევა პოეზიაშიც გვხვდება:

გულში დაესკენა *საქნელად იგი* პირველი ქადილი (დავით., 56, 212, 2).

პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია:

ვინ ნახა ღვინო წეხნილი, ტევანი ეგოს რა ტვენად,
ვინმცა ან ცათა შემცველი *კეცისა ჭურსა დატვეად?* (არჩილ., 278, 17-18)

ნარდო სურნელო, შროშანთა შორის უფრჩქენელად მყოფარო,
ნერგო, ედემის ყვავილთა ქრისტესა მომნაყოფარო,
ნაომით წინასწარმეტყველთ *შენს ქებად* არ გამყოფარო,
ნანდვილ მვედრებელთ შემწეო, მგმობართა პირდამყოფარო (არჩილ., 266, 29-30-31-32);

ჭხამს, ყოვლი ბრძენი *მისსა ქებად* იყვნენ კრებულნი! (ბესიკი, 90, 19)

...მზითა მზე და ჭაბუკისა თანად ჭაბუკი სამყაროობდე *საყვარსა ყვარვად* (ბესიკი, 86, 35-36);

პეტრეს ჳელმწიფის *ბძანებას სრულყოფად* არა ზარობენ... (დავით., 54, 192, 1)

ლაზარეცა დასნეულდა, ბეთანიას უძღურობდა,
ლახვრად ეცა დათა გულსა, მათს ანბავსა უწინ სცნობდა,
ლარნაკშია *ჩადებულსა ნახვად* ველარ მოუსწრობდა,
და ლხინად შესცვლის ჳირსა მათსა: „აღგვიდგინე“ – მას მადლობდა
(თეიმ. I, 151, 5-6-7-8).

შეგვხვდა მაგალითები, სადაც მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი მყოფადის მიმღეობასთანაა დაკავშირებული:

მესწრაფა სევდის ლახვარი, *საკედავად გულსა* მეცა და,
და აწ ამას ვლონობ, არ ვიცი, ქვესკნად წაეალ თუ მე ცადა! (დავით., 23, 14, 3-4)

და *საქებელად ძალსა მისსა* აღმოხეთქა ნერგთა ძირმან (თეიმ. I, 4, 13, 4).

სახელობით და მიცემით ბრუნვებში მდგარი სახელის დაკავშირება მყოფადის მიმღეობასთან, იმის მაუწყებელია, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი, რომელთანაც სახელის დაკავშირებით ზმნური მართვის ძალა ვლინდება, შემდგომ პერიოდში, სწორედ, მიმღეობამ შეცვალა. თუმცა ზმნური მართვის შემთხვევები ძველი ქართულიდან მოყოლებული საშუალო ქართულის ბოლო პერიოდშიც გვხვდება.

საინტერესოა, რომ აღნიშნული პერიოდის ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამის კონსტრუქციაში საკმაოდ ხშირია მაგალითები, სადაც ინფინიტივი ზმნურ

თვისებებს ავლენს, ანუ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი მართავს სახელს სახელობით და მიცემით ბრუნვებში:

პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია:

და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა (ქართლ. ცხ., I, 38, 1);

ხოლო წმიდა მოციქულსა ენება კუალად წარსლვა სხუათაცა ქალაქთა და სოფელთა ქადაგებად სახარება ქრისტესი (ქართლ. ცხ., I, 41, 28);

არამედ უცხოთა ამას სიტყუასა ნუ იტყუ, პრომთა მათ შეცთომილთა სჯულსა, ნუცა გნებაეს ყოვლადგე თქმად (ქართლ. ცხ., I, 106, 13);

და ღამესა განცხადებისასა მდგომარე იყო უძილად, და რქუა მსახურსა თვისსა მოღებად ზეთი აღსანთებელად კანდლისა (ქართლ. ცხ., I, 134, 2);

ხოლო წმიდამან ანდრია მიუგო და პრქუა: „სხუათაცა ქალაქთა და სოფელთა ჯერ არს ჩემდა ქადაგებად სახარება უფლისა“ (ქართლ. ცხ., I, 41, 35);

რამეთუ აწ მოეფინა მადლი ღმრთისა ქართლსა, და მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯუარი პატიოსანი, რომელსა თაყუანის-ცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან (ქართლ. ცხ., I, 119, 13);

და ვითარცა იხილეს ყოველთა უცხო ესე სასწაული, განკურდეს ფრიად და თქმად რასამე უღონო იყვნეს (ქართლ. ცხ., I, 40, 29);

მაშინ ვახტანგ მეფემან ვერ მოიცალა მოყვანებად ცოლი ბერძენთა მეფისა ასული, და ვერცა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, რამეთუ მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსლვასა: ამაგრებდა ციხეთა და

ქლაქთა, და ჰკაზმიდა მკედართა, და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა (ქართლ. ცხ., I, 178, 14);

ხოლო ცნა ტფილისით გაღმართ აფხაზთა მეფემან ქართლისა ენება, წარმოსლვა ფადლონისი, გამოგზავნა *ხილვად ივანე* ძე ლიპარიტისი, და ნიანია ძე ქუაბულისი, და მურვან ჯაყელი, ერისთავი ყუელისა, და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მცირედნი რჩეულითა ლაშქრითა (ქართლ. ცხ., I, 310, 19);

ხოლო მე მორიდეს განგრძობასა წყინობისასა მცონის დაგდებად *ღუაწლი* ომთა და მარჯუებათა უკანასკნელთა, უმჯობესთა პირველისათა (ქართლ. ცხ., II, 59, 14);

ხოლო სომეხთა არათუ ენება, უნებლიეთ თანაედვა *ამისი ქმნად* (ქართლ. ცხ., II, 89, 11);

და ვითარ იხილეს დროშა დაცემული მკლავითა აქილიანითა, იქცევისი მკუეთრ მკუეთელად, იკმის სიელტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა. რომელსა შინა აღესრულა *სიტყუა წარქცევად* ერთისაგან ამირსპასალარნი, დიდებულნი და ლაშქარნი (ქართლ. ცხ., II, 9, 7);

არაგინ იყოს მოდავე და მოცილე ამის და რომელმანც ესე ჩვენნი მოცემული ნასყიდობის *წიგნი* და *სიგელი შეშლად* ჳელყოს, შერისხენ შენ, ძლიერო ღმერთო, და ნურარათ ნუ იხსენება სული მისი საუკუნოსა მის მღელვარისა ჯოჯოხეთისაგან, ხოლო დამამატკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან (დოკ. I, 334, 17);

შემდგომ, მოწყალეეო ხელმწიფეეო, უმორჩილესად გთხოვთ, რომელ *ცხენი* ის უბრძანოთ *მოყვანად* კარახტინზე... (დოკ. II, 305, 13)

მოქმედებად მაცნობოთ თქვენის პატივისცემულისა *წერილი* და ის დაჭერილი ყმა რესულა წარმოგზავნოთ ჩემთან, მივსცე *ის დასჯად* დანაშაულისა გვარათა... (დოკ. II, 302, 2)

არამედ ვინათგან ჩინგის ყვენმან დაიპყრა სრულიად დიდი თათარი ქრისტესა ჩსბ და ამ ჟამებთა შინა წარმოაუვლინა *სპანი განმსტრობად...* (ვახუშტი, 8, 23)

...სათრო ყოფად არიან... (ისტ. საბ., IV, 5, 21)

მათ გვერდით დავადასტურეთ შემთხვევა, როდესაც სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტი დაკავშირებულია სახელობით ბრუნვაში დასმულ საწყისთან:

...ვრაცხეთ კეთილ სათნოდ ჩვენდა შეწყალებანი თქვენი... (დოკ. II, 120, 10)

ზოგჯერ სახელობით ბრუნვაში დასმული დამატება მყოფადის მიმღობასთანაა დაკავშირებული:

და მიუთხრა ყოველივე შემდგომითი-შემდგომად, ვითარ-იგი შემდგომად ამაღლებისა უფლისა წილ-იგდეს წმიდათა მოციქულთა ყოველი *ქუეყანა მოსაქცეველად*, და ვითარ-იგი ყოველად-წმიდასა ღეთისმშობელსა წილ-ხუდა ქუეყანა ესე სამცხისა, და მის მიერ წარმოგზავნილი არს აქა ხატი იგი სასოდ და მცველად წილ-ხდომილთათვის და ჯერეთცა ეგრეთ არს, რათა დაესვენოს აქა მკადრად უკუნისამდე ჟამთა (ქართლ. ცხ., I, 42, 1);

განაუვლინა ქადაგი ყოველსა შინა ქართლსა და რქუა ყოველთა: არა ძალითა ჩუენითა, არცა სიმკნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლეთ მტერთა, არამედ ჯუართა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, ძისა ღმრთისათა, რომელმან მოგუცა წინამძღურად და *საჭურველად ჯუარი* მისი პატიოსანი (ქარლ. ცხ., I, 140, 12);

ისმინეთ ესე *სახსოვრად სასმინარი...* (სოლ. ლეონ., 282, 13)

პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია:

და მასვე ღამესა წარმოვიდეს სამნივე იგი საჯედრებითა და ჭურჭლებითა, და იწყეს გამოკრებად განძისა მის და დაფლავად სიმარჯუესა თვისსა (ქართლ. ცხ., I, 22, 6);

და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი (ქართლ. ცხ., I, 29, 3);

მას ჟამსა მოსრულ იყო წმიდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩუენი ნინო, და დაეყო მცხეთას შინა სამი წელი და განეცხადა ქება ქრისტეს სჯულისა, და იქმოდა კურნებათა თვნიერ წამლისა, და კმა-მალლად იწყო ქებად სჯულსა ჭეშმარიტსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა (ქართლ. ცხ., I, 71, 4);

მაშინ მირიან მეფე განკურდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა, და მრავალგზის ჰკითხავენ ჰურია-ყოფილსა მას აზიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყოველსა (ქართლ. ცხ., I, 105, 12);

ოდეს წარემართა მეფე და ყოველი ერი ქრისტიანობასა მოსწრაფებით ვიდრე მღღელთა მოსლუადმდე, რქუა მეფემან წმიდასა ნინოს: „მესწრაფების მე აღშენებად სახლსა ღმრთისასა; სადა აღვაშენო?“ (ქართლ. ცხ., I, 111, 12)

მაშინ სიძემან კეისრისამან, სპარსთა მეფემან ქასრე, იწყო ძებნად სისხლსა სიმამრისა და ცოლის ძმათა მისთასა, შესლავად და ტყუენვად საბერძნეთისა (ქართლ. ცხ., I, 223, 3);

და ვითარ გარდაცდა ამას შინა წელიწადი ორი, იწყო განგებად და საურავად და განმართებად ყოველსა საქმესა მსგავსად პაპისა მისისა, დიდისა გიორგი მეფისა... (ქართლ. ცხ., I, 275, 17)

და იწყო შენებად ეკლესიასა, რომელი იგი უბრწყინვალეს არს ყოველთა ეკლესიათა (ქართლ. ცხ., I, 375, 5);

და დილეულ ადრე ადგეს ბრანჯნი იგი, და შეიმოსეს სამოსელი სამკუდრო, და განვიდეს ადგილსა მას კაცის სამკლველოსა და სისხლის დასათხეველსა, ილოცვიდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა ნათლისღებისათვის და იტყოდეს; „ჩუენ სიკუდილსა შინა უკუდავ ვართ, რამეთუ ღირს გუყვნა ღმერთმან *ესევეითარსა დიდებასა მიღებად საგზალსა მას დაულევენელსა...*“ (ქართლ. ცხ., I, 73, 15)

მე და შეილი ჩემი ღირს ვიქმნენით *მოღებად სააკურებელსა მას* განსაწმედელსა ცოდვათაგან, ემბაზისა წყალსა, რომელსა ინატრიდა დავით და ვერ ეწიფა (ქართლ. ცხ., I, 97, 5);

მაშინ დაუტევა სპანდიატ ბრძოლა სომეხთა და ქართველთა, შეიქცა თურქთა ზედა *ძებნად სისხლსა მამის მამისა მისისასა* (ქართლ. ცხ., I, 16, 15);

და შემოკრბა ერი *ხილვად მწუანის ფერობასა მას* და ფურცლიანობასა, ჟამსა ზამთრისასა, ოდეს სხუა ყოველი ხე ჯმელ იყო, ხოლო ესე ფურცელ-დაუცუნელი, სულ-ამო და სახილველად შეუნიერი (ქართლ. ცხ., I, 119, 18);

ჩუეულ იყო მგელი, რა კარაულთა მიიყვანის, ბერთა პური დაუნეცვიან და ჭამის, ხოლო აწ დატუქსვილი თრთის, და ეჭიდების *ზიდვად კალთასა ბერისასა* (ქართლ. ცხ., I, 211, 16);

ამისთვისცა ზედას-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა *დამშუდებად პირსა მისსა* (ქართლ. ცხ., I, 346, 6);

მოვიდა რუქნადინი, და თანა ჰყვა ლაშქარი დიმუშეით და ალაბით ამოღმა *წაღებად ამის სამეფოსა* (ქართლ. ცხ., I, 368, 24);

„...არქუ მთქმელმან-მბრძანებელმან და მომცსენებელმან შეცვალება ამის ესევეითარისა შეითისაგან და, სადა ძმასა თქუენსა და მამასა მათსა დაუსუამს ზეობასა და სიმკნესა შინა მათსა, მუნ ჯელ-ყოს

განბრწყინებულ კელმწიფობასა და შარაუანდედობასა ტომის-გუარისა თქუენისა (ქართლ. ცხ., II, 30, 23);

ხოლო წარმოუდგა კაცი ვინმე ნათლითა მოსილი და უპყრა კელი, მოხედნა და რქუა: „შენი არა არს საჯდომი ისი, რამეთუ შენ ვერ შემძლებელ ხარ დაპყრობად იმისსა“ (ქართლ. ცხ., II, 80, 6);

...მაქვს პატივი მიღებად წერილსა ზედა... (დოკ. II, 300, 1)

ვინცა და რამაც დიდმან, ანუ მცირემან ამ ნასყიდობას შლად ხელი ყოს, მასმცა რისხავს დაუსაბამო ღმერთი... (დოკ. II, 38, 11)

...განგუაძლიერე და აღგვამაღლე ღირს ყოფით წარმართებად ცხოვრებასა მეფობისა ჩუენისასა... (ისტ. საბ., IV, 60, 25)

ბ“ მე ტფილელმან ათანასიმ ძემან ამილახორისამან შეწვენითა სიონთა ღ“თის მშობლისათა ვიწყე საყდრისათვის ღვწად და გამოვსნად საყდრის მამულს ან ჩემი ნაღვაწი სიყრმით მოგებული მქონდა ან აქ ვიშოვნე... (ისტ. საბ., V, 56, 23)

...არა კელჰყოთ შლად ამისსა... (ისტ. საბ., V, 86, 5)

...რომელმან უსამართლოდ კელჰყოთ შლად ამისსა მისცეს სიტყუა მართლმსაჯულსა მას ყოველთა გამკითხველსა საშინელსა მას დღესა საშინელებით მოსვლისა მისისასა... (ისტ. საბ., IV, 86, 8)

ზოგჯერ ძირითად ტექსტში ჩვეულებრივი ზმნური ფორმაა წარმოდგენილი, ხოლო ვარიანტში კი ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი გეხვდება, რომელთანაც მიცემით ბრუნვაში დასმული სახელია დაკავშირებული:

ხოლო ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა, ძალ-სცემდა და ნუგეშის-ცემდა ვმითა საზარელითა, რომელი მსგავსი იყო მეხის ტეხისა (ქართლ. ცხ., I, 7, 5), შდრ.: ძალს ცემად (R) და ნუგეშინის ცემად (MRT);

და მონებდა იგი ბიზანტიოსს, მეფესა საბერძნეთისასა (ქართლ. ცხ., I, 20, 8), შდრ.: და მონებად (M).

ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში გამოვლინდა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენები, კერძოდ, როდესაც მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი დაკავშირებულია სახელობით ბრუნვაში დასმულ საწყისთან ან მყოფადის მიმღობასთან ვითარებით ბრუნვაში:

და დაუტევნა წუნდას ხურონი და განძი და, რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიასა შენება; და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი (ქართლ. ცხ., I, 117, 20);

...მომდინარებს ზემოსხენებულს ხევზედ და გაუყვანია სარწყავად მამულსა თვისსა (დოკ. II, 243, 21);

ქ. სახელითა მღთისათა, ნება, არსება – დაუსაბამოსა მამისა, ძისა, წმიდისა სულისა... მოწმობითა და შუამდგომლობითა წმიდის გიორგისა სუვერისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდის გიორგისა ძლევისა, მოგეცით ესე წიგნი გასათაეებლად ჟამსა ოდენ უკუნისამდი... (ისტ. დოკ. 46, 9)

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, საშუალ ქართულში ჯერ კიდევ ძველი ქართლისებური ვითარებაა შემორჩენილი ინფინიტივის მიერ სახელის ბრუნვაში მართვის შემთხვევებში. განსაკუთრებით, ამგვარი მოვლენები ხშირია ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში, ნაკლები რაოდენობით აღნიშნული პერიოდის მხატვრულ ძეგლებსა და პოეზიაში. თუმცა უკვე თავს იჩენს გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი შემთხვევები, კერძოდ, ერთი მხრივ, სახელი დაკავშირებულია არა ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან, არამედ სახელობით ან მიცემით ბრუნვაში დასმულ

საწყისთან, მაგალითად: „...ერ შვიდლოს ესრეთი ქმნა“, „მისსა შოვნასა განაღა არ ვეცადო...“, ხოლო მეორე მხრივ, შემთხვევები, როდესაც სახელი დაკავშირებულია მყოფადის მიმღობასთან ვითარებით ბრუნვაში: „...საქნელად იგი...“, „...საქებელად ძალსა მისსა...“ ახალ ქართულში უკვე საწყისთან და მიმღობასთან დაკავშირებული სახელობითში ან მიცემითში მდგარი სახელის ადგილი დაიკავა ნათესაობითში დასმულმა სახელმა: „საქმის კეთება“, „ოჯახის მოვლას“, „ბავშვის დასაძახებლად“ ... თვით საშუალო ქართულში პირდაპირი ობიექტის ფარდი სახელი შეიძლება მოგვევლინოს ნათესაობით ბრუნვაში ინფინიტივის წინა. და მომდევნო პოზიციაში. ასეთი წევრი უბრალო დამატებადაა კვალიფიცირებული (არ. მარტიროსოვი, 1955: 53-54; ივ. იმნაიშვილი, 1957: 710-711; ა. კიზირია, 1956: 163). აქ გვაქვს სახელებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობა: მართული სახელი – პრეპოზიციური წყობისას, მართულ-შეთანხმებული – პოსტპოზიციურში (დ. ჩხუბინიშვილი, 1972: 76). ამგვარი კონსტრუქციები საკმაოდ ხშირია საშუალო ქართულის ძეგლებში. არ. მარტიროსოვი თავის ნაშრომში „მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში“ აღნიშნავს, რომ სახელებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობა გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში (არ. მარტიროსოვი, 1956: 52). მაშასადამე, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენა, რაც გამოიხატება ზმნური მართვიდან სახელთა სინტაქსურ ურთიერთობაში გადასვლისას, ძველ ქართულში იღებს სათავეს.

მოქიყვანთ სათანადო მაგალითებს ჟანრების მიხედვით. ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი შეიძლება შეგვხვდეს ინფინიტივის წინა და

მომდევნო პოზიციაში. მხატვრულ ძეგლებში გვხვდება ორივე ტიპის შემთხვევები:

წინა პოზიციაში:

ჭაბუკობისა ძალისა ცნობად წამოსრულ ვარ... (ამირანდარ., 377, 4)
ესერა ორასისა დღისა სავალსა წავალ სახელისა ძებნად (ვისრ., 140, 27);

ჩვენ არა სოფლისა გაშეებად გაწვევით; არცა დიდებისა დატევებად,
არამედ მოცდასა გენუკით ღმთის წყალობისასა და შეტყობასა
სიხარულისასა, რომე არა საყვარელთა შენთა უნახავად მწუხარებითა
მოიკლა თავიო (რუსუდ., 527, 27);

და თვით სამეფო სამოსელი განიძარცვა, სხვა შეიმოსა და წარვიდა
მის კაცისა ნახვად (ს.-ს. ორბ., 8, 24);

წავიდნენ მის განშორებულისა ნახვად (ს.-ს. ორბ., 80, 35);
შროშანს და კელსა ნიადაგ მზე მიჰფენს მისთა შუქებსა,
შროშანს სუნითა აყნოსებს, კელს მიწის პოხად უქებსა... (ქილ. და დამ., 5, 19-20)

რა შეიღთა მამის სწავლა მოისმინეს, მისი სიტყვა ასარგებლიანეს,
და თითომან თითო საქმის ხელ-ყოფად გული აღიძრეს (ქილ. და დამ., 45, 14);

ფახფურმან აწუა პირველად იარაღისა ხმარებად დილარსა, გარნა
არა ინება და პრქვა: სტუმარი ხარ და შენდა ჯერ არსო (დილარ., 700, 12);

აქა დილარისაგან წარვლინება ბერისა ვაზირისა წალკოტსა შინა
ზეფირისა ხილვად და თხოვად სპასალართა განთავისუფლებისა
(დილარ., 412, 1);

და გარდაეკედით რა ზღვით, წარუვლინებით არქიდიაკო ჩეენი წინაშე *მიტროპოლიტი*სა *ტრაპეზუნტი*სა მომკითხაეად (მიმოს., 7, 29);

კაცთა ბუნების დახსნად, ადამისა გამოხსნად, ესე ჰყო დიდებულად (დილარ., 7, 24);

უბრძანა ურიცხეთა აქლემთა მათ გამოზიდვად, ეგრეთვე გარშარაბ მეფემან აახლო ძე თვისი, და მანცა უბრძანა საჭურჭლეთა მათ გამოზიდვა, მაშინ აღიმსწრაფლეს ვითა ორბთა ფრთე მალთა, და გაემართნენ მზისა ქალაქად... (დილარ., 737, 30)

ამათ და ესევეითართა მიზეზმან დუმილი აღმიჯსნა და დაეიწყე მცირეთა რაფთვე წიგნაკთა ჩხრეკმსიტყველობად და მიგიძღვანენ თქვენ, ბრძენთა და მეცნიერებით განმსჭვრეტთა საღმთოთა და სამეცნოთა საქმეთათა... (მიმოს., 3, 23)

მაშინ მსწრაფლ აღდგა ეფთვიმი, და დაეიწყებოდეს ენა ქართული, არამედ ესეოდენ ვრცლად იწყო ქართულთა ზრახვად და რიტორად, ვითა უშიროს უსწრობდა სიმარჯვეითა ენისათა (მიმოს., 20, 10);

...ვითარცა მე ესერა კადნიერად და ურიდად ჰელ-ჟყავ საღმთოთა ლექსთა განმარტებად მონაზონებისა სახისა უღირსმან ტიმოთე იერუსალიმელმან (მიმოს., 3, 5).

მომდევნო პოზიციაში:

წასულ იყო ქაოზ ქოსიძე ნახვად მის ზღუდისა გაკვეთილისა (ამირანდარ., 700, 2, 13);

ოცს დღეს მას კლდეში იყენეს სრულად გლახა და მდიდარი ზიდვად თვალისა და მარგალიტი¹სა და ვერ დალიეს (რუსუდ., 62, 9);

მბრუნავთა ცათა წესია ცდა გაყრად საყვარელისა... (ქილ. და დამ., 7, 20)

მოიღეს ღვინო ჭიქითა, დადგეს *გამართვად ლხინისა...* (ქილ. და დამ., 570, 10)

...მთოვარესა უბრძანებ *განათლებად ღამისა*, მზისა ხორშაკისა მიერ შემწვართა განგრილებად... (დილარ., 97, 6)

ვინ ღირს არს თვალთა შედგმასა, *განცდად უსახოს სახისა...* (დილარ., 457, 6)

...აღვედით *ხილვად ყოვლად სამღვდელოსა ანანია ტრაპიზონელისა...* (მიმოს., 7, 34)

მაშინ მალემსრბოლი ვინმე წარიველინა მეფისა მიერ ქალაქსა ნიკიას საქმისა რასათვისმე და მისრული იგი შევიდა *დავანებად დადაკაცისა ვისმე ქვრივისა* სახლსა, რომელსა აქენდა დაფარვით ხატი ყოვლად წმიდისა (მიმოს., 18, 19);

ხოლო სიმეონ, მამა მისი, მოუწერდა, რათა წარვიდეს *ხილვად მისა*, არამედ საბამ არა ინება წარსლვა მთაწმიდით (მიმოს., 35, 6);

აწვია *კურნებად ასულისა თვისისა* და განკურნა უტყუებისა მისგან (მიმოს., 43, 7);

მზის ქვეშეთა ყოველთა კელმწიფეთა მბრძანებელმან ძლიერმან კელმწიფემან დილარ განაგო ყოველნი მზისა ქალაქისა საქმენი, უჩინნა დიდებულნი და ერთ გულნი სპასალარნი და ვაზირნი, ქალაქთ მთავარნი და მოხელენი და ექესსა თვესა განემზადა დიდითა დიდებითა და ურიცხვთა საჭურჭლითა შესვლად აბაშეთს და *ხილვად ჯანუჯან ვაზირისა კელოვნებულისა გოდლისა ღომისა და გმირთა მათ მოისართა* (დილარ., 766, 25);

მერმე უბრძანა კელის ქვეშეთა თვისთა, მწერალთა უხუცესთა, სახელითა დიდებულისა მყინვართა მეფისათა ბრძანებისა წარწერამ შეკრებად *ლაშქართა*, და სხვათა უბრძანა საჭურჭლეთაგან მოედანსა

ზედა გამოზიდვად ყოველთა სათანოთა ნივთთა საკმართა (დილარ., 51, 28);

...შექცევად მათ მთხრობელთა, და კითხვით ცრემლთა მღვრელთა, ჭაბუკთ ახალ მოყმებთა... (დილარ., 12, 3-4)

და აღვიდა ხარისხად და განმარტა ჳელი და იწყო დღესასწაულისათვის სიტყვად, ვითარმედ შემოკრებულნი საკვირველისა დღესასწაულისანი მდუმრიად მივეგებოდეთ, რამეთუ ამისთვის არა არს გამოთქმად კაცობრივთა სიბრძნეთაგან, ანუ თქმად გამოუთქმელთა ამათ (მიმოს., 32, 23);

და მდგომარე იყენეს გუნდ-გუნდებად და მწყობრად განკრძალულნი მონაზონნი და განშორებულნი და დაყუდებულნი, მთით და კლდით და ნაპრალით გამოსრულნი, ხილვად ნათელთა, ესეოდენ იყო, ვითა მინდორი ვერ იტევდა. და მსგავს იყო ხილვა მათი ზეცისა განწყობილთა სპარაზენთა რჩეულთა მკვედრობათასა (მიმოს., 23, 23).

ზემომოყვანილ მაგალითთა გვერდით დავადასტურეთ შემთხვევები, სადაც ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უკავშირდება სახელობით ბრუნვაში დასმულ საწყისს:

გავგზავნე კაცი ბერსა ვაზირსა თანა, და ვჰსთხოვე შრომისა მიღება ვიდრე ჩემდამდე, რომელსაცა მიეღო თხოვაჲ ჩემი, და მოვიდა კაცი იგი გულის სათქმელი (დილარ., 50, 17);

...და პატრონი მათი დიდებული იგი ჳელმწიფე დილარ მძლეველი. მგეთი იყო, რომე შეენიერებისა მისისა გამოხატვა არას რომელსამე ჳელოვანსა მხატვარსა არა ძალ-ედვა; ყოველნი მხილველნი მისნი მიიღებდნენ თვალთა და გულთა სიამოვნით დატკობობასა (დილარ., 158, 13);

სურვილისა მიერ *მეტისა უბნობა* არღა ძალ-ედება დილარს და ესე ოდენ უბრძანა: „მე, საყვარელნო ჩემნო, რასა ეგზომ იურვით!“ (დილარ., 361, 14)

ჭამადთა *გემოვნებისა გამოთქმა* შეუძლებელ იყო, თუ ვითარ შეემზადებინათ ეგრეთ კეთილად და გემოვნანად (დილარ., 416, 17);

უბრძანა *ურიცხვთა აქლემთა მათ გამოზიდვად*, ეგრეთვე გარშარაბ მეფემან აახლო ძე თვისი, და მანცა უბრძანა *საჭურჭლეთა მათ გამოზიდვა*, მაშინ აღიმსწრაფლეს ვითა ორბთა ფრთე მალთა, და გაემართნენ მზისა ქალაქად... (დილარ., 737, 30) ამ წინადადებაში ერთმანეთის გვერდით ორივე ფორმა გვხვდება, ვითარებით და სახელობით ბრუნვებში დასმული საწყისი.

ზოგჯერ საწყისი მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი:

მე უმადლოო, ლასურ კელმწიფეო პეკინისაო, რაღსა თვის სევსა შენსა ზედა ესრეთ უმადლოობ, რომელმანცა ჩემებრი მნათობი შენდა ხედრად განაწესა, რასა შრომასა და *სისხლის დაღვრასა* იქადი ჩემისა დახვედრისათვის და რომლისა სახელოანისა საქმისა აღსრულებისა თუს მოქადულობ, და რასა თვის ქაჯად და გრძნეულად გვიწოდ ჩვენ... (დილარ., 618, 7)

მაშინ კბრძანა დილარ მძლეველმან დაშლა ნადირობისა, დაუცეს საყვირსა და მოეშალნენ ყოველნივე *ნადირთა და მკეცთა სრვასა* (დილარ., 157, 18).

სახელობითში მდგარი საწყისი გვხვდება მაშინაც, როდესაც მას მოსდევს ნათესაობითში დასმული სახელი:

და შეგვიძღვნენ საეროდ ტრაპეზად, და დაგვიგეს სანოაგენი და გვიმასპინძლებდენ ამოდ და ფრიად, ვიდრემე სარგებელ გვექმნა *ხილვა მათი* (მიმოს., 8, 14);

და მიერთვან გვენება მოხილება თითოეულთა მონასტერთა, და აღვედით შკოლით შუა მთაწმიდად, ბაზრად მონაზონთა, რომელსა ეწოდების ქარესი (მიმოს., 35, 22);

და მდგომარე იყვნეს გუნდ-გუნდებად და მწყობრად განკრძალულნი მონაზონნი და განშორებულნი და დაყუდებულნი, მთით და კლდით და ნაპრალით გამოსრულნი, ხილვად ნათელთა, ესეოდენ იყო, ვითა მინდორი ვერ იტევდა. და მსგავს იყო ხილვა მათი ზეცისა განწყობილთა სპარაზენტა რჩეულთა მკვედრობათასა (მიმოს., 23, 23). ამ უკანასკნელ მაგალითში ერთ მონაკვეთში გვხვდება ერთი ფორმა ვითარებით და სახელობით ბრუნვებში.

მოყვანილი მაგალითები უკვე ახალი ქართულისთვისაა დამახასიათებელი. მოძიებულმა მასალამ დაგვანახა, რომ საშუალო ქართულის მხატვრულ ძეგლებში ერთმანეთის გვერდით გვხვდება სამი ფორმა:

ა) ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან დაკავშირებულია სახელობით ან მიცემით ბრუნვაში მდგარი დამატება და ვლინდება ზმნური მართვის უნარი;

ბ) ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან დაკავშირებული დამატება ნათესაობით ბრუნვაშია. იგი შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს ინფინიტივს. პირდაპირი ობიექტი ამ შემთხვევაში უბრალო დამატებად გვევლინება და აქ სახელებისათვის დამახასიათებელ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე;

გ) ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელი დაკავშირებულია სახელობით ან მიცემით ბრუნვაში მდგარ საწყისთან. ეს უკვე გარდატეხის ის საფეხურია, რომელიც დამკვიდრდა ახალ ქართულში.

ენახოთ რა ვითარებაა საშუალო ქართულის პოეტიკურ ნაწარომებებში:

ნათესაობითში დასმული სახელი ინფინიტივის წინა პოზიციაში: დიდის საქმისა შემართვად ადვილად უნდა მქნელადა (არჩილ., 68, 10);

სად დაშვრება ტყუილის თქმად, დაახელოს თუ ყური სამ (არჩილ., 93, 21);

ვეუბნებოდი: შენ წარმიმართე იწროს გზის პოვნად – გზები გაქვს ფართე (ბესიკი, 3, 25-26);

რა რომ განიყვნენ მრავლად ენებად,

ველარ შეუძლეს გოდლის შენებად, –

ცალ-ცალკე არესა, სხვა-და-სხვას მჭარესა

განთესულ იქმნენ

(დავით., 260, 576, 1-2-3-4);

და შეინთქვნენ ერნი, აღიძრნენ ცუდისა განძრახებადა (დავით., 38, 82, 4);

დაჯდა სატყებრად, გოდებად,

თავთა კლად ხუქვა-ლოდებად,

გულსა საკმილის მოდებად,

შესაბრალ-შესაცოდებლად (დავით., 138, 15, 1-2-3-4);

ვისაც რამ გცოდე, ვითხოვ, შემინდოთ,

ჩემზედ გონება აღმოიწმინდოთ;

მე აღარ ძალმიც თქვენი რამ წყენა, –

სიტყვის თქმად ენა მე დამეყენა (დავით., 267, 6, 1-2-3-4);

ღმჭრთო, განმიხვენ ყურნი კეთილთ სიტყვის სმენად,

განმიმაგრე გული სარწმუნოების რწმენად,

აღმაყოფე, ვითა ხე, ნაყოფით კეთილად,

და ნუ მყოფ მე ხენეშად ძირით მოკვეთილად! (დავით., 276, 2, 1-2-3-4)

მამა ხარ, სული ცხოველი, ძე თანაარსი ქებული,

და სიტყვა უქმისა პატიჟად ცეცხლი არ მომხვედეს გზებულნი
(თეიმ. I, 99, 1, 3-4);

და პეტრეს სამოთხის გაღებად კლიტე ვერავინ წამირთოს (თეიმ. I,
24, 2, 4);

სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი (ვეფხისტყ., 64,
415, 2);

ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად
(ვეფხისტყ., 53, 341, 13);

ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმად და ჭირთა თმენად
(ვეფხისტყ., 132, 859, 11);

და ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხერეტად?!
(ვეფხისტყ., 103, 674, 28)

ჟინვანს ყოფით მირამჭირდა, ჟამურს შეველე ოვსთა ნახვად (ბესიკი,
72, 29);

ნოემ შუა სამ ძე; სემ, ქამ, იაფეთ.

ჰრქვა ღმერთმან ნოეს: „ძელთ ჭრად ისწრაფეთ!

მწადს წყალთ დიდობანი; აგე კიდობანი

ოთხ კედლად ბუდებ“ (დავით., 252, 518, 1-2-3-4);

თქვა: „სიზმრად ენახენ მაჯნუნი, იგ სულთ ამოსვლად მდებარე
მან სიტყვა მითხრა საბრალო, გულს ცეცხლი მოსადებარე:

<<შენცა წამოდი ჩემთანა, ნახე, რომ მივალ მე, ბარე>>

და – აწ მეცა მივალ მიწასა, მომზადენ ჩემთვის მებარე“ (თეიმ. I, 49, 188,
1-2-3-4);

ჯერ, ღმერთო, არა ვარ ღირსი *თვალთა* მე ზეცად *ახილვად*,
ჯეროვნად მზისა, მთვარისა, მადლისა ცისა დახილვად,
რაჟამს მოვიდეს გაბრიელ ცოდვათა ჩემთა დახილვად,
და მას თვალნი ევლარ შეუადგენ, ვიყო კვლა დაღმა დახილვად
(თეიმ. I, 136, 83, 1-2-3-4);

და წყლული მოქენე წამლისა, *სხვათა კურნებად* რებულა
(თეიმ. I, 61, 12, 4);

- „ყოველ დღე წავალთ *მხეცთა სერად*“ - ძენი ეტყოდეს მამასა...
(თეიმ. I, 64, 35, 1)

წამლად რამე მოვიგონე *სვედის ფიქრთა გამქარეებლად*,
თვარ ამაზედ რადმცა ვიყავ მე სიტყვათა რასმე მკრებლად,
ამას წინად მათ მიჯნურთა სიტურფეთა ვიყავ მქებლად,
და იგ ვინ ვისთვის ხელქმნილიყო, ან მოედვა ცეცხლი მგზებლად (თეიმ.
I, 100, 9, 1-2-3-4).

ნათესაობითში დასმული სახელი ინფინიტივის მომდევნო პოზიციაში:
და გაეხსენ *ფარვად თაეისა*, არვისგან საეჭველისა (ვეფხისტყ.,
76,491,8), შდრ.: ფარვად პატიუთა (ვეფხისტყაოსნის სიმფონია);

დაჯდა *წურად ანდერძისა*, საბრალოსა საუბრისად (ვეფხისტყ.,
147,960,1), შდრ.: წურად ანდერძისად (ვეფხისტყაოსნის სიმფონია);

აწ რადლა გემართებს ტირილი? ხამს დავსხდეთ *ქმნად ღიმილისა*
(ვეფხისტყ., 234, 1541, 18), შდრ.: ქმნად ღიმილისად (ვეფხისტყაოსნის
სიმფონია);

არსსა *ქებად შემოქმედის* გაიცდიდი და შემდგომსა (არჩილ., 119,9);
...და მიუშვა იგი *მიღებად* მეზობლისა ჩვენისაგან აწ *ახლისა*
პატიეისა! თავადობის მიცემით (ბესიკი, 107, 16);

მე ვით ვთქვა სულთქმა პატიუი მის პირ-მზე, ალვა რგულისა!

იტყოდა: – „რა ვქნა, რა ვირგო მისთვის გაწირვად სულისა?
ჩემმა უნებლად გასვლამა თუ მეფე გააგულისა“?

და გულსა ემდურვის: – „რად შემქმენ ხელმწიფე ყულად ყულისა“? (თეიმ.
I, 70,86, 1-2-3-4)

დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მეღნად მოგცემ ცრემლთა ტბასა
(ვეფხისტყა., 174, 1145, 21), იგივე ფორმაა ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში;
მეხო, ქუხილის ისარო, მტერთ გულზე დასარტობელო,
დავითის ვარდო, აბრამის ყვავილო დაუტკნობელო.
განსჯად ცხოველთა და მკედართა სამართლის გამამბტობელო,
და მარცხენით თიკანთ მარიდე, მარჯვენით კრავთა მკმობელო! (დავით,
86, 418, 1-2-3-4)

XII-XVIII საუკუნეთა პოეზიაშიც გამოვლინდა გარდამავალი
პერიოდისათვის დამახასიათებელი შემთხვევები:

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიჭდა მწკალტვეით... (დავით., 70,316,
1)

ამა უფლისა საქებრად ბრძენიც ჭკუვაზედ მცდარია... (დავით., 28, 11,
2)

და იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადო (დავით., 72,
327, 4);

ადე, ადე, არ დასზარდე, რაც დაგპატიჯეო.

აღე პირი ღეთის საქებრად, ნუ გაიმუნჯეო,

ნუ ატმუნვებ მკვიდრს მიჯნურსა, წუთი დაღრიჯეო,

თუ სულით გსურს განსვენება, კორცი გასარჯეო (დავით., 129, 61-62,

1-2, 1-2);

ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი

მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე,

და ვგრეთ შენ, თაო, ხარ გაჯდომილი,

ასეთი საქმე მე მოგიგვარე! (დავით., 131,1,1-2-3-4)

ჩვენ უღირსთა საქებულად სიტყვა გეთქვათ დია ბრძენი... (თემ. I, 48, 180, 2)

მოსცა სათხოვარი, ქრისტე მაცხოვარი,

სადიდებლად ღეთისა, ბე იგ დავითისა,

ჭეშმარიტი ღმერთი,

ფრიად საყვარელი, მცეველი და მფარველი.

მან დაგვიდგა სჯული, დაქსნა დახვანჯული,

ჯვარსა ეცვა ჩვენთვის! (დავით., 133, 5-6, 1-2-3, 1-2-3)

აღსაშენებლად სრა-ვანთა გაგზავნა ორი სარქარი... (დავით., 69, 308, 3)

კარგის კაცისა შესწავლა ჰგავს წყლულისათვის მაღამსა... (თემ. I, 47, 169, 2)

ორღანოთი ფსალმუნება ღმერთსა შეენის, სხვას არვისა,

ოფლთა ღერა და მუხლთა დრეკა, ხამს, ვედრება ღეთისმშობლისა,

ორისავე ბუნებითა შეგვაერთნა კაცნი ღეთისა,

და ოდეს მოვა აღსასრული, გვაქვს იმედი შეწევნისა (თემ. I, 156, 13-14-15-16);

ვით ითქმის ქება მეფისა ღეთივ დაცულ, დაფარულისა... (თემ. I, 135, 79,1)

XII-XVIII საუკუნეთა ისტორიულ ძეგლებსა და დოკუმენტებშიც, მსგავსად აღნიშნული პერიოდის მხატვრული და პოეტიკური ნაწარმოებებისა, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ინფინიტივთან ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია დაკავშირებული. ამ ბრუნვით წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტის ფარდი სახელი აქაც გვხვდება

ინფინიტივის წინა და მომდევნო პოზიციაში. ამგვარი შემთხვევები დასტურდება იმ მაგალითების გვერდით, სადაც ზმნური მართვის ძალა ვლინდება. გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ზმნური თვისებებიდან სახელურ თვისებებზე გადასვლა, აღნიშნული ჯანრის ძეგლებშიც არის წარმოდგენილი:

ნათესაობითში დასმული სახელი ინფინიტივის წინა პოზიციაში:

ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოგწყვდნენ კორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად (ქართლ. ცხ., I, 87, 5);

„...რამეთუ სხუა ღმერთი ვერ შემძლებელ არს ესევეითარისა ქმნად“ (ქართლ. ცხ., I, 92,4);

ამან უმეტესად უწყო ბრძოლად სპარსთა, შესლვად და ტყუენვად რანსა და მოეაკანსა; რამეთუ მას ჟამსა უცალო იყო მეფე სპარსთა, და ბრძოდა იგი ინდოთა და სინდთა და აბაშთა, და ვერ შემძლებელ იყო სპისა დიდისა გამოგ ზაენად, და სპათა რანისა და მოეაკანისათა და აღარბადაგანისათა ემძლავრებოდეს ქართველნი (ქართლ. ცხ., I, 141, 1);

აწ გულისკმა ვყავთ, რამეთუ უმჯობეს იყო ჩემდა საყდარსა შინა მცხეთისასა თქუენ, ყოველნივე სუეტისა ცხოველისა გლენხო და ერნო, ავედრებდეთ დღეთა განგრძეობისათუის საყუარელსა ძესა ჩუენსა აღუქსანდრეს, ვიდრელა სათათროსა მასალისა აღებად (დოკ. II, 1, 15);

უკეთუ დედოფალმა ხელ-ყოს ამის შლად, შერისხდი შენ, უხრწნელო დედოფალო მღთის მშობელო მარიამ! (ისტ. დოკ., 142, 9)

...მზე ცხოვრებისა სოფლიოთ არსთა მოეფინა უღთოებისა ზამთრისა ღაცხრომად და სიმბნელესა ეშმაკათასა წარდევნად... (ისტ. საბ., V, 110, 15)

და ამან გუარამ კურაპალატმან იწყო ციხეთა და ქალაქთა მაგრებად (ქართლ. ცხ., I, 220, 11), შდრ.: მაგრება (მ);

და არს ქვაბი ერთი დიდ ფრიად, რამეთუ *კაცთა ქმნულად*
გასაკვირვებლად (ვახუშტი, 152, 39).

ნათესაობითში დასმული სახელი ინფინიტივის მომდევნო პოზიციაში:
შელამდა დღე იგი და განისუენეს ორთავე, და დილეულ კუალად
გამოვიდეს და აღიღეს მშვლდები, და იწყეს *რბევად და სრვად*
ერთმანერთისა (ქართლ. ცხ., I, 34, 12);

ხოლო საკვრველებისა მისთვის და მის მიზეზისათვის, რომელი-იგი
იქმნა, არღარა უკუე ინება *გამოღებად* მკერდისაგან *მკუდრისა მის*
(ქართლ. ცხ., I, 37, 27);

და იწყო ყოველმან ერმან *ქებად მეფისა* (ქართლ. ცხ., I, 88, 14);

ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკვრველ იყო ხილვითა,
საშუალ ეკლესიისა შესაგდებელად განმზადებული, ვერ შეუძლეს
აღმართებად მისა (ქართლ. ცხ., I, 112, 3);

უკეთუ ვისმე ენებოს *განცდად* და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის
დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა,
და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე
მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა (ქართ. ცხ., I, 281,
4);

ხოლო რომელთა არა უნდა *ყოფად მშვდობისა*, იწყეს განმზადებად
ბრძოლად (ქართლ. ცხ., I, 287, 9);

„...დაღაცათუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულსა
ზედა მამათა თქუენტასა, და ვესავე მე ღმერთთა მპყრობელთა
ქართლისათა, და სასოებითა მათითა წარმართებულ ვარ *ძიებად*
მამულისა ჩემისა, აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი (ქართლ. ცხ.,
I, 31, 11);

ოდეს წარვემართე *ქადაგებად ძისა ჩემისა* ქუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხუდე და წარასუნო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილ-ხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ (ქართლ. ცხ., I, 38, 9);

მაშინ დავარდა მოციქული ქუეყანად, და მადლი შესწირა ცრემლითა ყოვლად-წმიდასა, და გამოვიდა მიერ სიხარულით, და წარმართა *ქადაგებად სახარებისა* (ქართლ. ცხ., I, 38, 21), შდრ., *ქადაგებასა სახარებისასა* (P);

და დაუდგინნა ეპისკოპოსი, მღუდელნი და დიაკონნი, და კუალად განემზადა *ქადაგებად სახარებისა* (ქართლ. ცხ., I, 41, 32);

მათ დღეთა შინა გამოგზავნნა კეისარმან *ძებნად ქალისა ქმულ-კეთილისა და შუენიერისა*, რათამცა უპოვეს ღირსი ცოლად მისა (ქართლ. ცხ., I, 81, 3);

ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა მოვიდა ღალადისი ნუგეშინისცემისა, ვითარმედ: „სპარსნი არა დაპყრობად მოვიდეს იერუსალემისა, არამედ საჭურველისა წილ აქუნდა ოქრო სამეუფო, და მური მსწრაფლ მკურნალი წყლულებათა და გუნდრუკი სულ-ამო (ქართლ. ცხ., I, 98, 6);

ვითხოვოთ, რათა მიღებად წერილისა წარმოგზავნოთ ჩემის ყმის ხელითა და მაცნობოთ ყოველივე (დოკ. II, 302, 32);

და ესრეთ ერთობით აღვლესნეთ გულნი დათხევეად სისხლისა ტაძრისა შენისა გამოხსნისათვის (ისტ. დოკ., 130, 25);

ამისა შემდგომად შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი

მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ქქუან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა (ქართლ. ცხ., I, 29,5);

<<მაშინ შეწუხნა მირიან მეფე ამისთვის, რამეთუ პირველ არა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხუათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუტევენეს ნაწილნი...>> (ქართლ. ცხ., I, 118, 3)

რამეთუ იწყეს მიერთგან რბევად, ტყუენვად და მოოკრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა (ქართლ. ცხ., I, 318, 15);

და ვითარ მოადგა ნებროთ ქუეყანასა ადარბადაგნისასა, და დადგა მუნ და წარავლინნა გმირნი სამეოცნი და მათ თანა სპანი ძლიერნი წყობად თარგამოსიანთა (ქართლ. ცხ., I, 6, 18);

...აწ ვიწყოთ თუთვეულთა წარმოთქმად მათთა, ველთა და წყალთა (ვახუშტი, 33, 1);

...იწყე აღსრულებად ათთა მცნებათა პირველისა სჯულისათა და ცხრათა ნეტარებათა ახლისა აღთქმისათა (ისტ. საბ., V, 31, 28).

გამოვლინდა სხვა საინტერესო შემთხვევებიც, კერძოდ, ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უკავშირდება სახელობით და მიცემით ბრუნვებში დასმულ საწყისს:

ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს (ქართლ. ცხ., I, 29, 2), შდრ., *შენებად* (cm), *შენებად* (cet);

ამათ დღითი-დღე წარმართებათა და განდიდებათა შინა იყო სკიპტრის-მპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ; უმეტეს შუმატებდა ღმრთისმსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა, ობოლთა და ქურიეთა შეწყალებასა და სამართლისა ზოფენასა (ქართლ. ცხ., I, 99, 13).

ზოგჯერ ინფინიტივთან დაკავშირებული სახელი თანდებულიან ნათესაობითში დგას:

...იმ თხრილის ქვევითის პირიდამ რომ ქონებია წაყვანილი წყალი ჭიკარტაშვილს თავისის ბუჭულისათვის და არა სხვა *მიწისათვის* შორს *მოსარწყავად*, ისევ იქიდამ უნდა წაიყვანოს... (დოკ. II, 244, 3)

ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას ლუხუნის კიდესა ზედა *მცველად წყლისათვის* (ვახუშტი, 159, 37).

არის შემთხვევები, როდესაც ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან შეწყობილი სახელიც ვითარებითშია:

...დედაკაცმან *ამისად ქცევად და შლად* კვლეყოს... (აფხაზ. საკათ. გლუხ. დიდი დაეთ., 50, 12)

...ნურავინ *კვლეჰყოფთ შლად ამისად*... (ისტ. საბ., IV, 32, 9)

როგორც დავინახეთ, ინფინიტივის მიერ შექმნილ კონსტრუქციათაგან ყველაზე ხშირია გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის შექმნის შემთხვევები. ამგვარ ვითარებაში მრავლადაა ძველი ქართულისებური ზმნური მართვის შემთხვევები, როდესაც ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს უკავშირდება სახელობით და მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი. ამ შემთხვევაში ინფინიტივი მართავს ობიექტს სათანადო ბრუნვაში. თუმცა მათ გვერდით გამოვლინდა სახელებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობა, როდესაც ინფინიტივს ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უკავშირდება: მართული სახელი პრეპოზიციური წყობისას (ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უსწრებს ინფინიტივს) და მართალ-შეთანხმებული – პოსტპოზიციური წყობისას (ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი მოსდევს ინფინიტივს). ასეთი მაგალითები ძველ ქართულში იღებს სათავეს და დასტურდება საშუალ ქართულში.

XII-XVIII საუკუნეთა ძეგლებში გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამის კონსტრუქციაში უკვე გვხვდება ახალი ქართული სათქმელის დამახასიათებელი მოვლენები. ერთი მხრივ, ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს ენაცვლება სახელობით ან მიცემით ბრუნვაში მდგარი საწყისი, რომელსაც უკავშირდება სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ხოლო მეორე მხრივ, ინფინიტივის ადგილს იკავენს მყოფადის მიმღეობა. ჩვენი დაკვირვებით, საშუალო ქართული წარმოდგენს გარდამავალ საფეხურს ინფინიტიურ კონსტრუქციათა შექმნის თვალსაზრისით.

§4. გარდამავალი სამპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია

ინფინიტივი ზოგჯერ გარდამავალი სამპირიანი ზმნის კონსტრუქციას ქმნის. ამ შემთხვევაში ინფინიტივს ორი სახელი უკავშირდება – ერთი სახელობით და მეორე მიცემით ბრუნვაში, რომლებიც შესაბამისი ზმნის პირდაპირ და ირიბ ობიექტს წარმოადგენენ. ძველ ქართულში ასეთი შემთხვევები იშვიათია (დ. ჩხუბიანიშვილი, 1972: 75). მაგალითები, როდესაც ინფინიტივთან სახელობით და მიცემით ბრუნვაში დასმული სახელებია დაკავშირებული, საშუალო ქართულის პროზაულ ძეგლებში საერთოდ ვერ დავადასტურეთ. არის შემთხვევები, როდესაც ამ ორი ბრუნვის ნაცვლად სახელი სხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ან ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან სახელიც ვითარებითი ბრუნვის ფორმით გვხვდება:

აწ შენთან ამისა კითხვად მოვედით... (ქილ. და დაბ., 83, 26)

აქა წინაშე მყინვართ მეფის ძის ნუშრევანისა მოსვლა მონისა მის კელოვანისა მორესი გულნაზისაგან დაბარებისა მოხსენებად და ნუშრევანისაგან წასვლა საყვარელსა თვისსა თანა (დიღარ., 81, 18);

ბრძენთა სასწავლო საქმენი შეჰყარო ცნობად ამისად,

ჩემნივე რჩევა აჯობებს არისტოტელსა ჟამისად (ქილ. და დამ., 56, 15-16);

მოვიდნენ მცველნი დიდებულისა მის სასახლისანი მილოცვად მათდა და განითქვა ყოველსა აბაშეთსა შინა ჳმა მოსვლისა მათისა და შეჰქმნეს მხიარულება უზომოდ (დიღარ., 765, 22).

ინფინიტივთან დაკავშირებული სახელი შეიძლება იყოს: ა) საზოგადო სახელი; ბ) საკუთარი სახელი; გ) ნაცვალსახელი. ვითარებით ბრუნვაში ნახმარი მესამე პირის ნაცვალსახელის რამდენიმე ვარიანტი გვაქვს: მისა//მისდა, მათა//მათდა... როდესაც ნაცვალსახელი მოსდევს ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს, მასთან -და არის გამოყენებული: ჩემდა, შენდა, მისდა... ვითარებით ბრუნვას ძველ ქართულში მავრცობი არ დაერთვის, ამიტომ, თ. შარაძენიძის აზრით, საფიქრებელია, რომ -და იმავე -დ და -ა ფორმანტების შეერთებითაა მიღებული, რაც -ა-დ -ში გვექონდა (თ. შარაძენიძე, 1956: 410-433).

ზოგჯერ ინფინიტივთან ვითარებით ბრუნვაში დასმულ სახელთან ერთად გვხვდება სახელობით ბრუნვაში მდგარი სახელიც:

...და აწ ესეოდენ დაკინებულ არს, გარეშემონი ჩვენსა მპყრობელნი სიტყვისა რაღსამე ჩვენდა მოცემად არამკადრე არიან (მიმოს., 3,20);

გიძლოდათ მეფე მოსებრ ისრაელთა, გესმოდათ ხმა პატრონისა თქვენისა. მახარობელად თქვენდა იყო ბიბლია: არ მოაკლდესო მთავარი იუდასაგან (სოლ. ლეონ., 282, 17).

შეგვხვდა ისეთი ნიმუში, როდესაც სამპირიანი გარდამავალი ზმნის შესაბამის კონსტრუქციას სახელობით ბრუნვაში დასმული საწყისი ქმნის და მასთან ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია დაკავშირებული:

...და უბრძანა მათ ქვეყანათა შინა შესლვამ, ციხეთა და ქალაქთა დაპყრობამ და მიცემა ბრძანებისა მათ ქვეყანათა ერთა და დიდებულთა, რათა მოვიდნენ ყოვლითა მეფობისა წესითა, განწყობილნი ხარჯითა და წარსაგებელითა და მსახურონ თვის-თვისთა ხვედრთა მეფეთაო (დილარ., 383, 28).

რაც შეეხება გარდამავალი სამპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის მაგალითებს პოეზიაში, დავადასტურეთ ორი შემთხვევა, როდესაც ინფინიტივთან სახელობით ან მიცემით ბრუნვაში დასმული სახელია:

მას მნათობისა საქებრად ენა ხამს შესხმად მალეები... (თეიმ. I, 66, 51, 1)

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად (ვეფხისტყ., 132, 862, 21).

სხვა შემთხვევებში მასთან ნათესაობით ან ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელია წარმოდგენილი:

აღვალო პირი, სიბრძნე დამპვირი,

ზესთა ძაღლისა ჩემისა მბობად... (თეიმ. I, 161, 1, 1-2)

მეფემან ახმა ღურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა (ვეფხისტყ., 72, 465,

1), შდრ.: მიტანა (GHXD'F'L'Q');

მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად (ვეფხისტყ., 148, 973, 25).

უფრო ხშირია სახელის დაკავშირება მომავალი დროის მიმდევობასთან:

ვის ახსოვს, კათალიკოზი ასე, ამგვარად წამდგარა,
ქართლისთვის შესახვეწებლად ხელმწიფის ტახტს წინ დამდგარა!
 (ბაქარ., 45, 222, 1-2)

ოდეს მხსნელმან ისრაელთა პასქა ჭამა ძველი კრავად,
 ორი მსხვერპლი აღასრულა, ერთი თვით არს დასაკლავად,
 ომს იქს პეტრე, მახვილს იხდის *მალხოზისთვის დასაკრავად,*
 და ოქრო გასცა მოწაფემან, იქმნა ეშმაკთ შესაკრავად (თეიმ. I, 151, 18-19-20-21).

ზოგ შემთხვევაში ინფინიტივთან სახელი არ არის დაკავშირებული:
 ჟამთა და წელთ შემომქმედი ცხრა ჟამამდინ იყო ჯვარსა,
 ურუვენ ნაღველს ღრუბლით მისთვის, *შესართავად რევენ ძმარსა,*
 უესთა იყო ხილვა მისი, ჰყოფენ საქმეს შესაზარსა,
 და უინად სჭირდათ, მათ სისხლთა სმა ამამყრიან მათსა ჯავრსა (თეიმ. I, 151, 26-27-28-29);

სასოებას მამას დავით სთხოვდა ამას;

მამავ, შენი ძეო, ვითხოვ, მიბოძეო

შესავედრებელად... (დავით., 133, 3, 1-2-3)

საშუალო ქართლის ისტორიულ ძეგლებსა და დოკუმენტებში
 შემდეგი მაგალითები დავადასტურეთ:

თქვენ მიერ ბოძებულისა წერილსა ზედა თქვენის ხელთ ქვეშეთისა
 გურიათ მცხოვრებისა ვისდამცა მოპარულისა უღლათ ხარებისა მიღებად
 წერილისა თქვენ მიერ ბოძებულისა ვქმენ აღკრძალვა დავიძეს ერთი
 უღელი ხარები და წარმოგვიგზავნია კარახტინზე ვისდამცა იყოს
კუთნილი მიცემად და გვაცნობოთ თქვენ მიერ მიღებად, უფალო ჩემო,
 (დოკ. II, 306, 12);

ხოლო მეფემან დავით უშიშმან და ყოველად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოველად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თუსნი სპანი დაიცვნა უენებელად, – ამათ ყოველთათუს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა *ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედამიწევნით ყოველსავე* (ქართლ. ცხ., I, 341, 3);

<<...და კელნი დედათა მოწყალეთანი არა საზრდელისა შეილთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრდელ თუსსა ჰყოფენ თუთ თუსთა მათ საყუარელითა>> (ქართლ. ცხ., I, 320, 23);

და ამას ესევეითარსა შესხმასა და გალობასა შინა, ვინათგან ღიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად *გვრგუნსა* თავსა სამეუფოსა, აწვეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის-ძე, მიღებად *გვრგუნისა*, და ცალის-კერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკურისა, და სრულ ყვეს მოკვლეთა სჯანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება კრმლისა (ქართლ. ცხ., II, 26, 21).

წარმოდგენილ მაგალითებში ინფინიტივთან დაკავშირებული სახელი სახელობით ან მიცემით ბრუნვაშია. სხვა შემთხვევებში ინფინიტივს ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უკავშირდება:

...და კუალად ოდეს მოვიდეს მსაჯული იგი სიმართლისა მხოლოდ შობილი ძე შენი განსჯად და მიგებად *კაცად კაცადისა* თუითეულთა საქმეთა მათთა მის მსაჯულისა... (ისტ. საბ., IV, 60, 38)

და მოვიდეს მისსა მოგუნი *ძღუნისა შეწირვად*, და მათ მოგუთა შესლვასა იერუსალემს მოვიდა ამბავი მცხეთას, ვითარმედ „სპარსთა იერუსალემი წარტყუნესო“ (ქართლ. ცხ., I, 35, 15).

დასტურდება თანდებულდართული ნათესაობითიც:

ბილეთით წარმოგზავნილმან სათავადო აზნაურმა ნიკო ინაის-შვილმა გასულის წლიდან დაკარქულ ცხენად თავისა კუთნილისადმი ცხენი დანიშნა ჩვენის მხრის თათრის რიზამანა მეგრელიძისა ხელითა. მხოლოდ ფიცხლად მოვაყვანინე ცხენი *მიცემად კუთნილისადმი*, მაგრამ ჩივის, მბრველისა თქვენის მხრის კაცის მოწმობითა უსყიდია ხაფთასი გოგიასადმი იმის ძისსაგან და ყაბზი ხელთა აქვს. არა მიღების ძალით ართმევ, რადგან ნასყიდი ყოლია (დოკ. II, 305,28).

ზოგჯერ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის ნაცვლად მომავლის მიმღეობაა ამავე ბრუნვაში:

და თაყამან ატენი სთხოვა მეფესა. და მეფემან *გამრეკლისა საკითხავად* დაუდვა (ისტ.დოკ., 16,7);

...და დავადგინეთ სასოდ და *შესავედრებელად სულისა ჩუენისა* მოძღუარი და დავდევით ენქერი და გაუჩინეთ მწირველად ჩუენტუის და დავსდევით წირვა წელიწადთა შინა თორმეტთა საუფლოთა დღეთა... (აფხაზ.საკათ.გლეხ.დიდი დაეთ., 60,16)

დაგუიდება შეკუეთით მეაღაპის ვართანასათუის ცხუარი ორი, საკმელი ერთი ქსანი, *ბოლნელის საწირავად* ფლური ერთი, მღდელისათუის შაური ორი... (ისტ.საბ., V, 8,18)

ამისთვის ყო ესე ღმერთმან, რათა ახალნერგნი ესე მოიყვანნეს *სარწმუნოებად შიშსა მისსა*, ვითარცა იგი უძღებისა შვილისათვის ყო საქმე განსაცხრომელი (ქართლ.ცხ., I, 176,15).

საშუალო ქართულის ისტორიულ ძეგლებსა და დოკუმენტებში მოვიძიეთ მაგალითები, როდესაც გარდამავალი სამპირიანი ზმნის შესაბამის კონსტრუქციას ქმნის სახელობით და მიცემით ბრუნვაში დასმული საწყისი:

ციცის-შიღმა მანუჩარ გერმანოზის – შვილის პატას შვილს ქაიხოსროს თავის თეთრს *თხოვნა* დაუწყო: მამა შენმა სადავო მამული მამყიდაო, მე სადაო მამული არ მინდა, რაც ფასი გიჭირავთ, მამეცი და შენ იცი და ყაფლანის-შიღმა ყაფლანმაო (დოკ. I, 332,24);

...მას ჟამსა ოდეს მოგვადექით კარსა და *მამულის თხოვნასა* დაგუეაჯენით და ჩუენ ეისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ... (დოკ. I, 429, 12), შდრ.: ... ასრე რომე ექუსი ათასი თეთრი საელუსარემოდ გამოიღონ და ყოველთა წელიწადთა მხართუემდენ და სხუა საჩუენო სათხოვარი ერთის ნადირობისა და ლაშქრობისაგან კიდე არა ეთხოვნოს. ნუმცა კადრებულ არს ცხენისათვის საჭმლის თხოვნა და ქორისათვის სამღებოს გამოღება. თუ კიდეცა მოკუდეს, ვერავინ მკადრეს იქმნას *თხოვად რასა* გინდამე (დოკ. I, 35,6).

მოძიებულმა მასალამ დაგვანახა, რომ საშუალო ქართულის ძეგლებში სამპირიანი გარდამავალი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის შექმნისას იშვიათია, როდესაც ინფინიტივთან დაკავშირებული სახელი სახელობით ან მიცემით ბრუნვაშია. აღნიშნული პერიოდის პროზაულ თხზულებებში ამგვარი ნიმუშები საერთოდ ვერ მოვიძიეთ. გვხვდება ნათესაობითში დასმული სახელი ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან. ასევე ვითარებითში დასმულ საწყისს ზოგჯერ ამავე ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელი უკავშირდება. შეგვხვდა მაგალითები, როდესაც გარდამავალი სამპირიანი ზმნის შესაბამის კონსტრუქციას ჰმნის მომავლის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში ან სახელობითსა და მიცემითში დასმული საწყისი.

მასალაზე დაკვირვებამ სხვა საინტერესო შემთხვევებიც გამოაგვლინა. ჭკობოდ, პროზაულ ძეგლებში ზოგჯერ ინფინიტივთან შეწყობილი სახელი ასევე ვითარებით ბრუნვაში გვხვდება:

„...ცნობა და სიყუარული ერთმანერთსა ვერ ჰმორჩილობენ, ამით რომელ ცნობას სიყუარული მოერევის, აღარა მიუშვებს გამორჩევად საქმისად და ყოველი ხუაშიადი მისგან გამოცხადდების“ (ვისრ., 75,7);

დაეყავ ხუთასი წელი ამა სიმდიდრესა შინა და განმრავლდა ცოდვა ჩემი და არაოდეს მომხედა ღმერთმან ბოძებად შეიღისად (რუსუდ., 408, 21).

შეგვხვდა ისეთი მაგალითები, როდესაც ინფინიტივთან დაკავშირებულია -თვის (-თუის) თანდებულიანი სახელი ნათესაობით ბრუნვაში:

თუ უცხო ვინმე არს და ჩემისა პატრონისათვის ბრძოლად დაუმართებია, ჩემგან პირის ქცევა არ ეგების (რუსუდ., 67, 10);

წამოვიდა შუელად ინდო ჭაბუკი ამბრი არაბისათვის (ამირანდარ., 183,8).

მოვიძიეთ ნიმუში, სადაც ინფინიტივთან დაკავშირებული პირდაპირი დამატება მსაზღვრელ-საზღვრულითაა წარმოდგენილი და ეს მსაზღვრელ-საზღვრული სწორედ ამ ინფინიტივის ფორმით არის გათიშული:

წვიდა ქაოზ ქოსისძე მის ზღუდისა ნახვად გაკუეთილისა (ამირანდარ., 700, C, 13).

საშუალო ქართულის პოეზიაშიც დავადასტურეთ მაგალითები, როდესაც ინფინიტივთან შეწყობილი სახელი შეთანხმებულია მასთან ბრუნვაში:

ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცეს მძლევედ მტერთად (ვეფხისტყ., 147,964,17);

მოპგვალენ, მზეო, მზისად აზიით სიმდაბლის ქვაბად ოქროის ზღენობით მურ-გუნდრუკების კმევად მეფეთ-მეფისად... (ბესიკი, 86,25-26)

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს დართული აქვს ნაწილაკი: აღარ მიუშვი, ვაკოცე, *ქნაღლა თაყვანის-სცემისად* (ვეფხისტყ., 97,633,24), შდრ.: *ქმნაღლა თაყვანის-ცემისად* (ვეფხისტყაოსნის სიმფონია).

პოეზიაშიც გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ინფინიტივთან დაკავშირებულია –თვის თანდებულიანი სახელი ნათესაობით ბრუნვაში:

და მან მოგვაშველოს ლაშქარი მათ *გრძნეულთათვის მორვეად* (ვეფხისტყ., 234,1540,16).

აღნიშნული პერიოდის ისტორიულ დოკუმენტშიც გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ვითარებითში დასმულ საწყისთან თანდებულდართული ნათესაობითია დაკავშირებული:

მხოლოდ ფიცხლად მოვაყვანინე ცხენი *მიცემად კუთნილისადმი* (დოკ. II, 305,28).

§5. ინფინიტიური კონსტრუქცია ანტონ პირველის ენაში “ქართული ღრამმატიკის” მიხედვით

საკითხის უფრო ღრმად შესწავლისათვის, საინტერესოა, თუ როგორ არის წარმოდგენილი ინფინიტიური კონსტრუქცია პირველი ქართული ზრამმატიკის ავტორთან, ანტონ კათალიკოსთან, რომელიც XVIII საუკუნეში

საკუთნეში მოღვაწეობდა. თავდაპირველად სწორედ მასთან ვხვდებით აღნიშნულ კატეგორიას.

ანტონ პირველი თავის „ქართულ ღრამმატიკაში“ მსჯელობს ინფინიტიური კონსტრუქციის შესახებ. იგი გამოყოფს ხუთ კილოს. მესამე კილოს მოიხსენიებს ტერმინებით: „უჩინოებითი სქესი“ ან „განუსაზღურებელი სქესი“. ამ ტერმინებით ანტონი აღნიშნავს საწყისს ვითარებით ბრუნვაში, რომელსაც ეკისრება ევროპული ენების ინფინიტივის ფუნქცია. დღეისათვის ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსს მხითარ სებასტაქცის ზოგი ტერმინი სიტყვასიტყვითა აქვს ნათარგმნი, ზოგი კი არასწორად გაუგია და გადმოუთარგმნია (ე.ბაბუნაშვილი, თ.უთურგაძე, 1991:27). ამ ტერმინებსა და სიტყვებში შედის „ნაკლზმნა“ (სახელზმნა), „უჩინო“ (საწყისი ვითარებით ბრუნვაში), „მიმღებელობა“ // „შემწყნარებელობა“ // „მიმთუალუშლობა“ (მიმღეობა) და სხვა. ანტონი აღნიშნავს, რომ „უჩინო“ // „უჩინოებითი“ ან „განუსაზღურებელი“ კილო სახელზმნისაგან იწარმოება დ-ონის დართვით³².

ანტონ პირველის გრამატიკის პირველ რედაქციაში (1753 წ.) ნათქვამია, რომ „უჩინოს“ აწმყო თხრობითი კილოს აწმყოს I პირისაგან იწარმოება, ოღონდ ზმნას ზმნისწინი და პირის ნიშნები ეკარგება და ბოლოში ვად მაწარმოებელი ერთვის, თუმცა შეიძლება „უჩინო“ ყოველთვის ამ სქემით არ იწარმოებოდეს, მაგალითად, „მრწამს“ ზმნის „უჩინოს“ უნ მარცვალჩამატებული „რწმუნვად“ და სხვა. „უჩინო“ ზმნას ერთი აქვს, ზმნა კი სხვადასხვა უღვლილებისა შეიძლება იყოს. „უჩინოს“ ნამყო იწარმოება ნამყო სრულისაგან; „უჩინოს“ მყოფადი აწმყოსაგან ი-ს დართვით (ყუარვადი, კრვადი, კიდვადი, წუხვადი) და ყოველთვის ენებითი გვარის არის (ე.ბაბუნაშვილი, 1970:182-183).

³² გრამატიკის ავტორი უფრო ხშირად ხმარობს ტერმინს „განუსაზღურებელი“.

თუ პირველ რედაქციაში ანტონი „უჩინოში“ განარჩევს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს და გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩვენი მთარგმნელებიდან არავის და არც იოანე ფილოსოფოსს არ მიუქცევია ყურადღება ამ ფორმათა ერთმანეთისაგან გარჩევის საჭიროებაზე, მეორე რედაქციაში (1767 წ.) გამოვრებულია დებულება, რომლის მიხედვითაც „უჩინო“ გვარებს არ განარჩევს, ოღონდ ერთი შენიშვნით: თუ „უჩინოს“ წინადადების გარეშე გამოვიყენებთ, ვნებითის ნიშნად *ე* უნდა ჩაერთოს (ჭამეად, წერეად...). ეს უკანასკნელი წესი იოანე ფილოსოფოსმა დაადგინაო, წერს ანტონი.

მეორე რედაქციაში „უჩინოს“ ან „განუსაზღვრებელს“ ცალკე თავი აქვს მიძღვნილი. ამ საკითხთან დაკავშირებით ანტონს მოჰყავს დებულებები. როგორც ებაბუნაშვილი აღნიშნავს, „თავისი თეორიული დებულებების პრაქტიკულ განხორციელებას ანტონი პირველ რიგში გრამატიკული ხასიათის ნაშრომებში ეცდებოდა“ (ანტონ პირველი (ბაგრატიონი), 1997:3). ამისათვის ანტონის დებულებებს ჩვენ დავამოწმებთ მაგალითებით გრამატიკის ენიდან³³:

1. „უჩინო“ იგივე „განუსაზღვრებელია“;
2. ზმნის განუსაზღვრელ კილოს არა აქვს პირი და რიცხვი;
3. ზმნის განუსაზღვრელი კილო სახელზმნისაგან იწარმოება ად ნიშნით აწმყო დროში, მაგალითად:

მეოთხისა ხატისა ქუშშე ჰსჩანს ერთივე ვნებული, რომელა პირი პირუშლი, ორთა ნამოქმედებთა, პირუშლისა და მეორისა პირისათა, რომელიცა სათანდო არს ესრეთ *ცნობად* (39);

მექქუსისა ხატისა ქუშშე ჰსჩანს ერთი ვიდრემე პირი განცხადებულად, რომელი არა ყოვლისა უღლვლებისა ქუშშე დაიდების,

³³ ნიმუშებს ეიმოწმებთ წიგნიდან: ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ქართული გრამატიკა, თბ., 1997.

რომელიც დასასრულსა ყოველთა ზმნათა გარდამოცემათასა გუზგულეების დადებად (39);

ვინაეცა იიძულებით თქუენ კიდურმდგმოებისა გამოყუანებად და თქმად, მაშასადამე, ახალი ესე ასომ, რომელია Ⴎ, საჭირო არს ყოფად (125);

პირუშლი ესე მდევარი ნაცუალსახელისა, რომელა ნათესავი, შესაძლებელ არს განწუალუად სხუადასხუა სახედ... (167)

4. აწმყო დროში განუსაზღვრელი კილო ზოგჯერ შეიცავს ზმნიზედასაც. ამის ნიმუშები არის ანტონის მსჯელობაშიც:

ღრამმატიკა არს შემძლებელობა მართლუბნობად და წესიერწერად (121);

განუსაზღვრებელი მყოობადი შესაძლებელ არს ზმნებრ მიმთუალუშლყოფად ზმნისზედაისა... (229)

5. ზმნის განუსაზღვრელ კილოს ზმნისწინიც დაერთვის. გეხედება მარტივი ზმნისწინიც და რთულიც. შესაბამისი მაგალითებიც მოვიძიეთ:

მარტივზმნისწინიანი განუსაზღვრელი კილო. ამისთვის მოქენე თქუენდამი ვითხოვ, რათა ლოცუაჰყოთ ჩემდა და მოტევებად უმეცრებისა ძლითნი ქმნილნი... (10)

თვისება სიტყუსა არს, რათა ერთსა სიტყუსა შინა შევიდენმცა სხუადასხუაგუარობანი ზმნათანი, რომელნიცა ოდეს იგი დაჰკლოვნდების გამოცდილებით მოწაფე ღრამმატიკოსობისა, შესაძლო არს მისდა აღრიცხუად თვთოეულნი (132);

ყოველი ზმნად აწმყოსა დროსა შინაი პირისამებრ მესამისა შესაძლებელ არს ნიშნითა ამით ნ გაპიროვნებად (135) და სხვა.

რთულ ზმნის წინიანი განუსაზღვრელი კილო: კუალად, ვიდრემდის არა იქცეს მრჩობლსხმითგარდასლუთად, ვერ, შემძლებელ არს მიმოხრად პირნაკლთა მესამისა, მეოთხისა და მეხუთისა ხატთა ქუჭშე (80-81);

ასო ითარგმანებისო კავშირად, ესე არს უკუშ აღმოოხრუა რადმე წებითი და ნაწვერობითი, რომლითაცა ძალუცსთ აღმოოხრუად კაცთა... (122) და სხვა.

ასეთი მაგალითები საკმაოდ ხშირია ანტონის გრამატიკის ენაში. ანტონის ზოგი დებულების შესაბამისი მაგალითი მის ენაში ვერ მოვიძიეთ. ასეთი დებულებებია:

1. არსებობს ის ნიშნიანი ზმნის განუსაზღვრელი კილო;
2. მყოობადში ზმნის განუსაზღვრელი კილო დი ნიშნით იწარმოება;
3. მყოობადის განუსაზღვრელი კილო იბრუნვის;
4. ზმნის განუსაზღვრელი კილოსაგან შეიძლება ნაწარმოები სახელი მოვიღოთ;
5. თანდებულიც დაერთვის;
6. ზმნის განუსაზღვრელი კილო „სხმითგარდასლუთი“³⁴ შეიძლება იყოს;
7. ზმნის განუსაზღვრელმა კილომ მყოობადში შეიძლება დაირთოს ზმნიზედა;
8. ზმნის განუსაზღვრელი კილო მყოობადში ზმნის „სახელადაც“ იხმარება და „საძიებოდაც“.

* * *

ანტონის გრამატიკაში ვკითხულობთ, რომ ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი საწყისი აწმყო დროში შეიწყობს დამატებას

³⁴1 წარმოქმნილი სახელი; 2. ზმნის კაუზატიური ფორმა (ანტონ პირველი, 1997, გვ.403).

სხვადასხვა ბრუნვაში (ანტონ პირველი (ბაგრატიონი), 1997:284-285). ამის დამადასტურებელია ანტონის მეტყველების ნიმუშები:

...ვინაიდან ზემოდადებულნი კიდურმდგომობასა აწარმოებენ, მაშასადამე, ღრამმატიკასა უკმს *ქონებად* უმთავერესნი *ნაწილნი* (121). ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს უკავშირდება სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი, რომელიც ქვემდებარის როლს ასრულებს და გვაქვს ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია.

ვინათგან მოვიწიენით ცნობისადმდე ღრამმატიკასა და ნაწილთა მისთა, შესაბამ არს ჩუშნდა *განსაზღვრებად ცნობად* ესე... (121)

...ხოლო შესაბამ არს ლექსნი იგი ნათხზნი კეთილკარგიერ კანონისა ქუმშე დადებად და წესიერ თანკმობად და *ლექსნი* სიტყუათა შინა წესიერ *დანაკუშთებად*... (121-122)

თვსება სიტყუსა არს, რათა ერთსა სიტყუსა შინა შევიდენმცა სხუადასხუაგუარობანი ზმნათანი, რომელნიცა ოდეს იგი დაკვლოვნდების გამოცდილებით მოწაფე ღრამმატიკოსობისა, შესაძლო არს მისდა *აღრიცხუად თეთოეულნი* (132).

ამ მაგალითებში სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი პირდაპირი დამატებაა და გვაქვს ორპირიანი გარდამავალი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია.

ამგვარი ნიმუშები სხვაც გვხვდება.

ზოგჯერ სახელი ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის წინა და მომდევნო პოზიციაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

წინა პოზიციაში:

კუალად სხუაიდა ნიშანი, გარდა ნიშნისა ამის, რომელა ი, შესაძლებელ არს ნიშნად ვნებითისა *ზმნისა ყოფად*, რომელ არს ე... (204)

შესაძლებელ არს უმეშუმობითთაგანცა *ზმნათა მიღებად*... (284)

მომღეენო პოზიციაში.

თქუმს სხუათა ღრამმატიკოსთა, უწინარესთა ჩუშნთა, გუარი ესე, რომელა მიღება ზმნათაგან ნათესავისამებრ საძიებოდ სახელზმნათა დაყენებად ზმნათა საძიებოთა (281).

ნიმუშები მცირეა. მოყვანილ მაგალითებში ჩანს სახელებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობა: მართული სახელი – პრეპოზიციური წყობისას, მართულ-შეთანხმებული – პოსტპოზიციური. ასეთი სინტაქსური ურთიერთობა დადასტურებულია ძველი ქართული ენის ძეგლებშიც (არ.მარტიროსოვი, 1955:52). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენა, რაც გამოიხატება ზმნური მართვიდან სახელთა სინტაქსურ ურთიერთობაში გადასვლისას, ძველ ქართულში იღებს სათავეს.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ხშირია შემთხვევები, სადაც ინფინიტიურ კონსტრუქციაში ზმნური მართვის ძალა იჩენს თავს. ხოლო კონსტრუქცია, სადაც სახელებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობა ვლინდება, იშვიათია.

ინფინიტიური კონსტრუქცია პიპოტაქსური შინაარსის მარტივი წინადადებით გადმოცემის კიდევ ერთი საშუალებაა. იგი ხშირად ცვლის მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას, მაგალითად:

ჯერ არს თქმად და გარდამოცემად პირუშლად სახელისათვის (133);
თანკმობისათვის განმათვსებელისა, ნათესავობითად ბრუნვლისა, სიმკაცრეთა შორის ესევცა ცნობად სათანადო არს... (151)

გარნა ყოველთა თვსებათათვის თანაგუაძს თქმად თვისსა ადგილსა (181).

დამელიქიშვილს შენიშნული აქვს, რომ ინფინიტიური კონსტრუქცია ბუნებრივია იოანე პეტრიწისთვის. ინტერესმოკლებული არ იქნება საუბარი ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც გეხედება ანტონთანაც და პეტრიწთანაც. ანტონის გრამატიკის ენაში, ისევე როგორც იოანე პეტრიწთან, ხშირად მოსალოდნელი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ადგილს იჭერს ინფინიტიური კონსტრუქცია (დამელიქიშვილი, 1975:195). მოვიყვანთ ჩვენს მიერ მოძიებულ ნიმუშებს პეტრიწის თხზულების ენიდან³⁵:

...რამეთუ არა თუ გუარსა ჯერ არს საკითხავისასა მიცემად (173);

...გუარსა თანა გუაც ცნობად დიდთა საღმრთოისმეტყუელთა შორის ხედვისასა და აღებად ჰაზრსა წინაითვე წინამდებარისა წიგნისასა (174).

„კავშირთა“ თარგმანის ბოლოსიტყვაობაში პეტრიწი წერს:

კუალად უკუე სათანადო არს და უფროეს ხოლო საჭირო ცნობად, ვითარმედ სხუა არს ძალი და მოქმედებაჲ სულისაჲ და სხუა – გონებისაჲ... (64)

იოანე პეტრიწი ინფინიტიურ კონსტრუქციას ხმარობს როგორც ჰიპოტაქსური შინაარსის მარტივი წინადადებით გადმოცემის ერთ-ერთ საშუალებას. მის მიზანსაც ხომ ლაკონიური და აზრობრივად ზუსტი, უამრავ ნიუანსთა დამტვევი სტილის შექმნა წარმოადგენდა.

დაეუბრუნდეთ კვლავ ანტონ კათალიკოსს. საყურადღებოა, რომ ანტონ პირველთან ზოგჯერ მიზნის გარემოებად გამოყენებული ინფინიტივის პარალელურად გეხედება მყოფადის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში:

...გარნა არცა დაისხმიან განრჩეულადრე საქმარებად, არამედ

³⁵ იოანე პეტრიწის ნიმუშებს ვიმოწმებთ წიგნიდან: დამელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.

მეტნობითად ანუ ჩუჭულებისათვის ანუ კეთილმწერალმეტყუშლებისათვის და ანუთუ ადვლ დაწყებისათვის სიტყუათა შემდგომთა... (117) შდრ.:
...გუარი *კმარებად*...(9)

შესაძლებელ არს ჳმის აღსლუსა მიერ და შთამოსლუსა, რომელიცა ნიშნად დაიდების *საკითხავად*, რომელი რამცაღა იყოს ნაწილი სიტყუსა, რათა გარდა ამისა, ყოვლადიცა სიტყუად *კითხუად*... (266) საყურადღებოა, რომ აქ ერთი წინადადების ფარგლებში გვხვდება ძველი და ახალი ფორმა.

გრამატიკის ბოლოს ანტონი წერს:

სრულ იქმნა 1769,28.2. იყავნ *სადიდებელად* შენდა, სიტყუაო ღმრთისაო და უბიწოდ მშობელისა შენისა (367).

ზოგჯერ საწყისი სახელობით ბრუნვაში გვხვდება:

...ქარაგმად არს *დადება* ღრამმთა რომელთამე ნაცვლად ასოთა³⁶ (64);

...არა ვიცით განყოფით, რამსათვისმე არს *თქმა* იგი... (151)

მასალაზე დაკვირვებამ სხვა საინტერესო შემთხვევებიც გამოავლინა. ერთმანეთის გვერდით გვხვდება *ე* ჩართული და *ე* ჩაურთველი ფორმები:

ნიშნითა მეცხრითა მიმლეობაქმნილთაგან შესაძლებელ არს იგივე ძიებანი *მიღებუად* და სხუანიცა... (289) შდრ.: შესაძლებელ არს უმეშუწობითთაგანცა ჳმნათა *მიღებუად* საძიებოდ განუსაზღურებელნი... (282)

ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი კომპოზიტითაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ამის ერთი ნიმუში მოვიძიეთ ანტონის მატყველებასში:

³⁶ ნიმუშს ვიმოწმებთ წიგნიდან: ებაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

ხოლო უკეთუ დანაშთნი ნაწილნი სიტყუსანი ნივთებითაებრცა მხიდებოდე, ე.ი. ვითარცა იყუნენ ლექსნი რომელნიმე და არა ვითარ იგი ნაწილნი სიტყუსანი, მერმელა მათიცა შესაძლო ზმნისა სახელყოფად³⁷ (209).

ანტონი თავის გრამატიკაში ამბობს, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი შეიძლება დამატების შეწყობის გარეშეც იყოს წარმოდგენილი წინადადებაში. მაგალითები ანტონის გრამატიკიდან:

...სამართალ არს *თქმად* (142);

...არა ყოვლითურთ განრჩევით სიცხადე მიეცემის ცნობასა წუალებისა ზმნათასა, ეინაძცა სათანადო არს *თქმად*, რათა განრჩეულადრე ეჰსცნნეთ წუალებანი ზმნათანი (177).

შეგვიძლია დავასკვნათ: ანტონ პირველის გრამატიკის ენაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ მისი ენა გრამატიკულ დებულებათა პრაქტიკულ განხორციელებას სრული სახით არ წარმოადგენს. გვხვდება დებულებათა შესაბამისი ისეთი მაგალითები, სადაც განუსაზღვრელი კილო ზმნიზედას შეიცავს და ისეთები, სადაც ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს ზმნისწინი დაერთვის. თუმცა რიგი დებულებების შესაბამისი მაგალითები ანტონის ენაში ვერ მოვიძიეთ.

ანტონ კათალიკოსის გრამატიკის ენაში შეგვხვდა ნიმუშები, როდესაც ინფინიტივი ქმნის ორპირიანი გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის შესაბამის კონსტრუქციებს. ამ მაგალითებში ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს უკავშირდება სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი, რომელიც ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების როლს ასრულებს. ინფინიტივთან დაკავშირებული ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელი გვხვდება ინფინიტივის წინა და მომდევნო პოზიციაში. თუმცა ამგვარი

³⁷ ნიმუშს ვიმოწმებთ წიგნიდან: ებაბუნაშვილი, დასახ ნაშრ.

მაგალითები მცირეა. ხშირია შემთხვევები, სადაც ინფინიტიურ კონსტრუქციებში ზმნური მართვის ძალა იჩენს თავს. ასეთი კონსტრუქციები გვხვდება ძველ ქართულ ენაში და აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ანტონ პირველის გარამატიკის ენაში დადასტურებული ინფინიტიური კონსტრუქციები ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, არის გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიმუშებიც, კერძოდ, მიზნის გარემოებად გამოყენებული ინფინიტივის პარალელურად გვხვდება მყოფადის მიმდებარე ვითარებით ბრუნვაში, რომელიც საბოლოოდ დამკვიდრდა ახალ სალიტერატურო ქართულში.

ძირითადი დასკვნები

საშუალო ქართულის (XII-XVIII სს.) მასალაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ აღნიშნული პერიოდი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ძველიდან ახალ ქართულზე ინფინიტიური კონსტრუქციის შექმნის თვალსაზრისით.

1. ინფინიტივი ქართულში გადმოიცემა ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისით, რომელიც წინადადებაში გარკვეული ფუნქციებით გვევლინება, კერძოდ, პირდაპირი დამატების, უბრალო დამატების, მიზნის გარემოების, ქვემდებარის, პრედიკატული წევრის (შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად) ფუნქციით.

საშუალო ქართულის ძეგლებში ინფინიტივი ზოგი ფუნქციით უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება, ხოლო ზოგით – უფრო ნაკლები. ამგვარი სხვადასხვაობა დავაფიქსირეთ თვით ერთი ფუნქციის შიგნით სხვადასხვა

ჯანრის ნაწარმოებებში, კერძოდ, ჩვენ განვიხილეთ პროზაში, პოეზიაში, ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში.

ა) ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით ხშირია XII-XVIII სს.-თა პროზაულ ნაწარმოებებში, რასაც ვერ ვიტყვიტ ამავე პერიოდის პოეზიაში, ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში მოძიებულ მასალასთან დაკავშირებით. ამ ჟანრებში ინფინიტივი აღნიშნული ფუნქციით მცირე რაოდენობითაა. გარდამავალი საფეხური უფრო მეტად პროზასა და პოეზიაში დავაფიქსირეთ, სადაც ხშირია შემთხვევები, როდესაც ზმნასთან ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის გვერდით გვხვდება სახელობით და მიცემით ბრუნვაში დასმული საწყისი. თუმცა საშუალო ქართული უპირატესობას ჯერ კიდევ ვითარებითბრუნვიან საწყისს ანიჭებს, ამგვარი მაგალითები უფრო ჭარბობს.

ბ) უბრალო დამატების ფუნქციით ინფინიტივი პროზაულ და პოეტურ თხზულებებში იშვიათობაა, განსხვავებით ისტორიული ძეგლებისა. მხატვრულ ნაწარმოებში მოვიძიეთ ისეთი შემთხვევა, როდესაც უბრალო დამატების ფუნქციით ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია წარმოდგენილი.

გ) აღნიშნული ჟანრის ძეგლებში ინფინიტივი ყველაზე ხშირად მიზნის გარემოების ფუნქციით გვხვდება. ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის გვერდით ამ ფუნქციით დავადასტურეთ მყოფადის მიმღეობა ასევე ვითარებით ბრუნვაში, რომელიც შემდეგ ახალ სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდა. დოკუმენტებში კი უმეტესად ვითარებითში დასმული მყოფადის მიმღეობა გვხვდება, ვიდრე ვითარებითბრუნვიანი საწყისი. ამ შემთხვევაში დოკუმენტებში ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ვითარება უფრო ჭარბობს.

მიზნის გარემოების ფუნქციით ვითარებითბრუნვიანი საწყისის გვერდით გვაქვს მიცემითბრუნვიანი, ნათესაობითბრუნვიანი და მოქმედებითბრუნვიანი ფორმები.

მიზნის გარემოების ფუნქციით ინფინიტივი გვიანობამდე შემორჩა ქართულ სალიტერატურო ენას და როგორც ივ.იმნაიშვილი მიუთითებს, იგი დღევანდელ ქართულ დიალექტებშიც გვხვდება (ივ.იმნაიშვილი, 1957:746-750).

დ) იშვიათია საშუალო ქართულში ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით. მათ გვერდით გვხვდება სახელობითში დასმული საწყისი ამავე ფუნქციით. XII-XVIII საუკუნეთა პოეტიკურ თხზულებებში ვითარებითში დასმული საწყისი ქვემდებარის ფუნქციით არ გვხვდება. უფრო ვრცელადაა ამგვარი მაგალითები ისტორიულ თხზულებებსა და ლოკუმენტებში.

ე) ყველაზე ნაკლები რაოდენობით ინფინიტივი პრედიკატული წევრის (შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად) ფუნქციით გვხვდება. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიპოეთ აღნიშნული პერიოდის ძეგლებში. ამგვარი ფორმები უკვე გამოსულია ხმარებიდან.

2. ინფინიტივს შესწევს უნარი ზმნის მსგავსად შეიწყოს დამატება-ობიექტი სათანადო ბრუნვაში, ანუ სახელობითსა და მიცემითში. ამაში გამოიხატება მისი ზმნური თვისება. მას შეუძლია შექმნას გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციები.

ა) ინფინიტივი ქმნის გარდაუვალი ერთპირიანი ზმნის შესაბამის კონსტრუქციას. ძალიან იშვიათად ძველ ქართულში ასეთ ინფინიტივს სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი უკავშირდება, რომელიც ინფინიტივის სუბიექტად აღიქმება. საკვლევ პროზაულ და პოეტიკურ ძეგლებში ასეთი მაგალითები არ დასტურდება. რამდენიმე შემთხვევა

მოვიძიეთ „ქართლის ცხოვრება“-ში. თუმცა საკმაოდაა, როდესაც ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან სახელი არაა დაკავშირებული.

აღნიშნულ კონსტრუქციაში სახელი ზოგჯერ სახელობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმით გვხვდება, რაც კონსტრუქციის გარდატეხის მაუწყებელია.

ბ) მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც მოვიძიეთ საკვლევი პერიოდის პროზასა და პოეზიაში მაგალითები, როდესაც ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის შემქნისას ზმნური ნიშნები იჩენს თავს, ანუ ინფინიტივთან დაკავშირებულია მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი. შედარებით ხშირია აღნიშნული შემთხვევები ისტორიულ თხზულებებსა და დოკუმენტებში, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელია, რომ ისტორიულ ძეგლებში ძველი ქათრულის კვალი უფროა შემორჩენილი, ვიდრე პროზასა და პოეზიაში.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ნიმუშები, როდესაც ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან დაკავშირებულია ნათესაობითში დასმული სახელი მის წინა და მომდევნო პოზიციაში, რაც ზმნური თვისებებიდან სახელურ თვისებებზე გადასვლის მიმანიშნებელია. კონსტრუქციის გარდატეხის მაუწყებელია ასევე მყოფადის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში ვითარებითბრუნვიანი საწყისის გვერდით.

გ) ძველი ქართულის მსგავსად საშუალ ქართულშიც სხვა კონსტრუქციებისაგან განსხვავებით ხშირია ინფინიტივის მიერ გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის შემქნის შემთხვევები. საკვლევ მასალაში დავადასტურეთ ზმნური მართვის მაგალითები, როდესაც ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს უკავშირდება სახელობითში და მიცემითში დასმული დამატება. მათ ბევრდით გვხვდება კონსტრუქციის გარდატეხის ნიმუშები, კერძოდ,

სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტი უკავშირდება სახელობითში დასმულ საწყისს ან მყოფადის მიმღეობას ვითარებით ბრუნვაში. მიცემით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტი მიცემითში დასმულ საწყისს უკავშირდება ან ისიც მყოფადის მიმღეობასთანაა დაკავშირებული. შეიძლება მიცემითში დასმული სახელი სახელობითში დასმულ საწყისს დაუკავშირდეს. ზმნურ კონსტრუქციას რომ სახელური კონსტრუქცია ცვლის, ამას მოწმობს ინფინიტივთან ნათესაობითში დასმული სახელის დაკავშირება მის წინა და მომდევნო პოზიციაში. აქ გვაქვს სახელებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური ურთიერთობა: მართვა - პრეპოზიციური წყობისას და მართვა-შეთანხმება - პოსტპოზიციურში. ზოგჯერ ნათესაობითში დასმული სახელი სახელობითში ან მიცემითში დასმულ საწყისს უკავშირდება.

დ) XII-XVIII სს. ძეგლებში იშვიათია გარდამავალი სამპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციის შექმნის შემთხვევები. პროზაულ ნაწარმოებებში ვერ დავადასტურეთ ინფინიტივთან სახელობით ან მიცემით ბრუნვაში დასმული დამატების დაკავშირების ნიმუშები. ინფინიტივს უკავშირდება ნათესაობით ან ვითარებით ბრუნვაში მდგარი სახელი, ან ვითარებით ბრუნვაში დასმულ სახელთან ერთად გეხვდება სახელობით ბრუნვაში მდგარი სახელიც. სამპირიანი გარდამავალი ზმნის შესაბამის კონსტრუქციას სახელობით ბრუნვაში დასმული საწყისი ქმნის და მასთან ნათესაობითიანი სახელია დაკავშირებული.

პოეზიაში მოვიძიეთ ზმნური მართვის მხოლოდ ორი შემთხვევა. სხვა შემთხვევებში მასთან ნათესაობით ან ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელია წარმოდგენილი. უფრო ხშირია სახელის დაკავშირება მომავალი დროის მიმღეობასთან. ზოგ შემთხვევაში ინფინიტივთან სახელი საერთოდ არაა დაკავშირებული.

ისტორიულ ძეგლებსა და დოკუმენტებშიც შეგვხვდა ზმნური მართვის შემთხვევები. მათ გვერდით არის სახელური კონსტრუქციაც: ა) ინფინიტივს ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი უკავშირდება; ბ) კონსტრუქციას ქმნის მომავლის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში ან სახელობითში და მიცემითში დასმული საწყისი.

განხილული მასალა გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ძველი ქართულის ინფინიტივი, რომელიც გადმოიცემოდა ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისით და ზმნისებრ შეეძლო ემართა სახელი შესაბამის ბრუნვებში, საშუალ ქართულშიც ფუნქციონირებს. მაგრამ XII-XVIII საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ გარდამავალ პერიოდად, კონსტრუქციის გარდატეხის ეტაპად, რადგან ზმნური მართვის გვერდით თავს იჩენს სახელური კონსტრუქცია. ეს უპირველეს ყოვლისა გვხვდება მაშინ, როდესაც ინფინიტივს უკავშირდება არა სახელობით ან მიცემით ბრუნვაში დასმული დამატება, არამედ ნათესაობითში მდგარი სახელი: „კაცისა ნახვად“, რომელიც შემდგომში ვითარებით ბრუნვაში დასმულმა მომავლის მიმღეობამ შეცვალა: „კაცის სანახვად“ და ამ ფორმით დამკვიდრდა ახალ სალიტერატურო ქართულში. მეორე მხრივ, ვითარებითში დასმული საწყისის გვერდით თავს იჩენს სახელობითსა და მიცემითში დასმული საწყისი: „უბრძანა...გამოზიდვად“, შდრ.: „უბრძანა...გამოზიდვა“; „გამოსვლასა არღა მოინდომებდა“. თანამედროვე ქართულში აღნიშნული ფორმების არსებობა სწორედ საშუალ ქართულში იღებს სათავეს და გაგრძელებაა იმ ინფინიტივისა, რომელიც ძველ ქართულში გვხვდება, გადმოდის საშუალშიც და ხანგრძლივი დროის მანძილზე თანაარსებობს ახალ ფორმებთან, განსაკუთრებით, ისტორიულ ძეგლებსა და დოკუმენტებში.

დამოწმებული ლიტერატურის სია:

1. ანტონ პირველი (ბაგრატიონი), 1997 – ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ქართული გრამატიკა, თბ., 1997;
2. ებაბუნაშვილი, 1970 – ებაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970;
3. ებაბუნაშვილი, თ.უთურგაიძე, 1991 – ებაბუნაშვილი, თ.უთურგაიძე, ანტონ პირველის „ქართული ღრამატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991;
4. ც.ბენდელიანი, 2002 – ც.ბენდელიანი, „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ და „ამირანდარეჯანიანი“ ქართული სამწიგნობრო ენის პერიოდიზაციის თვალსაზრისით, ქუთაისური საუბრები, IX, ქუთაისი, 2002;
5. ლ.გეგუჩაძე, 1972 – ლ.გეგუჩაძე, დროთა თანამიმდევრობა ერთი ტიპის კონსტრუქციაში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 3, 1972;
6. ბ.გიგინეიშვილი, 1955 – ბ.გიგინეიშვილი, მასდარი ძველ ქართულში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 7, თბ., 1955;
7. გ.გოგოლაშვილი, 1999 – გ.გოგოლაშვილი, ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხისათვის, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, VI, თბ., 1999;
8. ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია, 1956 – ვეფხის ტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკ.შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 3, თბ., 1956;
9. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, 1956 – ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება (აკ.შანიძის მოხსენების მიხედვით), სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956;

10. ე.თოფურია, 1956 - ე.თოფურია, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში (თეზისები მოხსენებისა), სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956;

11. ე.თოფურია, 1991 - ე.თოფურია, ერთი სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართულში, იკე, ტ.XXX, თბ., 1991;

12. იე.იმნაიშვილი, 1957 - იე.იმნაიშვილი, ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 4, თბ., 1957;

13. იე.იმნაიშვილი, კომ.აღზრ., 2, 1957 - იე.იმნაიშვილი, ძველ ქართულში დროის გარემოების გამოსატყვის ზოგიერთი საშუალებებისა და „ეფესისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის, კომუნისტური აღზრდისათვის, 2, თბ., 1957;

14. კ.კაკიტაძე, 1986 - კ.კაკიტაძე, -ად სუფიქსიან სახელთა ერთი ჯგუფის ისტორიისათვის ქართულში, იკე, ტ.XXV, თბ., 1986;

15. ლ.კვანტალიანი, 1990 - ლ.კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990;

16. ლ.კვაჭაძე, 1966 - ლ.კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966;

17. ა.კიზირია, 1954 - ა.კიზირია, საერო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი (XII-XVIII სს. მხატვრული ძეგლების მიხედვით), იკე, ტ.VI, თბ., 1954;

18. ა.კიზირია, 1956 | - ა.კიზირია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956;

19. აკიზირია, 1960 - აკიზირია, ნათესაობითში დასმული პირმიუმართავი დამატება ძველ ქართულში, იკე, ტ.XII, თბ., 1960;
20. მკობაიძე, კვამლინგი, 1998 - მკობაიძე, კვამლინგი, კიდევ ერთხელ ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, სიმპოზიუმის მასალები, ქართველური მემკვიდრეობა, II, გვ.153-160, ქუთაისი, 1998;
21. ნკოტინოვი, 1965 - ნკოტინოვი, ვითარებითში დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში, იგოგებაშიელის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, თბილისი 1965 თელავი;
22. ნკოტინოვი, 1986 - ნკოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986;
23. ქლომთათიძე, 1958 - ქლომთათიძე, ზმნის ინფინიტიური წარმოების კვალი ძველ ქართულში (წინასწარი ცნობა), იკე, ტ.IX-X, თბ., 1958;
24. არმარტიროსოვი, 1955 - არმარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, იკე ტ.VII, თბ., 1955;
25. არმარტიროსოვი, 1958 - არმარტიროსოვი, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში, იკე, ტ.IX-X, თბ., 1958;
26. დმელიქიშვილი, 1975 - დმელიქიშვილი, იონანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975;
27. ომიქიაშვილი, 2000 - ომიქიაშვილი, რუსულის გავლენით თავჩენილი ერთი მოვლენის შესახებ ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნოდდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000;

28. მ.ნაჭყებია, 1998 – მ.ნაჭყებია, მიმართულებით ბრუნვაში დასმული სახელი ადგილის გარემოებად კოლხურში, სიმპოზიუმის მასალები, ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998;

29. მ.ნაჭყებია, 2001 – მ.ნაჭყებია, ადგილის გარემოების გადმოცემის ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001;

30. თ.სახოკია, 1938 – თ.სახოკია, <<ვეფხისტყაოსნის>> ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი, აკად. ნ.მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მომბე, III, ტფ., 1938;

31. თ.უთურგაიძე, 1985 – თ.უთურგაიძე, მორფონოლოგიური ცვლილებებისათვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში, იკე, ტ. XXIII, თბ., 1985;

32. თ.უთურგაიძე, 1999 – თ.უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999;

33. თ.უკლება, 1998 – თ.უკლება, ინფინიტიური კონსტრუქციები „ვისრამიანსა“ და „რუსუდანიანში“, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, V, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1998;

34. თ.უკლება, თსუ ფილ.ფაკ.სამეც.სესია, 1998 – თ.უკლება, ინფინიტიური კონსტრუქციები „ამირანდარეჯანიანში“, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, თბ., 1998;

35. თ.უკლება, 1999 – თ.უკლება, ინფინიტიურ კონსტრუქციათათვის შუა საუკუნეების პროზაში („ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანისა“ და „რუსუდანიანის“ მიხედვით), თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი მესამე, თბ., 1999;

36. თ.უკლება, 2000 - თ.უკლება, ინფინიტიური კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი მეოთხე, თბ., 2000;

37. თ.უკლება, 2001 - თ.უკლება, ინფინიტიური კონსტრუქცია არჩილისა და ბესიკის პოეტურ თხზულებებში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი მეხუთე, თბ., 2001;

38. თ.უკლება, 2002 - თ.უკლება, ინფინიტიური კონსტრუქცია იგავარაკული ჟანრის ნაწარმოებებში („სობრძნე სიცრუისა“ და „ქილილა და დამანა“), თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი მეექვსე, თბ., 2002;

39. თ.უკლება, 2003 - თ.უკლება, ინფინიტიური კონსტრუქცია XV-XIX საუკუნეების ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი მეშვიდე, თბ., 2003;

40. თ.უკლება, საენათ.ძიებ., 1999 - თ.უკლება, ინფინიტიური კონსტრუქციები ანტონ პირველის გრამატიკის ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999;

41. თ.უკლება, საენათ. ძიებ., 2000 - თ.უკლება, ინფინიტიური კონსტრუქციების შესწავლის ისტორიიდან, საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000;

42. ვ.ფანჩიძე, 1960 - ვ.ფანჩიძე, ნაზმნარი სახელის მიერ სახელის მართვა ბრუნვაში უდურ ენაში, იკე, ტ. XII, თბ., 1960;

43. ივ.ჭავთარაძე, 1960 | - ივ.ჭავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში, იკე, ტ. XII, თბ., 1960;

44. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950;

45. ქართული ღრამმატიკა, 1885 – ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბ., 1885;
46. ა.შანიძე, 1953 – ა.შანიძე, თხზულებანი, ტ.1, თბ., 1953;
47. ა.შანიძე, 1976 – ა.შანიძე, ძველი ქართული ენის გარმატიკა, თბ., 1976;
48. თ.შარაძენიძე, 1956 – თ.შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956;
49. არნ.ჩიქობავა, 1937 – არნ.ჩიქობავა, ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში (ავარულში), აკად. ნ.შარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, I, ტფ., 1937;
50. არნ.ჩიქობავა, 1956 – არნ.ჩიქობავა, ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენებათა მიხედვით (წინასწარი მოხსენება), იკე, ტ. VIII, თბ., 1956;
51. არნ.ჩიქობავა, 1966 – არნ.ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხის-ტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში (წინასწარი მოხსენება), იკე, ტ. XV, თბ., 1966;
52. არნ.ჩიქობავა, 1953 – არნ.ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისთვის ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1953;
53. დ.ჩხუბიანიშვილი, 1961, – დ.ჩხუბიანიშვილი, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცველობისათვის ძველ ქართულში (სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით), ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961;
54. დ.ჩხუბიანიშვილი, 1972 – დ.ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972;

55. ბ.ცხადაძე, 1984 – ბ.ცხადაძე, მასდარის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1984;

56. ბ.ცხადაძე, 1987 – ბ.ცხადაძე, მასდარის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის დიალექტებში, იკე, ტ. XXVI, თბ., 1987;

57. შ.ძიძიგური, 1966 – შ.ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია, ა.ს.პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, შრომები, 19, თბ., 1966;

58. მ.ძიძიშვილი, 1956 – მ.ძიძიშვილი, ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში (თეზისები მოხსენებისა), სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956;

59. В.А. Белошапкина, 1977 – В.А.Белошапкина, Современный русский язык, Синтаксис, Примыкание, 1977;

60. Э.Бенвенист, 1955 – Э.Бенвенист, Индоевропейское именное словообразование, М., 1955;

61. А.Ч.Козаржевский, 1975 - А.Ч.Козаржевский, Учебник древнегреческого языка, М., 1975;

62. З.М.Магомедбекова, 1988 – З.М.Магомедбекова, О формах инфинитива аварского языка, იკე, ტ. XXVII, თბ., 1988;

63. А.А.Магометов, 1978 - А.А.Магометов, Личные формы инфинитива в даргинском языке, იკე, ტ. XX, თბ., 1978;

64. С.И.Соболевский, 1948 - С.И.Соболевский, Древне-греческий язык, М., 1948.

დამოწმებული წყაროები:

ამირანდარ.: მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ.ათანელიშვილმა, თბ., 1967;

არჩილ.: არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული აღ.ბარამიძისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.1, თბ., 1936;

აფხაზ.საკათ.გლეხ.დიდი დავთ.: აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, ს.კაკაბაძის გამოცემა, ტფ., 1914;

ბაქარ.: იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, სოლ.ყუბანეიშვილის გამოც., თბ., 1962;

ბესიკი: ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, აღ.ბარამიძისა და ვ.თოფურიას რედაქციით, ტფ. 1932;

დავით.: დავით გურამიშვილი, დავითიანი, საქმეცნ.აკ.-ის ქართ. ლიტ.ინსტ. გამოცემა, თბ., 1955;

დილარ.: დილარიანი პეტრე ლარაძისა, თბ., 1903;

დოკ. I: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ.1, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940;

დოკ. II: ტ. II (XV-XIX სს.), თბ., 1953;

ვახუშტი: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედ.-ით, თბ., 1941;

ვისრ.: ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ.გვახარიამ და მ.თოდუამ, თბ., 1962;

ვეფხისტყა.: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1956;

თეიმ. I: თეიმურაზ პირველი, აღ.ბარამიძის და გ.ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934;

იალიგ.დაუდი: დავით ბაგრატიონი, იალიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბ., 1985;

ისტ.დოკ.: ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ.ბურჯანაძემ, თბ., 1958;

ისტ.საბ., IV: ს.კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი IV, თბ., 1913;

ისტ.საბ., V: ს.კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი V, თბ., 1913;

მიმოს.: ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლევა, გამოსცა ემეტრეველმა, თბ., 1956;

რუსუდ.: რუსუდანიანი, ილ.აბულაძის და ივ.გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957;

სოლ.ლეონ.: სოლომონ ლეონიძე, თხზულებანი, დაბეჭდილია: ანთოლოგია, ტ. II, ი.ეკალაძისა და აღ.ბარამიძის გამოც., ტფ., 1928;

საქ.ცხოვ.: ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება, ს.კაკაბაძის გამოცემა, ტფ., 1926;

ს.-ს.ორბ., I: სულხან-საბა ორბელიანი, ოთხტომეულის I ტ., გამოსაც. მოამზადეს ს.ყუბანიეშვილმა, რ.ბარამიძემ, თბ., 1959;

ქილ. და დამ.: ქილილა და დამანა, აღ.ბარამიძის და პინგოროყვას რედაქციით, თბ., 1949;

ქართლ.ცხ., I: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955;

ქართლ.ცხ., II: ტ. II, თბ., 1959;

ჭაშნიკი: მამუკა ბარათაშვილი, „ჭაშნიკი“ (გ.მიქაძე, ქართ.პოეტიკის
ქრესტომათია, თბ., 1954).

შესავალი	2
§1. საკითხის შესწავლის ისტორია	2
§2. საკითხის რაობა	13
თავი I ინფინიტივის ფუნქციები წინადადებაში	19
§1. ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით	20
§2. ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით	26
§3. ინფინიტივი მიზნის გარემოების ფუნქციით	30
§4. ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციით	39
§5. ინფინიტივი პრედიკატული წევრის ფუნქციით (შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად)	43
თავი II ინფინიტიური კონსტრუქცია.....	49
§1. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია	49
§2. გარდაუვალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია	55
§3. გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია	63
§4. გარდამავალი სამპირიანი ზმნის შესაბამისი კონსტრუქცია	94
§5. ინფინიტიური კონსტრუქცია ანტონ პირველის ენაში “ქართული ღრამმატიკის” მიხედვით	102
ბირითადი დასკვნები	112
დამოწმებული ლიტერატურის სია	118
დამოწმებული წყაროები	125
შინაარსი	128